



პე. „საქართველოს ენციკლოპედია“ დაგეგმვა № 43.

# საქართველოს პარლამენტი.

სტენოგრაფიული განცხადება

## 47 სსდოგა

სამშაბათი, ოქტომბრის 15, 1918 წ. ტფილისი. სასახლე.

თავმჯდომარეობს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის აშანაგი ექვთიმე თაყაიშვილი.

მდივნობს საქართველოს პარლამენტის მდივანი დ. ონიაშვილი.

პრეზიდიუმში არიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ი. ბარათაშვილი.

მდივნის ამხანაგი: ი. აბაკელია.

კრებ. იწყება ნაშუაღღის 1 საათსა და 15 წუთზე.

თავმჯდომარე. საქართველოს სახელმწიფოს პარლამენტის სხდომა გახსნილი გახლავთ. მდივანი მოგახსენებთ დღიურ წესრიგს.

### სოც. რევ. ცენტრალურ კომიტეტის განცხადება.

შვიენი (კითხულობს) საქართველოს პარლამენტის სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის განცხადების სია.

1. თევზაძე ილია მოსეს ძე,
2. კანიშვილი შახლ თამარ ძე,
3. ბასტაძე ივანე კამოთას ძე,
4. ჩხეიძე შარამ ილიას ასული,
5. დარჩილაძე ივანე ნესტორის ძე,
6. პაპუაშვილი გედეონ ბეგრატის ძე,
7. ბასილაშვილი შარანე თეიმურაზის ძე,
8. ჭაჭავაძე მადრა,
9. ბერუდავა მის. ჯ.
10. შიფარშიშვილი გედეონ.
11. ვახანიძე გიგოგილოვ,
12. აბესაძე ზაქარია.

დაჯახი (კითხულობს) ამით ვაუწყებთ საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმს, რომ საბჭოს ყოფილ წევრის ივანე ვერხაშვილის ნაცვლად პარლამენტის წევრად იგზავნება ილია მოსეს ძე თევზაძე.

### საქართველოს პარლამენტის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის განცხადება.

ამით ვაუწყებთ საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმს, რომ პარლამენტის კომისიებში საბუშაოდ ნაცვლად ძეგლის წევრებისა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქცია ჰგზავნის შემდეგ პირთ:

- 1) საკონსტიტუციო კომისიაში: ნიკ. ჯორჯანიას, მაგდერ იბრაჰიმ ქრეთულს.
- 2) სამანდატო კომისიაში: გ. ხუციანთაძის, შავიერ, სტეფანეძის, შაიურდიაშვილ ულმისიანი, თეიმურაზი სოჭიერ, სტეფანეძის.

4. აგრარულ კომისიაში: რ. ჩიხლაძის და ვ. ციხლაძის მაგიერ დ. ანიაშვილს და ს. თევზაძეს.

5. გზათა კომისიაში: იოს. სალაყაას მაგიერ ნიკ. შაქარაძეს.

6. ხელოვნების კომისიაში: არს. მამულაშვილის მაგიერ ვ. ნინიძეს.

7. სამხედრო კომისიაში: ს. თევზაძის მაგიერ ვ. ნინიძეს.

### საქართველოს პარლამენტის ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის განცხადება.

ამით ვაუწყებთ საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმს, რომ დამფუძნებელ კრების კომისიაში ეროვნულ დემოკრატიული ფრაქცია ასა ხალებს ი. ს. შაჭავრავას.

### საქართველოს პარლამენტის დაშნაცუთიუნის ფრაქციის თავმჯდომარის განცხადება:

ამით ვაუწყებთ საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმს, რომ საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებმა დაარსეს ფრაქცია, რომელსაც ეწოდება „საქათვალის პარლამენტის დასხაქცუთაუნის ფრაქცია“.

### ცნობა კომისიებში გადასაცემ კანონ-პროექტებისა.

1. სახელმწიფო კონტროლიორის.

1) დებულება.

2) დროებითი შტატები და რევიზიის წესდება.

გადაეცეს საფინანსო და იურიდიულ კომისიათ.

2. ხელოვნების კომისიის კანონ-პროექტი — 1915 წ. ნოემბრის 22-ს კანონის შეცვლისა.

გადაეცეს საფინანსო კომისიას.

### დღიური წესრიგი:

1. საბოლოო ტექსტი რეგლამენტის დამატებისა ეროვნულ უმცირესობის ენის ხმარების შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი შალვა ამირეჯიბი.

2. კანონ-პროექტი სახალხო სკოლების მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი ნაყ ცინცაძე.

3. კანონ-პროექტი თბილისის უმაღლეს კურსებისათვის სახელმწიფოს ხაზინიდან 50.000 მან. მიცემის შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი ნაყ ცინცაძე.

4. კანონ-პროექტი ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელების გაგრძელებისა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი დიმიტრი თორგოვი.

5. კანონ-პროექტი ახალ წიგნთ-საცავ სამკითხველოების გახსნის შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი დიმიტრი თორგოვი.

6. დამოუკიდებელ ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის მთავრო-



ბისა და სახელმწიფო კონტროლიორისადმი შეკავსება 30 მილიონის  
სალიკვიდაკოო ფონდის შესახებ.

**თავმჯდომარე.** დღიური წესრიგი მოგხსენდათ. ამტკიცებთ თუ  
არა ამ წესრიგს? ახლა იქნება განცხადება პარლამენტის წევრის შარი-

ფოფისა.

**მაჰმადიანთა წარმომადგენლის აბ. შარიფოვის მისალმებითი  
სიტყვა.**

**Шарифовъ.** (гумметистъ). Граждане, члены Грузинскаго Парламента!—(გრ. ვეშაპელი და იოს. მაქაფარიანი დარბაზს სტო-  
ვებენ.)--Выступая отъ имени депутатовъ мусульманъ, изви-  
няюсь за полное незнаніе грузинскаго языка. Я уполномо-  
ченъ заявить, что мои товарищи при выступленіяхъ бу-  
дутъ употреблять русскій языкъ, какъ понятный всему  
парламенту. Депутаты-мусульмане поручили мнѣ сдѣлать  
слѣдующее заявленіе:

«Вступая въ вашу среду мы, представители мусуль-  
манъ, надѣемся, что нашимъ знаніемъ психологій и стре-  
мленій нашего народа мы облегчимъ вашу тяжелую работу  
въ тѣ моменты, когда она будетъ касаться мусульманъ.

Лицнимъ считаемъ говорить о братствѣ и дружбѣ на-  
шихъ народовъ, такъ какъ всѣмъ хорошо извѣстны ихъ  
отношенія другъ къ другу.

Мусульманская демократія, всегда выносившая на себя  
удары не только иноземной силы, но и враговъ народа,  
выходящихъ изъ ея же среды, теперь вздохнетъ полною  
грудью, почувствуетъ всю красоту свободы и мирнаго  
труда и тогда, повѣрьте, никакія силы не сумѣютъ отор-  
вать ее отъ свободной Грузіи (аплодисменты). Тяжелый,  
почти смертельный кризисъ переживаетъ даровавшая намъ  
свободу великая россійская революція, и если есть еще  
уголь, гдѣ сохранились ея завоеванія—свобода и равенство,  
то это маленькая Грузія.

Мы, представители мусульманъ Грузіи, всѣми доступ-  
ными намъ силами будемъ укрѣплять эти завоеванія и за-  
щищать ихъ, какъ отъ внѣшнихъ, такъ и отъ внутреннихъ  
враговъ.

И, знайте, какія бы испытанія ни предстояли этому  
государству, какія бы опасности ему не угрожали, мы смѣ-  
ло, неуклонно, плечо къ плечу пойдемъ вмѣстѣ съ вами,  
братски раздѣляя, какъ ваши радости, такъ и возможные  
въ будущемъ горести».

Привѣтствуя васъ, граждане члены грузинскаго парла-  
мента, въ вашемъ лицѣ шлю горячія привѣтъ и искренія  
пожеланія свободолюбивому грузинскому народу. (Аплодис-  
менты).



### კ. ნინიძეს წინადადება.

**თავმჯდომარე.** საბჭოს წევრი ამირჯანიძე.

**ნინიძე.** უკაცრავად, მე შემოვიტანე განცხადება წესრიგის შესახებ. **თავმჯდომარე.** დიას, განცხადება განლაგეთ დღიურ წესრიგისთვის, განვიადთ ისარგებლოთ?

**კირ. ნინიძე.** (ს. დ.) დიას! ბატონებო პარლამენტის წევრო! დღევანდელ წესრიგში შეტანილია სხვათა შორის შეკითხვა დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკ. პარტიის მიერ, იმ. მს. მილიონის შესახებ, რომელიც გამოგზავნილი იყო სამხედრო კოლეგიის განკარგულებაში. ესაა ეროვნულ დემოკრატიული ფრაქცია ეკითხება მთავრობას იმ ფულის ბედზე. რადგანაც, მთავრობის მიმართ შეიძლება წარმოსდგეს იმის შეკითხვა რაც მხოლოდ ეხება მის სოქმედებას, რადგანაც შეტანილ შემთხვევაში არ არის აღნიშნული, რომ ეს ფული გადასულია მთავრობის განკარგულებაში, და რადგან ეს ფული იყო იმ სამხედრო კოლეგიის განკარგულებაში, რომელიც აქ არსებობს, ამიტომ ჩვენი ფრაქცია ფიქრობს, რომ არ შეიძლება ისეთ შეკითხვის შემოტანა, რომელიც არ ეხება მთავრობის მოქმედებას, და ეხება სულ სხვებს.

შეკითხვა ეს უნდა იყოს მიმართული იქ, სადაც ეს ფული იყო გაგზავნილი. იმიტომ ჩვენ მოვითხოვთ, რომ შეკითხვა მოხსნილი იყოს სრულიად დღეს წესრიგიდან, რადგანაც პარლამენტმა არ უნდა დაკარგოს დრო ისეთ შეკითხვაზე რომელიც არ ეხება არც პარლამენტს და არ ეხება არც მთავრობას!


**თავმჯდომარე** ვის სურს სიტყვა?

### კამათი რეგლამენტის შესახებ.

**გრ. ჯეშაბელი.** (დამ. ერ. დემ.). მე უნდა მოგახსენოთ, რეგლამენტის მიხედვით შემიძლია ჯერ ერთი, რომ ეს შეკითხვა უკვე იყო მოხსენებული წარსულ კრებაზე პრეზიდიუმის მიერ; ბატონ ჩხეიძის მიერ იყო მოხსენებული, რომ არის შემოტანილი შეკითხვა. თანახმად ჩვენი რეგლამენტისა, იგივე შეკითხვა ავტომატიურად რჩება დღევანდელ წესრიგში. დღეს ეს შეკითხვა დაბეჭდილია და დარიგებული ფრაქციებში, და ესაა, თუ რომელიმე ფრაქცია სარგებლობს რეგლამენტის უფლებით და, უნდა, ეს შეკითხვა, ესე იგი შეკითხვა მოხსენებული წესრიგში, მოხსენებული იყოს. მაშინ მე მოვითხოვ პრეზიდიუმისაგან თანახმად 82 მუხლისა, რომელიც ამბობს: "სანამ საბჭოს საკითხის განხილვას შეუდგებოდეს, შეიძლება წინასწარი საკითხის აღძვრა, რომ საბჭომ სრულიად არ მიიღოს ეს საკითხი, განსახილველად. ამ წინადადების გამო სიტყვა ეძლევა ერთს მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს.

ამ შემთხვევაში დროს განსასწავლავ ლაპარაკი არ არის. მაშინ უფლება მომხრესი და მოწინააღმდეგისა არის განსაზღვრული ჩვეულობრივ წესით, იმ წესით, რომელიც ამბობს, რომ ყოველ დეპუტატს შეუძლიან ილაპარაკოს ერთი საათი, და მე ვთხოვ თავმჯდომარეს, რომ ეს დრო მომანიჭოს, რომ დავიცვა ის აზრი, რომ საჭიროა ამ შეკითხვის განხილვა, თანახმად 82 მუხლისა.

**თავმჯდომარე.** ეს შეკითხვა შემოტანილი იყო წარსულ კრებაზე,



გამოცხადებული იყო მდივნის მიერ. განხილვამდის პარლამენტი არ ჩასულა, რადგანაც კრება შეწყვეტილი იყო, საქმის ვითარება ისეთი იყო, რომ მაშინ წესრიგი ბოლომდე განხილული არ ყოფილა. რაც შეეხება ეხლანდელ ვანბარტებას, რასაკვირველია, ამ მკ მუხლში მოხსენებული არ არის, მაგრამ 76 მუხლში დღიურ წესრიგზე არის ლაბარაჟი, რომ ამ სავანზე სიტყვა განსაზღვრულია მომხრეს და მოწინააღმდეგესა. მხოლოდ ვითარება საქმისა ასეთი ვახლავთ. საბჭოზე არის დამოკიდებული და პრეზიდიუმზე რომელიმე საქმის განხილვა უნდა საბჭოს თუ არა. ეს რასაკვირველია, მაშინ შეიძლება, როდესაც ამ საკითხამდინ მივალთ და შე ვაცხადებ, რომ ეს საკითხი იყო შემოტანილი წესრიგში. ესე ესთქვათ დროს უქონლობის გამო გადადებული არის. და როდესაც ამ საკითხამდე მივალთ, მაშინ ინებოს საბჭო სთქვას: უნდა ამ საკითხის განხილვა თუ არა, ესე იგი რა აზრს გამოსთქვამს საბჭო იმ აზრზე უნდა დავდგეთ, ეს საბჭოზე არის დამოკიდებული. 77 წუთს მივცემ მომხრეს 77 წუთს მოწინააღმდეგეს, ეხლა თქვენ მოვცემთ სიტყვას, რომ დღიკათ ეს საკითხი.

**გ. ვეშაელი.** მე ბოდიშს მოვიხდით, რომ რეგლამენტის 76 მუხლი არ ამბობს შეკითხვის უარყოფაზე, ამბობს შეკითხვის მიმართულების შესახებ. რასაკვირველია უმრავლესობას შეძლება აქვს ყველაფერი მოახერხოს. მე ვთხოვთ ეს მუხლი წაიკითხოთ. (არსენიძე: არ შეეხება) ეს შეეხება, ბატონებო, წესრიგში შეტანილ საკითხის უარყოფას? თუ ეს შეეხება მაშინ...

**თავმჯდომარე.** მე მგონი, რომ მჯელობა იმის შესახებ—მიიღებთ თუ არ მიიღებთ, ზედმეტია. ეს საკითხი მაშინ უნდა გადასწყდეს, როდესაც წესრიგში მივალთ იმ საკითხამდე და მანამდისინ წესრიგიდან ამოწლი იმ საკითხისა, რომელიც ერთხელ მიღებული იყო, მე როგორც თავმჯდომარეს უხერხულად მიმაჩნია, იმისთვის გადავდივართ სხვა საკითხზე. როდესაც ამ საკითხამდე მივალთ, მაშინ იქნება ამ საკითხზე ბაასი.

**ი. წერეთელი** შეიძლება რეგლამენტის დარღვევაზე?

**თავმჯდომარე** ინებეთ.

**ი. წერეთელი.** ეს მართლა არაჩუ უღებრივი შემთხვევაა. ჩვეულებრივ პრეზიდიუმში წესრიგს კიბხულობს და პარლამენტი ამტკიცებს ამ წესრიგის ყველა საკითხს. დღეს, ის წესრიგი, რომელიც წაიკითხა თავმჯდომარემ დამტკიცებული არ არის, იმიტომ რომ, ერთმა ფრაქციამ აღბრა საკითხი, ამ წესრიგის ერთი მუხლის, ჩამოხსნის შესახებ, როგორც ისეთი მუხლის, რომელიც არ შეეხება საქართველოს მთავრობის საქმიანობას. ჩვენ ვეთანხმებით აქ თავმჯდომარეს. თუ ეს წესრიგი დამტკიცებული იქნება, შემდეგ, როდესაც გადავალთ იმ მუხლზე შეგვიძლიან აღვძრათ ამ საკითხის მიმართულების შესახებ კამათი. მაგრამ ჩვენ დღეს ვითხოვდით, რომ ჩვენს წერილობითი წინადადებებს კენჭი უყაროთ, რომ წესრიგიდან ერთი მუხლი ამოღებული იქნეს. მე მგონია, რომ ეს შეადგენს ფრაქციის უფლებას ამიტომ ვთხოვთ თავმჯდომარეს ერთმა ილაბარაკოს მომხრემ, ერთმა კი მოწინააღმდეგემ ხუთ-ხუთ წუთით, და კრება, ხმის უმრავლესობით გასწყვეტს, დარჩება თუ არა ეს შეკითხვა წესრიგში, თუ დარჩება, მაშინ ყოველივე კამათი შესახებ იმისა—შეუძლიან კრებას ეს მუხლი როგორც შეუფერებელი სრულიად ჩამოიხსნას წესრიგიდან თუ არა, —კენჭის ყრით გადასწყდება. ჩვენ მოვითხოვთ კენჭის ყრას.

**თავმჯდომარე.** ამ წინადადების მომხრემ ილაპარაკა და წინა აღმდგეს არ ულაპარაკნია. ვისაც სურს წინააღმდეგ ილაპარაკოს, ნებას მივცემ. მაგრამ ვიდრე ამაზე გადავალთ, — კრებამ უნდა რეგლამენტი შესცვალოს. ან უპრაქტიკოა და დაკანონოს უკვე ერთხელ მიღებული წესრიგის მუხლი, განსაკუთრებით ეს შეკითხვა, თუ ენებება საბჭოს, რომ მეორე კრებამ მოხსნას წესრიგიდან... (ხმა: — ჩვეულებრივ), ჩვენულებრივ არ არის მიღებული მოხსნა წესრიგიდან. რეგლამენტი არ განსაზღვრავს ამას. ეს ახალი პრაქტიკა, ახალი ჩვეულების შემოღება არის. არ ვიცი ისურვებს ამას საბჭო თუ არა. მე კი პირადად მგონია, რომ საქმე საკითხის მიმართულებაზეა. მიიღებს თუ არა ამ შეკითხვას საბჭო, ამის შესახებ კამათზე მაშინ გადავალთ, როდესაც უკვე მიღებულ საგანზე გვექნება მსჯელობა. მაშინ შეიძლება მსჯელობა იმის შესახებ, შეიძლება მოიხსნას შეკითხვათუ არა.

მე მგონია, რომ აქ საბჭოს ამ საკითხს რეგლამენტის შეცვლით გადასწყვეტს. შესაძლებელია მივიღოთ ეს პრაქტიკა, რომ უკვე აღძრული ხაკითხი ერთხელ შემოტანილი მეორე ხელ ამოვშალოთ წესრიგიდან.

**ა. ჯაჯანაშვილი.** პრაქტიკაზე თუ ვიტყვით, უპირველესყოვლისა პრაქტიკა ისეთია, რომ აუცილებლად საჭიროა კრებამ დღიური წესრიგი და პრაქტიკოს და შეძლევ გადავიდეთ იმის განხილვაზე. თუ ჩვენ შეუდექით წესრიგის განხილვას იმ სახით, რა სახითაც წარმოდგენილია, მაშინ ის მუხლი, რომლის განხილვა პარლამენტს არ სურს — ეს უნდა მიღებულად ჩაითვალოს: ეს შეიძლება პარლამენტს არ უნდა. სამართლიანათ მიმაჩნია, უპირველესად ყოვლისა, კენჭის ყრა. დამტკიცებს საბჭო პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ წესრიგს თუ არა. როდესაც ეს საკითხი გადაწყდება, მაშინ შეიძლება კრებამ განიხილოს საკითხი, ყველა კერძო საკითხების ამა თუ იმ მიმართულების შესახებ.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი?

**გ. ვეშაპელი.** რეგლამენტის დარღვევის გამო!

**თავმჯდომარე.** ინებეთ.

**გ. ვეშაპელი.** შეკითხვის შესახებ აქამდის იყო მხოლოდ ერთი მუხლი ნ 6: მთავრობა შეტანილ შეკითხვას პასუხს გასცემს, ან დაუყოვნებლივ, ან ერთ-ერთ მახლობელ სხდომაზე; ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს ერთი კვირისა, დღიდან შეკითხვის საბჭოს სხდომაზე გამოცხადებისა.

და მეორე: საბჭოს წევრმა მთავრობის მიმართ შეკითხვა წერილობით ურდა შეიტანოს სხდომის დაწყებამდე. თავმჯდომარე იმ შეკითხვას მოახსენებს საბჭოს სხდომის დასასრულ და პირველ სიტყვას შემკითხველს აძლევს.

ასეთი არის პრაქტიკა. ეს კანონიც ასეთი არის: რომ შემოიტანენ შეკითხვას მოხსენდება ეს საბჭოს და მეორე კრებაზე კიდევ მოხსენდება სანამ რეგლამენტი არ იქნება შესრულებული, და რეგლამენტით კი თავმჯდომარე ვალდებულია, სხდომის დასასრულს პირველი სიტყვა მისცეს შემკითხველს, მანამდის არც იურიდიული, არც ხნეობრივი უფლება პარლამენტს არ აქვს დაეთანხმოს უმრავლესობის ფრაქციას, იმ ფრაქციის აზრს, რომლის შესახებ არი შეტანილი შეკითხვა, — შეკითხვა მილიონების დახარჯვაზე. წინა სხდომაზე ეს შეკითხვა მოხსენებული იყო. (ი. წერეთელი: „რომელ ფრაქციას“? ხმაურობა).



**თავმჯდომარე.** გთხოვთ დაიცვათ წესიერება, გთხოვთ (ხმაურობა) აღვილიდან ნუ ლაპარაკობთ.

**გ. ვეშაბელი.** თქვენ ფრაქციას. სანამ პარლამენტი არ გაიგებს რეგლამენტის მიხედვით ვის შეეხება შეკითხვა, ნუ თუ საქართველოს პარლამენტი შექმნის ისეთ პრეცედენტს, რომლითაც უმრავლესობის ფრაქციას უფლება მიეცემა, ყოველი შეკითხვა მოხსნას მექანიკურად წესრიგიდან კამათის დროს, და მით საშვებლბა მოუსპოს უმცირესობას აღძრას რომელიმე საკითხი, უმრავლესობის მოქმედების შესახებ: (ხმა— „ცილისწამება“ არსენიძე—ნ წუთი უკვე გავიდა. მე რეგლამენტის შესახებ ვთხოვლობ სიტყვას). მე მინდა ვისარგებლო მოწინააღმდეგის სიტყვით, რაც შეეხება მოწინააღმდეგეს—მეჩვენი ფრაქციის სახელით კატეგორიულ პროტესტს ვამცხადებ მთელ პარლამენტის წინაშე, მთელ საქართველოს წინაშე, რომ ყველამ გაიგონოს, ვისაც შეუძლია კითხვა და სმენა, რომ ეს ფრაქცია, რომელმაც 30 მილიონი ხარჯი ჩაიგდო და... (ხმა:—ეს არსებითად არის! რეგლამენტის დარღვევის შესახებ... ხმაურობა.) მე ვისარგებლობ მოწინააღმდეგის სიტყვით. მე პროტესტს ვაცხადებ, რომ მოიხსნას შეკითხვა იმ ფონდის შესახებ, რამლის შესახებ უკვე გატარებულია სახელმწიფო წიგნებში და მხოლოდ 1/3 მთავარ პარტიას დარჩა, რომ დამუშავებელ კრების არჩევნები მოაწყოს და ხალხი უკან გაიყოლოს... (ხმა—გთხოვთ შეაჩეროთ.)

**თავმჯდომარე.** გთხოვთ წესიერება დაიცვათ.

**რ. არსენიძე.** მოქალაქენო საბჭოს წევრონი! აქ 2 კითხვა აშკარად გამოირკვა. ერთი,—გვაქვს რეგლამენტის ძალით უფლება ეს კითხვა გადადის თუ არა. ყოველ საკითხი კრების წინ შემოტანილი კრების ბოლოს დაისვება. ეს საკითხი შემოტანილი იყო კრების წინ და შემდეგ უნდა გადაესულიყავით იმის გარჩევაზე, მაგრამ შემდეგ შესწყდა კრება და ამ საკითხისთვის დრო არ დარჩა. დღეს ეს საკითხი ხელახლად შემოდის, ეს საგანი ხელახლად სდგება პარლამენტის წინ. ესე იგი უნდა ვიცოდეთ—ეხება თუ არა პარლამენტს. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს პარლამენტის საგანს არ შეადგენს. და რაც აქ ბრძანა პარლამენტის წევრმა ვეშაბელმა აშკარად სჩანს, რომ მთავრობას ეს არ ეხება. ვეშაბელი ამბობს: „აღბათ სოციალ დემოკრატიაში, ირაკლი წერეთლის ფრაქციამ, მთავრობის პარტიამ წაიღო ეს ფული“ (ვეშაბელი: ეს ერთი და იგივე ხალხია) ცხადია, უნდა გქონდეს მსჯელობა, და ჩვენ ვამბობთ არ უნდა იყოს განხილული პარლამენტში იმიტომ რომ, ეს შეკითხვა არ ეხება მთავრობას, ეხება მხოლოდ, თუ ესმის შემკითხველს, სხვა ვისმის, იმისთვის არსებობს არა პარლამენტი სხვა დანარჩენი ტრიბუნები, პრესა, პიტინგები, ჟურნალისტიკა, მაგრამ არა პარლამენტი. პარლამენტს აქვს თავისი საკანონდებლო მოქმედება და მთავრობას აქვს თავისი საქმე. და როდესაც რეგლამენტის ძალით ვამბობთ, რომ ეს კითხვა, რომელიც აქ დასვეს, არ ეხება პარლამენტს და მოხსნილი უნდა იყვეს—ეს სრულიად სამართლიანი მოთხოვნრილებაა, სრულიად სამართლიანი.

ამ ემად, როდესაც გვაქვს წესრიგზედ მსჯელობა, ეხლა უნდა შემოგვეტანა წინადადება ამ საკითხის შესახებ ეხლა უნდა გადავცქრა. არავითარი დარღვევა რეგლამენტისა, ჩემის აზრით, არ არის. აქ სრულიად დაცული არის რეგლამენტის ყოველი მუხლი. რეგლამენტი ვეშაბელისთვის კი არ იყო დაწერილი. როდესაც ვეშაბელი შემოიტანს



მაშინ იმსჯელოთო, როდესაც შემოტანელმა შეკითხვა, ან სხვა რაიმე საგანი შეგვიძლია ვიმსჯელოთ, და ცალკე ვეშაბდოსთვის კი არ იყო რეგლამენტი დაწერილი.

### კრების შეწყვეტა.

**თავმჯდომარე.** ვინაიდან საგანი გაურკვეველია — შევწყვიტოთ კრება ათი წუთით და პრეზიდიუმს მოვახსენებთ თავის აზრს, კრება სწყდება I საათ. 50 წ.

### კრების განახლება.

კრება იხსნება 2 საათსა და 25 წითზე.

**თავმჯდომარე:** კრება გრძელდება. ვინაიდან რეგლამენტის 16-მუხლის ძალით, პრეზიდიუმს უნდა განემარტა რეგლამენტის მიმართულება, ჰქონდა ბჭობა ამის შესახებ და გადაწყვეტილებას მოვახსენებთ მდივანი. (მდივანი კითხულობს)

### პრეზიდიუმის განაჩენი.

I. დღიურ წესრიგიდან შეკითხვის ამოშლა (შეკითხვა შეგნებოდა 30 მილიონ სალიკვიდაციო ფონდს) შეუძლებელია, ვინაიდან იგი მიღებული იყო და გამოცხადებული წასრულ კრებაზე.

II. თუ რა მიმართულება მიეცეს შეკითხვას, მიღებულ იქნას განსახილველად პარლამენტის მიერ თუ არა — ეს უნდა გადაწყდეს მაშინ, როდესაც ამ საკითხის განხილვის რიგი დადგება და გამოქვეყნდება შეკითხვის წერილობითი ტექსტი.

III. ვიდრე პარლამენტი შეკითხვის განხილვას შეუდგებოდეს — თანახმად § 82, მიიღოს თუ არა პარლამენტმა შეკითხვა განსახილველად, სიტყვა ეძლევა ერთ მომხრეს და ერთ მოწინააღმდეგეს.

IV. ირატორთა დრო განისაზღვრება 5 წუთით.

ამ სახით დღეს წესრიგი მიღებულია და გადავდივართ შორივ საკითხზე: მომხსენებელი ვახუაძე ბ-ნი შ. ამირეჯიბი.

### საბოლოო ტექსტი რეგლამენტის დამატებისა ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარებისა.

**შ. ამირეჯიბი:** რეგლამენტის დამატება. წესი ენათა ხმარებისა. მუხლი I (კითხულობს) პარლამენტის წევრები სიტყვას წარმოიტყვიან ქართულის ენით.

უცვლელად გახლავთ მიღებული.

მუხლი 2. (კითხულობს) პარლამენტის უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც ქართული ენა არ იცის, შეუძლიან სიტყვა წარმოასთქვას, გარდა თავისი დედა-ენისა, უმცირესობის ენით, რომელიც პრეზიდიუმის ერთმა წევრმა მაინც იცის.

პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში ვახლდათ უმცირესობის ენაზე.

ჩვენ შევასწორეთ უმცირესობის ენით.



ველ უმრავლესობად.— აი ამ უმრავლესობის წინადადება ჩვენ მიგვაჩნია ძირითად კანონის დარღვევად.

ჩვენი მთავრობის მოამბეში „საქართველოს რესპუბლიკაში“ წარსულ კვირის ოქტომბრის ექვსის ნომერში არის დაბეჭდილი შემდეგი განცხადება ოფიციალურ განყოფილებაში: (კითხულობს):

### კანონი საქართველოს სახელმწიფო ენისა.

#### I.

1. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

შენიშვნა: ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარება ხხვა და სხვა დაწესებულებაში ცალკე კანონით განისაზღვრება.

#### II.

2. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველნაირი საქმი სწარმოება და კამათი უნდა იყოს ქართულს ენაზედ.

3. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, შეუძლიან სიტყვა წარმოიტყვას დედაენით.

შენიშვნა: წესი ენის ხმარებისა და თარგმანისა განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც საბჭო შეიმუშავებს.

ესე იგი შესრულებულია ყოველივე ტექნიკური საშუალებანი, რომ ეს კანონი იყოს სავალდებულო ყოველ მოქალაქესათვის. მით უფრო იმისთვის, ვინც კანონს სწირს, და ეს კანონი რომ ძირითადია ეს ცხადია, იქიდან, რომ ის შეეხება ისეთ საკითხს, როგორც არის ეროვნებათა უმცირესობის უფლება; ეს არის საკითხი კონსტიტუციისა, ესე იგი საკითხი ძირითადი კანონისა, ეს ძირითადი კანონი ამბობს, რომ არა ქართველ დემუტატებს უფლება აქვთ პარლამენტში სიტყვა წარმოიტყვას დედა ენაზე თუ სახელმწიფოებრივი ენა არ იციათ. მაშინ ეს სიტყვა, ეს ტერმინი—დედაენა არის სავალდებულო კანონმდებლებისათვის და როდესაც მათ შემოაქვთ აქ თავიანთი წინადადება თანახმება ამას თუ არა სარეგლამენტო კომისიის უმცირესობა და სოც.-დემ. ფრაქცია, მისი ბლოკის წინადადებით? რასაკვირველი არა. აქ, ამ წინადადებაში მართალია პირ და პირ არის ნათქვამი, რომ რეგლამენტი არა ქართველ დემუტატებს უფლება ეძლევათ ილაპარაკონ არა დედა ენაზე, მაგრამ აქ სწერია, რომ უფლება ეძლევათ ილაპარაკონ იმ უმცირესობის ენაზე, რომელიც ესმის პრეზიდენტის ერთ ერთ წევრს. რადგან დედა ენა არ არის ნახმარი, როგორც ტერმინი მაშინ. (ხედავთ ამ ტერმინის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ილაპარაკონ იმ ენაზე, ეს არის პირ და პირ დარღვევა სახელმწიფო ძირითადი კანონისა და თუ ფორმალურ მოსაზრებას თავს დედა ენაზე, მიღებული კანონი სავალდებულოა, მით უმეტეს, რომ, საქმე შეეხება კანონის ტარებისას. ესე იგი არსებითად საქმე გვაქვს იმავე დარღვევით, რასოდენის საკითხთან, რომელიც ისე ვლახად დაიცვა წინადადებამ, რომელიც წერეთელმა და ისეთი წინადადება შეზღუდვანა, რომლითაც ვერ ვათ



ყვანა თავის სურვილი, სახელდობრ—რუსულ ენის პარალელულ სახელმწიფო ენად აღიარება პარლამენტში.

მაშინ აქ, პარლამენტში სულ სხვანაირი სულის კვეთება იყო. სოც.-დემ. ფრაქცია ხმებს აძლევდა ამ საკითხში არა ერთიანად, არამედ გაყოფილად. თვით ის წევრი პარლამენტისა ბ. არსენიძე, რომელიც დღეს იცავს არა დედა ენაზე ლაპარაკის უფლებას, და ამით არღვევს ძირითადად კანონს, —ის სწორედ მაშინ იყო წინააღმდეგი ყოველი წინადადებისა, ყოველ შენიშვნის დაკანონებისა, რომელიც შეძლებას მისცემდა არა ქართველ დეპუტატს ელაპარაკნა არა მშობლიურ ენაზე, სახელმწიფო ენისუცოდინარობის გამო, არამედ რუსულ ენაზე.

მე ვწუხვარ, რომ არ არის მზად პირველ ოქტომბრის პარლამენტის სხდომის ოქმები, რომ ჩვენ დღეს წაგვეკითხა, თუ რას ფიქრობდა ერთის კვირის წინ სოციალ დემოკრატიულ ფრაქციის პასუხის მგებელი წარმომადგენელი, მაგრამ დედა აზრი ცხადია. ყველას ახსოვს ეს კატეგორიული განცხადება ბ. არსენიძისა, რომლითაც სასტიკად სჯიდა ზნეობრივად პარლამენტის იმ დეპუტატებს, რომელთაც არც სახელმწიფო და არც მშობლიური ენა არ იციან. მან სთქვა, რეპლიკა მისცა, რომ ასეთ დეპუტატებისთვის ჩვენ კანონს არ ვსწერთო, და დღეს, სწორედ ასეთ დეპუტატებისთვის სწერს კანონს ბ. არსენიძე.

რა კომბინაციის ბრალია ეს, საერთაშორისო, თუ საშინაო კომბინაცია, —არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მთლიან შემარცხნე ფლანგთან, როგორიც არის სოციალ-დემ.-მენშევიკები და სხვა ეროვნებათა უმცირესობას დეპუტატები, — არა ქართველი დეპუტატები. და როგორც სჩანს დღეს არაერთიანი გაყოფა არ არის ქართველ დეპუტატთა და არა ქართველ დეპუტატთა შორის, რომელთა მანდატები ჯერ კიდევ კანონით არ არის დამტკიცებული.

პარლამენტი მზად არის, რომ დაეხმაროს თავიანთ ხმებით სოც.-დემ. ისეთ საკითხის გადაწყვეტაში, რომელიც ზნეობრივად უნდა შეადგენდეს საქართველოს სახელმწიფოებრივ ტრადიციას. ასეთი უფლება არის მოპოებული ხმებით და მხოლოდ ხმებით. საკითხის ასე გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ხმებით და ამ შემთხვევაში ჩვენ გვეცოდინება, რომ ჩვენ გვაქვს საქმე, საქართველოს პარლამენტში არა ერთა უმცირესობასთან, არამედ არა ქართველ უმრავლესობასთან, რომელიც სწყვეტს საქართველოს წინააღმდეგ საკითხებს ინტერნაციონალისტების პარტიასთან ერთად. რა გარანტიები და კომპენსაციები არის დაპირებული ამ საკითხის გამო, პარტიების შორის. (ბ. არსენიძე: — „რა სისულელეა“) მე არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ აქ საქმე გვაქვს ძირითად კანონის დარღვევასთან. კანონი გამოცხადებულია მთავრობის გაზეთში და დღეს კი სახელმწიფო, საარეგლამენტო კომისიის, შემოაქვს ისეთი წინადადება, რომელიც არღვევს სახელმწიფო კონსტიტუციას.

ასეთი განმარტება კანონისა—კანონის გარდახვევა, რომელიც აქ მოგვაწოდა საბჭოს წევრმა ბ. არსენიძემ. ამ განმარტებას დემოკრატია ჩვეული იყო ძველ დროიდან მხოლოდ უმარტებულესი სენატისაგან. ყველასათვის ცნობილი იყო სენატის განმარტება, რომელიც სამასწაროდ იყო აღდებული საერთოდ საქართველოში. როცა სენატის განმარტება გამოცხადდებოდა საქმე ჰქონდათ ზოქალაქეებს კანონის გარდახვევასთან. ჩვეულებრივ ამბობდნენ—კანონი იმისთვის იწერება, რომ

მას გვერდი აუხვიონო. საერთოდ, აქ პრეცედენტი იქმნება, როდესაც ბ. არსენიძე წინადადებას გვაძლევს, რომ შევცვალოთ კანონი რეგლამენტის წესითო.

შეიძლება ბ. არსენიძე ფიქრობს, რომ ეს პრეცედენტი ძირითად კანონის დარღვევისა ერთი კვირის შემდეგ, როცა კანონი გამოცხადებულია მთავრობის მოამბეში, — მხოლოდ და მარტო მის პარტიის კუთვნილება არის და ვერც ერთი სხვა პარტია ვერ გამოიყენებს ასეთ ჩვეულებას ძირითად კანონის შეცვლისას. მაგრამ თუ ბ. არსენიძე და მისი ამხანაგები ფიქრობენ, — რომ მალა აყენებენ სახელმწიფოს, მოქალაქის და სამართლის უფლებას, სინიღისს და ტრადიციას — მაშინ მათ უფლება არა აქვთ ისე ადვილად მოუწოდონ პარლამენტს, რომ მან პრეცედენტი წაიღინოს.

რაც შეეხება პრაქტიკულად ამ საკითხს — ეს მაშინ უნდა სცოდნოდეთ იმათ, ვინც წინააღმდეგი იყო იმისა, რომ პარლამენტში მარტო ქართული ენა უოფილიყო სახელმწიფო ენად.

როცა დღეს ბ. არსენიძე იძულებულია ძირითადი კანონი დაარღვიოს და თავს იმართლებს იმ არგუმენტებით, რომელიც აქ არა სოციალდემ. ფრაქციებმა წარმოსთქვეს, როდესაც ამტკიცებდნენ, რომ უხერხულია მარტო ქართული ენა არ იყოს სახელმწიფო ენად პარლამენტში. ბ. არსენიძეს ყველა ეს არგუმენტები მოიყვანა იმის დასამტკიცებლად, რომ უხერხულია — ქართულ ენის გარდა დაუშვათ ისეთი სხვა რომელიმე ენა, რომელიც არ იქნება ვასაგები პრეზიდენტის ერთერთ წევრისათვის. ასე, რომ იგი წინააღმდეგია უკვე ფიქტიურად დედა ენის ხმარებისა, ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ ვთქვათ, რომ ასეთი პრაქტიკული, ასეთი დისკურსებით გამოკვლევა ასეთი პარლამენტისა — უფრო ადრე უნდა მოგეფიქრებინათ.

დღეს ჩვენ გვაქვს კანონი, რომელიც ნებას რთავს, არა ქართველ დეპუტატს ილაპარაკოს სამშობლო ენაზე, და ჩვენ ძალა უნებურად, ვისაც შეიძლება არ უნდათ. — ისინიც იძულებულნი არიან ეს კანონი შესრულონ. არავითარი ტენიკური დაპროკლება, ფაქტიურად აწი აქ მოსატანი არ არის. კანონი გამოცხადებულია, მიუხედავად იმისა, რომ ჰბადებს პარლამენტისთვის და ჩვენ ვაღდებულნი ვართ, ყველა ტენიკური საშუალება გამოვანათ და ეს კანონი შევასრულოთ. და ამ კანონის შესრულება საჭირო არის. ბ. არსენიძე ბრძანებს, — როგორ შეიძლება პარლამენტში ისეთ ენაზე ილაპარაკონ, რომელიც არ ესმის პრეზიდენტის რომელიმე წევრსო.

აქედან რა გამოდის? გამოდის ის, რომ თქვენ ლოდიკურად უნდა გადასდგათ შემდეგი რამდენიმე ნაბიჯი, და დააკანონოთ არა ქართულ ენის ხმარება საქართველოს პარლამენტში, ან და ამიტომ უნდა შესცვალოთ ძირითადი კანონი, რომ პრეზიდენტში არ არიან ისეთი, რომელსაც ესმოდეს რომელიმე არა ქართული ენა. მაშინ ვაღდებულნი ხართ ლოდიკურად პრეზიდენტში მიიწვიოთ ისეთი უმცირესობის წარმომადგენლები, რომელნიც უხელმძღვანელებენ იმ ეროვნულ არა ქართულ ენაზე მოლაპარაკე ორატორებს. ამ შემთხვევაში მენ შევიკური კომპრომისი ლოდიკურად საჭირო არ არის. მოიწვიეთ ასეთი პირები და მაშინ პრეზიდენტში გეყოლებათ ისეთი წევრებიც, რომელთაც ეცოდინებათ ქართული, სომხური, თათრული და სხვა ენები. რატომ გეშინიათ ამისა? ძირითად კანონის შეცვლის მაგიერ შეგიძლიანთ გადალა-



ხოთ ტენნიკური დაბრკოლება, გაადიდოთ პრეზიდიუმის რიცხვი და პარლამენტში გეყოლებათ ისეთი პირნი, რომელთაც ეცოდინებათ არა ქართული ენა.

მეორე—თუნდაც, რომ პრეზიდიუმს თავი დავენებოთ—აქ პირდაპირ სწერია, რომ თარჯიმანების საკითხი არის დაკავშირებული ახალ წესზე, მაგრამ მანამდის ხომ უნდა დაუშვათ, რომ არა ქართულ დეპუტატმა ილაპარაკონ იმ ენაზე, რომელიც ესმის მათ უმრავლესობას და პრეზიდიუმს.

ეს ენა არის, ცხადია, რუსული ენა.

ხომ არ შეიძლება მარტო თარჯიმანის ფისკალური მოსაზრების გამო, რომ მათ ჯამაგირი სჭირიან, ან ტენნიკური დაბრკოლების გამო, რომ საჭიროა გამონახვა ოფიციალურ თარჯიმანების, — თქვენ სცვალოთ კანონი ერთი კვირის განმავლობაში, თუ კი ჩვენ სახელმწიფოს მილიონები ეკარგება იქიდან, სნდაც ფული იბეჭდება, თუ კი არა ნაკლები თანხა იხარჯება ისეთ რამეებზე, რომ ბოლოს გამოდის, რომ ეს არის არა საწარმოებელი, არა მიზან შეწონი ხარჯი, და რასაკვირველია ამას ურიგდება ჩვენ სახელმწიფოს მეთაურების ფინანსიური მინისტრი, — ნუ თუ იმის გამო, რომ თარჯიმანების მოწვევა გამოიწვევს მეტ ხარჯს, ნუ თუ ის მოსაზრება, რომ საჭიროა მათზე ფულის დახარჯვა, რათა შეძლება მივცეთ დეპუტატებს შეასრულონ ძირითადი კანონი, — ნუ თუ ამის გამო ჩვენ იძულებული უნდა გავხდეთ გადავლახოთ ძირითადი კანონი ერთი კვირის შემდეგ?!

ამიტომ ჩვენი წინადადება არის ასეთი: სარეგლამენტო კომისიას უფლება არ ჰქონდა, წარმოედგინა სარეგლამენტო კომისიის უმცირესობის ისეთი აზრი, რომელსაც მხარს უჭერს ერთი ფრაქცია, და რომელითაც ირღვევა ძირითადი კანონი. ეს ასეთი უმცირესობის აზრის წაშლადკენა სარეგლამენტო კომისიის მუშაობის წესით ყოველად შეუძლებელია.

თუ საკ.-დემ. ფრაქციას არ მიაჩნია უზერხულად ყველა ამ მოსაზრებას და კიდევ სხვა მოსაზრებას გამო, ძირითად კანონის ცვლა ერთი კვირის ძეგლზე, თუ მას არ მიაჩნია უზერხულად ასეთ პოეტიკურ დანაშაულზე — ჩვენ მაშინ ფორმალურად მაინც უნდა შევასრულოთ წესი სარეგლამენტო კომისიისა.

ჩვენ ასეთ წინადადებას ვერც კენჭს უყრით და ვერც მივიღებთ.

ეს საკითხი უწდა აღიქმას ამ კომისიაში და დადგინოს ისეთმა კომისიამ, რომელმაც წინაღ შეიმუშავა წინანდელი დებულება, ესე იგი საკონსტიტუციო კომისიამ. ეს არის საკითხი საკონსტიტუციო კომისიისა, კანონმდებლობისა. ამიტომ ჩვენი წინადადებაა, ეს ორი წინადადება სარეგლამენტო კომისიისა — უმრავლესობისა და უმცირესობისა, რადგან მეორე წინადადება წინააღმდეგია ძირითად კანონისა და რეგლამენტის წესით არ შეიძლება განხორციელდეს, — გადაეცეს, დაბრუნდეს ხელახლად განსახილველად სარეგლამენტო კომისიაში.

**თავმჯდომარე.** მე არა მაქვს არავითარი წერილობითი წინადადება და იმიტომ ვერც კენჭს უყრი და ვერც პასუხს გავცემ არავის. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს საყვარელად ვავლეს.

**პავლე საყვარელიძე.** (აღიიონელი) ბატონებო! აქ ორი პროექტი



არის წარმოდგენილი: ერთი—უმრავლესობის და მეორე უმცირესობის მე მგონია, რომ პარლამენტი კარგს იხავდა, თუ დაუფკირდებოდა და გაითვალისწინებდა ორივე პროექტის შინაარსს. ერთი პროექტი სრულიად უარყოფს პროექტს უმცირესობისას, რომელიც წარმოადგინა საბჭოს წევრმა რაჟდენ არსენიძემ. მართლაც და, როგორც შენიშნა დამ უკიდებელ ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის წარმომადგენელმა, ამ უმცირესობის კანონ-პროექტის დამცველი უსათუოთ არღვევს ძირითად კანონს, რომელიც საბჭოსმიერ მიღებულია. უმცირესობის კანონ-პროექტის დასაცავად, რომელიც არღვევს ჩვენ მიერ მიღებულ ძირითად კანონს ბატონ არსენიძემ ვერავითარი არგუმენტი ვერ წამოაყენა. ვერავითარი მქვემეტყველობით, ვინც უნდა ავიდეს ამ ტრბუნაზე, ვერ დაატყვიებს, რომ ეს ორი პროექტი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან. შესაძლებელია, პარლამენტი შესცდა მიღებაში, შესაძლებელია მართლა გლახა გზას დაადგა, მაშინ უნდა დაისვას საკითხი ამ შეცდომის გასასწორებლათ მეორე კანონის მიღების შესახებ. იმის მტკიცება, რომ ამ რეგლამენტის წესით წარმოდგენილი უმცირესობის პროექტი არ ეწინააღმდეგება კანონს—ეს უბრალო გაუგებრობაა. მე მგონია, ეს იმდენად აშკარაა, რომ ბევრ ღროს არ დავკარგავთ მის განხილვაზე. მიუაქციოთ ყურადღება შემდეგ გარემოებას. ამ წინადადების დასამტკიცებლად ისეთი არგუმენტი იყოს წამოყენებული, რომ ეს კანონით არ არის აკრძალული, პირდაპირ არ არი ნათქვამი, რომ ასეთი ცვლილების შეტანა არ შეიძლებაო,—ბატონგბო, კანონში სწერია: ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლის მიერ დედა-ენაზე წარმოთქმული სიტყვის შინაარსს მთარგმნელი აცნობს პარლამენტს, თუ ორატორი წინდაწინვე თითონ წარმოადგენს თარგმანს, იგი წაკითხულ იქნება სავსებით სიტყვის წარმოთქმის შემდეგ.

კანონმდებელსა, პარლამენტს წარსულ კვირაში ნუ თუ არ შეეძლო დაემატებინა, რომ ვინც ქართული ენა არ იცის, ვისაც სახელმწიფოებრივ ენაზე არ შეუძლიან სიტყვის წარმოთქმა, მას შეუძლიან სიტყვა წარმოთქვას იმ ერთა უმცირესობის ენაზე, რომელიც პრეზიდიუმის ერთმა წევრმა მაინც იცის. ცხადია, მთელი აზრი პარლამენტის და კანონმდებლობის იყო მიმართული სწორედ იმ წინადადების წინააღმდეგ, რომელიც აქ გამოხატულია იმ სარეგლამენტო წესით, რომელიც წარმოდგენილია უმცირესობის მიერ წარმოდგენილ დებულებაში. ეს არის ნათელი და აშკარა. თვითონ ბ. არსენაძე საკანსტიტუციო კომისიაში, რომლის წევრი მეც ვახლავართ და ისიც, ამ წინადადების მომხრე იყო. ის არ იყო მომხრე, რომ მოგვემატა შემდეგი: ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც ქართული ენა არ იცის, შეუძლიან სიტყვა წარმოთქვას, გარდა თავის დედაენისა უმცირესობის ენაზე, რომელიც პრეზიდიუმის ერთმა წევრმა მაინც იცის. ბატონი არსენიძე სასტიკად იცავდა იმას, რომ ჩვენ უფლებას ვაძლევთ არა დებუტატს, არამედ ეროვნებას. ეს არის სამართლიანი არგუმენტი. ჩვენ ამ უფლებას ვაძლევთ არა დებუტატს, არამედ ეროვნებას.

ჩვენ არ ვაწარმოებთ აგრესიულ და სასტიკ პოლიტიკას, რომელიც წარმოაყენა ძარჯენი ბ. ვეშაბელმა. ჩვენ უმცირესობის წარმოდგენლების წინააღმდეგ არასოდეს არ ვყოფილვართ. ჩვენ სრულიათ შეგნებით და აშკარათ, გულწრფელათ ვაძგვეართ დემოკრატიულ



გზას და ჩვენი რესპუბლიკა მართლაც დემოკრატიული რესპუბლიკაა და არავითარი ჩაგვრას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მხოლოდ აქ არის კითხვა არა ჩაგვრისა, არამედ აქ არის საკითხი მთელი სახელმწიფოს შენებისა. სომხები, თათრები, ადგილობრივი ებრაელები, ყველა დაწმუნებულია რომ საქართველო ერთ ენოვანი რესპუბლიკა არის, არა ფედერატიულია, არა მრავალი ენიანი სახელმწიფო, არამედ ერთი ენიანი, ერთ ენოვანი. მაშასადამე ისინი, ესე იგი, ის უმცირესობა არასოდეს არ იქნებიან იმის მომხრე, რომ ჩვენი სახელმწიფო გადაიქცეს ფედერატიულ რესპუბლიკად. ისინი აღიარებენ თავიანთ გაზეთში, აღიარებენ ყველგან, რომ საქართველო ქართველი—სახელმწიფო არის, და უმცირესობის წარმომადგენლებს არ მოუთხოვნიან რომ მათი ენა გათანასწორობულიყო ქართულ ენასთან. უმცირესობას თუმცა თავისი აზრი პარლამენტში არ გამოუთქვამთ, მაგრამ არ თხოულობენ. თხოულობენ ამას არა სომხები, არა ებრაელები, არამედ რუსული ევრეთ წოდებული „დემოკრატები“ რომელნიც, არ ვიცი რა მოსაზრებით, ყოველ დღე, თავის ფურცლებში სწერენ, რომ ისინი უნდა იყვნენ გათანასწორობულნი. ეს შეუძლებელია. საქართველო ერთ ენოვანი სახელმწიფო არის, აქ თანასწორობა ენისა, მრავალი ენოვანობა არ შეიძლება. ამაზე ლაპარაკი ზედმეტია.

მე ვამბობ რომ ბ. არსენიძე და მთელი პარლამენტი წინა კრებაზე იმ აზრისა იყო, რომ კომპრომისს ვაკანონებთ. უმცირესობას უფლება უნდა ჰქონდეს თავის დედა ენაზე ილაპარაკოს. ეს იყო აუცილებელი კომპრომისი. სამართლიანი კომპრომისი. მაგრამ ახლა ვის ვაძლევთ უფლებას. წარმოიდგინეთ რომ სომხის წარმომადგენელნი და ებრაელების წარმომადგენელნი მოვიდნენ აქ და არ იციან თავისი სამშობლო ენა. გამოდის რომ უფლება არა ერს აქვს მიკუთვნული, არამედ დებუტატს. მაშასადამე აშკარავდება სამართლიანობა იმ არგუმენტისა, რომელსაც აქ იცავდა წარსულ კრებაზე ბ. არსენიძე და საყურადღებოა იმ არგუმენტისათვის, რომელსაც იცავდა დღეს. უმცირესობის პროექტში ნათქვამია, რომ ვინც არ იცის ქართული ენა შეუძლიან წარმოსთქვას სიტყვა იმ ენაზე, რომელიც პრეზიდენტის ერთმა წევრმა იცისა. ეს აუცილებლად უარყოფს კანონს, რომელშიაც ნათქვამია პირ და პირ, რომ დედა ენაზე უნდა ილაპარაკოს, და თუ ქართული ენა იცის ამ უმცირესობის დებუტატმა უნდა—ილაპარაკოს ქართულ ენაზე. მე ძალიან ვწუხარ რომ ჩვენმა ადგილობრივმა ეროვნულ უმცირესობათ, ერებმა არ გაჟოგზავნეს ისეთი კაცები ისეთი დებუტატები, რომელთაც იციან ქართული ენა, თუმცა არიან ისეთი დებუტატები. ვიცი რომ სომხები, ებრაელები და თათრები ლაპარაკობენ ქართულ ენაზე. ჩვენ ვფიქრობთ რომ საქმის გასაუმჯობესებლად, პრაქტიკულ ნაყოფისათვის, შეეძლოთ გამოენახათ ისეთი პირები, რომელნიც სახელმწიფო ენაზე ილაპარაკებდნენ, და ამნაირათ გაუმჯობესდებოდა საქმის ვითარება და ჩვენი საქმიანობა. ეს არ მოხდა. მაშასადამე, ძალაში რჩება, პრაქტიკულად უნდა გავატაროთ ის, რაც კანონით მივიღეთ, ის რომ თუ სახელმწიფო ენა არ იცის დებუტატმა, იმან უნდა ილაპარაკოს დედა ენაზე. უკაცრავოთ ამ სიტყვაზე, ვერავითარი იდეოკატური დაცვა—რომ შეიძლება სხვა ენაზე ლაპარაკი, როცა დედა ენა არ იცის დებუტატმა,—ვერ გასჭრის. რეგლამენტით უნდა გამოიკვეს არა პრინციპიალური საკითხი არა საკანონმდებლო საკითხი, დედა



აზრი კანონის სახელმწიფო ენის შესახებ, არამედ რეგლამენტმა უნდა გამოარკვიოს პრაქტიკული საკითხი, თუ როგორ შეიძლება გატარდეს ცხოვრებაში, პრაქტიკაში, ასე ვთქვათ, применение-ს რომ ეძახიან. ეს უნდა იყოს თარგმანის საკითხი.

ჩემის აზრით, უმცირესობის კანონ-პროექტი, რომელზედაც ლაპარაკობთ, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი პრეზიდენტის შეთანხმებით ირჩევენ როგორც სალაპარაკო ენას ერთ ენას ერთ რომელიმე უმცირესობის ენას, კიდევ ვიმეორებ,—ეს არის დარღვევა მთელი ძირითადი კანონისა. პირდაპირ უნდა ვთქვათ ეს, ეს არის დამალული გატარება ერთი წინადადების, რომ მაინც და მაინც, ამ ჩვენ პარლამენტში ქართულ ენის გარდა—იყოს რუსული ენა.

ჩემის აზრით; ეს უფრო დაუშვებელია, და როგორც დაუშვებელ წინადადებას, ჩვენ უარვყოფთ. ჩვენ არ გვინდოდა რომ საქართველოს პარლამენტში ყოფილიყო კანონი ენის თანასწორობისა. უმცირესობის კანონპროექტში სწერია: წერილობითი წინადადების, შესწორების და სხვათა შეტანა შეიძლება მხოლოდ ქართულ ენაზე. მაშასადამე ცხადია რომ უმცირესობის ენა, როგორც წარმოდგენილია იმ კანონპროექტში იმ უმცირესობის დებულებაში, არის რუსული ენა. მაშასადამე იქნება ქართული სახელმწიფოებრივი ენა, და მეორე კი რუსული, ყველა, ასე ვთქვათ, უმცირესობისა. გამოდის, რომ 30 ან 28, კაცი ილაპარაკებს რუსულად—დანარჩენი ქართულად. ჩვენ სწორედ ამ წინადადების წინააღმდეგ ვიყავით მაშინ, და სწორედ ამ წინადადების და სამარხათ ყველამ მივიღეთ კომპრომისი და ირიბიული გზას დავადექით გვანჩუბენ ხელში მეორე ენას, პარალერულად მეორე ენას. და თუგავიდა ეს წინადადება თუ დამტკიცდა ეს წინადადება, მე აშკარად ველიარებ რომ არც ერთი უმცირესობის დებუტატი არ ილაპარაკებს თავის დედა ენაზე, ილაპარაკებს რუსულ ენაზე. მართალია ბატონებო, რომ იყოს, მართო მოხერხებრის კითხვა, რომ იყოს მართო УДОБСТВО-ს საკითხი (ხმა: УДОБСТВО რა არის?), მაშინ შესაძლებელია, რომ მთელ ჩვენს პარლამენტს აქამდის საქმე რუსულად ეწარმოებინა დღეს დღეობამდის მაინ და მაინც მრავალი საქმე და მუშაობა სწარმოებს რუსულად. შეიძლება მრავალი დებუტატი დაგასახელო, რომლებსაც რუსული ლაპარაკი უფრო ეხერხებათ, რადგან იურიდიული და სხვა მეცნიერება რუსული შესწავლეს მთელი პსიხიკა და გონება, რასაკვირველია, რუსული აქვთ. ასე რომ, ეს არის, არა УДОБСТВО-ს საკითხი, არა პრაქტიკის საკითხი, არამედ, მაინ და მაინც, სახელმწიფოებრივი პრინციპიალური საკითხი. დღეს თუ არ ლაპარაკობს რომელიმე ქართველი დებუტატი ვალდებული არის მაინც ქართული ილაპარაკოს. ჩვენ მაგას ვერ ვეტყვით რომ ილაპარაკოს რუსულად. მე ვიცნობ ქართველებს, შესანიშნავ ქართველებად მიიჩნით, თავი მაგრამ ქართული ენა არ იციან, ძალიან ცუდათ ესმით და პარლამენტის ტრიბუნაზე ვერ ილაპარაკებენ. გეკითხებით, რომ ასეთი დებუტატი შემოვიდეს მას მიეცემთ ნებას ილაპარაკოს რომელიმე უმცირესობის ენაზე? (რ. გაბაშვილი: რატომ არა!) ეს შეუძლებელია. ჩვენ არ დაუშვებთ, არც ერთ ფრაქციის წარმომადგენელი არ მიიღებს იმ გვარ წინადადებას, რომელიც ერთხელ მიღებულ კანონს არღვევს, აუქმებს. ამ გვარი წინადადების მიღება, რომელიც არღვევს მიღებულ კანონს რეგ-

ლამენტის სახით, რომელიც სრულიად შლის რაც კანონის სახით მიღებულია—ყოვლად შეუძლებელია.

წინადადებას ვიძლევი, თუ მაინცა და მაინც მოისურვებს ეროვნული საბჭო ამ საკანონმდებლო დებულების მიღებას, მაშინ დაუბრუნდეს ისევ კომისიას, გადაეცეს საკონსტიტუციო კომისიას (ხმაურობა) მოითმინეთ, და მან წარმოადგინოს, როგორც კანონი, რომელიც გაუქმებს უკვე მიღებულ კანონს. მაგრამ, ეს მე მგონია შეუძლებელია. და მე მგონია ეროვნულ საბჭო ამას არ იზავს. მე მგონია, რომ ჩვენ უნდა მივიღოთ აუცილებლად წარმოდგენილი კანონი.

რას ლაპარაკობს ეს კანონი? ის ლაპარაკობს იმას, რაც უნდა გაეკეთებინა სარეგლამენტო კომისიას. ენის ხმარება და თარგმნის განსაზღვრა რეგლამენტის საშუალებით. ეს უნდა გაეკეთებინა რეგლამენტის კომისიას და რა გააკეთა. „საქართველოს ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელის მიერ დედა ენაზე წარმოთქმული სიტყვის შინაარს მთარგმნელი აცნობს პარლამენტს, თუ ორატორი წინდაწინვე წარმოდგენს თარგმანს, იგი წაკითხულ იქნება საყვებით სიტყვის წარმოთქმის შემდეგ“.

თუ ეს არის არსებითი. მე მგონია კომისიის უმრავლესობამ არსებითი ვაიკო მოთხოვნა კანონისა და დააღა იმის გაგვითებას, რასაც საჭიროება მოითხოვდა. მე მგონია, როცა მივიღებ კანონი, უნდა მიგველო აგრეთვე თარგმნა. სხვა გამოსავალი არ იყო. მე ვიცი თარგმანი ძალიან ძნელია. 4—5 ენაზე ლაპარაკის თარგმნა ძნელია. მაგრამ ეს უფრო მისაღებია სახელმწიფო თვალსაზრისით, ვიდრე რუსულ ენის მიღება პარლამენტში. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ თარგმნის სისტემა უნდა შემოვიღებ საქართველოს პარლამენტში, და სწორედ შინაარსი, resume ანუ თუ იმ უმცირესობის მიერ წარმოთქმულ სიტყვისა უნდა გადაითარგმნოს.

ჩვენ არსებითად ფორმას არ შევცვებით და სჯავებით მხარს უჭერთ იმ უმრავლესობის კანონს, რომელიც აქ არის წარმოდგენილი.

შევიჩრდილებთ კიდევ ერთ ანგუშმენტზე.

მე ვამბობ, რომ საქმიანობის ინტერესი არ ეხორცილება, რომ რუსულ ენაზე იყოს ლაპარაკი. ბატონებო, ჩვენ რუსულ ენას კი არ ვებრძვით, როგორც კულტურულ ენას, აქ ამბობენ, რომ შეგაძულა რუსული ენა, ხომ უფრო ვაიგებთ? განა აქ ვინმე ებრძვის რუსულ ენას? არა. აქ არის არა გაგების საკითხი. არც როგორც უკრძალი-ს საკითხი. აქ არის პრინციპიალური საკითხი. ხალხმა, რომელსაც აქვს დედა-ენა, უსათუოდ უნდა გამოგზავნოს ისეთი წარმომადგენელი, რომელსაც იციან დედა-ენა გარდა ამისა ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ ვართ პრივილეგიების წინააღმდეგ. ჩვენ პარლამენტში ვერ მივცემთ პრივილეგიას რუსულ ენას, ჩვენ ენას ჩვენ ვაძლეით პრივილეგიის და უდიდეს უფლებას, ის ხდება უდიდეს ენად, სახელმწიფოებრივ ენად. ტადვიანც, საერთაშორისო გარემოება სხვანაირი არის დღეს რუსულ რომ არის, პრივილეგია მივანიჭოთ. შეიძლება ჩვენმა მტერმა სხვანაირად განიყოს. ჩვენ რუსულ ენას ვებრძვით არა იმიტომ რომ, როგორც კულტურული ენა გვეზიზღება. არამედ იმიტომ, რომ ვეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს. ჩვენ ვამბობთ, — გისაც უნდა სახელმწიფო ენაზე ილაპარაკოს და გისაც არ უნდა ილაპარაკებდეს, უნდა ილაპარაკოს თავის სამშობლო ენაზე. თუ არ შეუძლიან სახელმწიფო ენაზე ლაპარაკი, მე



მგონია, რომ თავის სადებუტატო მოვალეობას აასრულებს და თავის ხალხის ნდობას გაამართლებს, თუ თავს დაანებებს და სხვას აარჩევინებს ხალხს. (ვე შეპატივობ: მარტალია). მაშასადამე, ფაქტიურად ჩვენ წინადადება ამ გვარია: ჩვენ წარმოგვიდგინეს ორი პროექტი — უმრავლესობის და უმცირესობის. უმრავლესობის პროექტს ჩვენ ვიღებთ, როგორც მართლა სარეგლამენტო კომისიის პროექტს და აზრს. და უმცირესობის პროექტს კი უარყოფთ. როგორც ჩვენ ძირითადი კანონის უარყოფელს. არგუმენტიც არის ყალბი და შეუსაბამო.

ჩენი წინადადება არის უტყუარი აზრი საბჭოსი. ჩვენ არც რუსებს ვებრძვი, არც სომხებს და არც ებრაელებს. მაგრამ, გულით და სულით ჩვენ ვაფრთხილებთ ეროვნულ საბჭოს, საქართველოს პარლამენტს, რომ ამ წინადადების მიღებით ის ქმნის საშუალებას პრეცედენტს კანონის დარტყვა არის. და ადგება ნამდვილ საშინელ გზას, ნამდვილ ავანტიურისტულ გზას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პარლამენტი უდიდესი დაწესებულებაა და კანონ-მღებლობას არ შეეფერება, რომ დაადგეს ავანტიურისტულ გზას. თუ ეს კანონი გავიდა, თუ მივიღეთ სარეგლამენტო დებულება უმცირესობის, ეს იქნება უარყოფა ყველა ეროვნულ უმცირესობათა ენისა და აღიარება იმ ენისა, რომელსაც ვაღიარებთ იმპერიალისტურ იარაღად. მე მოშხრე ვარ, მე თანახმა ვარ, რომ ორ წარმომადგენელს რუსებისას ნება ჰქონდეს ილაპარაკონ რუსულად. მაგრამ ყველა უმცირესობის წარმომადგენლებს, რომ უფლება ჰქონდეს რუსულ ენაზე ლაპარაკისა, მე ამის წინააღმდეგი ვარ იმიტომ რომ, ეს იქნება ერთგვარი გაბატონება, მეორე ენის გაბატონება. ამით შემოიჭრებიან ჩვენს დემოკრატიულ პარლამენტში, დიდპყრობელობის სურვილით გატაცებულნი აგენტები, და რა თქმა უნდა, თავისებურათ წარმოსთქვამენ თავიანთ სურვილს. ამით აგენტებს საშუალება ეძლევათ ბოროტად მოიხმარონ თავის კულტურული საშუალება. რეზიუმე: ჩვენ უარყოფთ უმცირესობის მიერ წარმოდგენილს წინადადებას, როგორც კანონის დამრღვევ, და წინადადებას ვაძლევათ კრებას მხარი დაუჭიროთ უმრავლესობის პროექტს, ბ. ჯაჯანაშვილის მიერ წაკითხულ კანონ-პროექტს.

**ივანე გომართელი** (ალიო ნი). მოქალაქენო! ერთი ქართული ანდაზა: გახლავთ ასე ჩემო მანახო, ხან ისე და ხან ასეო. (ტაში) მართალი მოგახსენოთ, როდესაც ჩვენ საყვარელ და პატივცემულ ბ. არსენიძის სიტყვას ვისმენდი, მე სრულიათ უბოროტოდ ეს ანდაზა გამახსენდა. მე მოვავაზრებთ იმ კრების ისტორიას, როდესაც ჩვენ ენის შესახებ კანონ-პროექტს ვიცავდით, და ამ კანონ-პროექტის მომხსენებელი მგონი ბ. არსენიძე იყო მაშინ. სხვათა შორის ის ამბობდა, — ჩვენ ხალხს ვაძლევათ უფლებას, დემოკრატისა და რა დებუტატებსო. ეს სრული ქეშმარიტება იყო დღეს კი. იგივე არსენიძე დებუტატებს ამდღეს უფლებას, და არა ხალხს, დემოკრატისა. გამოდის, რომ დემოკრატიის, ხალხის ინტერესი ჩვენ მსხვერპლათ უნდა მართროთ იმ დებუტატის ინტერესებს, რომელმაც თავისი დემოკრატიის ინტერესი არც კი იცის. ასეთი წყსით ბატ. არსენიძე გვეტყვის, რომ არავის უფლებას არ ვლახავთო. მე კი უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი წყსით, უპირველესათ ყოველისა, ვლახავთ დე-



მოკრატის ინტერესებს. თქვენ კარგათ მოგახსენებთ, რომ საქართველო დღეს წარმოადგენს დემოკრატიულ რესპუბლიკას, მარტო იმიტომ კი არა, რომ დღეს დემოკრატიულ წესწყობილებას უმტკიცებთ ნიადავს, არამედ იმიტომ რომ ეს რესპუბლიკა მობოგებული არის დემოკრატის შრომით, დემოკრატის ოფლით. დემოკრატამ შექმნა დღეს თავისი დემოკრატიული პარლამენტი. ამ დემოკრატიულმა პარლამენტმა მიიღო ენის შესახებ ისეთი კანონი, რომელიც შეეფერება დემოკრატიულ ინტერესებს. დღეს კი გამოდიან და გვეუბნებიან, რომ დემოკრატის ინტერესები მსხვირპლად უნდა მოუტანოთ გადაგვარებულ ინტელიგენციის ინტერესებსაო. (ტაში). დემოკრატიული პარლამენტი გადაიპქიოთ გადაგვარებულ ინტელიგენციის პარლამენტათ. უნდა მოგახსენოთ, მოქალაქენო, ჩვენ თუ ამ გზას დაგადგობთ, უსათუოთ მივალთ პარლამენტის მიერ თვითმკლავლობამდის, იმიტომ რომ მე სხვა-ნაირათ ვერ წარმომიდგენია ისეთი წესი, როდესაც პარლამენტმა დღეს მიიღოს ერთი კანონი და ხვალ რეგლამენტის წესით უარყოს მიღებული კანონი ამას სხვას ვერას უწოდებთ თუ არა თვითმკლავლობას და პარლამენტის უფებნილ სრულ გაბათილებას. ჩვენთვის ცხადია, და მე მგონია, ბიერისთვის, თქვენთვისაც ცხადია, რომ ჩვენ მიზანს, რომლისთვისაც ჩვენ აქა ვართ—ის კი არ შეადგენს, რომ ჩვენ აქ ვილაპარაკოთ და კანონები დაგადგინოთ და ხალხს უთხრათ—აარსულეო; ჩვენ მიზანს, სხვათა შორის შეადგენს ისიც, რომ ხალხში განვამტკიცოთ კანონის აზრი, ჩაუნერგოთ სიყვარული და მორჩილება კანონისა. თქვენ კარგათ მოგახსენებთ, რომ ხალხში. თითქმის მინიმუმამდის არის მიყვანილი კანონის პატივის ცემა. კანონის წინაშე შიში არ არსებობს, ყველა იქცევა ისე, როგორც მას უნდა. ასეთ დროს ჩვენ რა შავალითებს ვაძლევთ ხალხს,—ვიმუშავებთ ერთ კანონს, და მეორე დღეს ჩვენ თითონ ვაუქმებთ იმავე კანონს. მე თქვენ გეკითხებით,—განა უფლება გვექნება ხალხს მოვთხოვოთ, რომ მან ჩვენ მიერ შემუშავებულ კანონს პატივი სცეს?

თუ კი ჩვენ ცხოვრებაში ჩვენ არა ვცემთ პატივს პარლამენტს და არ დავაფასებთ ჩვენ მიერ შემუშავებულ კანონს, გარწმუნებთ, არც ხალხი და არც საზოგადოება მას არ დაეფასებს. მაშასადამე, თუ რაიმე მოსაზრებით გადაწყვიტეთ გაგეუქმებინათ ეს კანონი, თქვე დლოცვილებო, დაჯავადით ცოტას, ერთ ორ კვირას, მაშინ მაინც შემოგტანათ ეს წინადადება. მაშინ იგი არ მოადენდა ისეთ მწვავე, არა სსიაშოგნო შთაბეჭდილებას, არამც თუ მთელ პარლამენტში, არამედ საზოგადოებაშიც. მე დარწმუნებული ვარ, რომ, თუ გონიერების კარნახს ვაძვეება პარლამენტი, უსათუოთ ის წესი, რომელიც შემოტანილია უმცირესობის მიერ—უარყოფილი უნდა იქმნეს და თუ უმცირესობის მიერ შემოტანილი წესი გვიდა, მარტო მე რომ დაურჩე, მე მაინც ვიყვირებ რომ ეს არის საშინელი უსამართლობა (ტაში).

**ივანე გობეჩია.** (სოც. რევ.) მოქალაქენო! ფრიალ საყურადღებო, სერიოზული საკითხი დაუდგა დღეს ჩვენს პარლამენტს.

შართალი მოგახსენოთ, ჩვენ სრულიათ არ მოველოდით, რომ ამ სახით დაისმოდა პარლამენტში ისეთი საკითხი, რომელიც უკვე ვაღწევტილია ჩვენ ვხედავთ, რომ საკანონმდებლო ორგანო: ვერ ღებულბს კანონს ადასტურებს მას და სანამ ამ კანონს მისცემდნენს აშუალებას



ცხოვრებაში ერთი დღე შინც ვაგეტარებინა, მას აღრჩობენ სიტყვათა  
ხლეშვივე და შემოაქვთ ახალი ვაუგებარი კანონი.

მე კი მოგახსენებთ, რომ თუ ჩვენ გვსურს სარეგლამენტო კომი-  
სიას დავაკისროთ მართლა სენატის როლი და თუ კი ჩვენ გვინდა ეს  
კომისია გადავავეთოთ მეორე საკანონდებლო ორგანოთ რასაკვირვე-  
ლია მაშინ ეს კანონით უნდა გადავწყვიტოთ და დავაწესოთ. მაშინ  
რასაკვირველია გვეცოდინება, რომ ჩვენ გვაქვს 2 საკანონდებლო  
ორგანო—ერთი აშკარა საჯარო, მეორე—ოთხებში.

თუ კი ჩვენ შვიდებთ ისეთ კანონსა რომელიც არ არის ხელ  
საყრელი სხვა და სხვა მიზეზების გამო, თუ კი ჩვენ დავრწმუნდებით,  
გულწრფელათ, რომ ეს კანონი არ არის საკვთილდღეო ერისთვის და  
შრომელ მუშათა მასსისთვის, ჩვენ აშკარათ, საჯაროთ უნდა ვაღიაროთ  
და განვაცხადოთ რომ ჩვენ შევცდით და სწორეთ ამიტომ შემოგვაქვს  
სხვა კანონი თუნდაც აი, ის კანონი, რომელშიაც სარეგლამენტო კო-  
მისიის უმცირესობის აზრი არის გამოხატული. ეს სულ სხვა იქნებოდა.  
მაშინ მათ ექსებოდა მოქალაქობრივი გასბედობა, მაშინ იქნებოდა  
ბრძოლა და რასაკვირველია ამ ბრძოლაში მოიპოვებდა თავის ძალის  
ის, ვისაც მეტი თითები ექნებოდა. მაგრამ ჩვენ ანგარიშს ვაუწევთ არა  
თითების ლოდისას, არამედ ფაქტების ლოდისას. და ეს ფაქტები კი  
ამ თითების წინააღმდეგ ლაღადებენ. ჩვენი ფრაქცია, რასაკვირველია  
წინააღმდეგია უმცირესობის მიერ წარმოდგენილი პროექტისა, როგორც  
ძირითადი კანონის დამრღვეველის და ამიტომ ის მხარს დაუჭერს უმ-  
რავლესობის მიერ წარმოდგენილ კანონ-პროექტს.

დავით ჩიქოვანი (რად. დემ) ბატონებო, პარლამენტის წევრო  
მეტად ძველ მდგომარეობაში იძყოფებიან პარლამენტის ის წევრები და  
ფრაქციები, რომელთაც არამც თუ რიცხვითი რამოდენობა ხელის აწე-  
ვით, არამედ არგუმენტის გავლენაც არ აქვთ.

აი, ასეთ მდგომარეობაში არის ყველა ფრაქცია, გარდა სოციალ-  
დემოკრატიის ფრაქციისა. მათ, რასაკვირველია, როგორც მცირე რიც-  
ხობათ ან აქვთ გავლენა, მაგრამ უბედურობა ის არის, რომ მათი  
არგუმენტებიც არა სწანს. (არსენიძე: „ხალხის ბრალია“) დიან, სიყალბის  
ბრალიცა ვახლავთ, ბატონებო, აქ რომ არგუმენტები არაა საჭირო,  
ამის მაგალითები ჩვენ გვაქვს; და ყველაზე უკეთესი მაგალითი არის ის  
სახელწოდება... (ხმა: არგუმენტია?) დან, არგუმენტია... (ხმაურობა)  
უკაცოვათ, ბრძანეთ... (ხმაურობა). აი მაგალითი: როდესაც სახელწოდ-  
ებას ვარჩევდათ, ჩვენ დავარქვით პარლამენტს—პარლამენტი. ბევრი  
არგუმენტი იყო წამოყენებული სრულიად უბრალო და ელემენტარ-  
ული. აოც დიდი მტკივნეობა და იურისპრუდენციის დიდი ცოდნა  
იყო საჭირო. მაგრამ ისეთი საანბანო და უბრალო ქეშმარიტება და  
სამართლიანობა უარყოფილი იქნა მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ სა-  
მოკლდარფა ხელი გაბიათ აქ. დღეს კი ამ მხ ხელით გინდათ გადასყვი-  
ტოთ... (ხმა: „20 ელა მიეპატათ“) ის საკითხი, რომელიც ეწინააღმ-  
დეგება ძირითად კანონს. მე არ შემიძლიან გავიგო ბ. არსენიძის მო-  
ხსენება, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ—ვექალობა თუქვა ეს კითხვა აქ  
გასაგებად და სათუთაანად იყო გაჩაგრვეული. ბ. არსენიძე უარყოფ-  
და იმას, რასაც წინედ თათონ ატყუკდა; ეს მე არ შემიძლიან გა-  
ვიგო. მე, როგორც სარეგლამენტო და საკონსტიტუციო კომისიის  
წევრი მონაწილეობას ვიღებდი ამ კომისიების შემოაბაში. მე ვისმენ-



დრ რასაც აქ ლაპარაკობდა ბ. არსენიძე და არ შემიძლიან კედელზე  
 შევჩერდე ამაზე. მე მესმის დისციპლინა, ბატონგებო, მაგრამ პარტიულ  
 ლი დისციპლინა არ უნდა უარყოფდეს იმას, რასაც წინეთ სსსტკიკათ  
 იცავდა ბ. არსენიძე პარლამენტში. კომისიაში მსჯელობის დროს ასე-  
 თი საკითხი იყო დასმული დეპუტატებისაგან: — შეიძლება თუ არა რუ-  
 სულ ენის ხმარება პარლამენტში. ბ. არსენიძეს, რომლითაც წარმოდ-  
 გენილი იყო გაბატონებული ფრაქცია, ანგარიშს უწევდნენ და პირვე-  
 ლი სიტყვა მას ჰქონდა და საკითხი ისე გავიდა, როგორც მას სურდა.

ის პროექტი, რომელიც შიილო პარლამენტმა თქვენი ვახლავთ...  
 ) რ. არსენიძე: ჩემი ვახლავს? დიან, თქვენი. (ხმები: „მაშინ სხვა არ-  
 სენიძე იყო, დღეს რაუდენიძე“.) დღეს რაუდენიძე გამოდის და ამტკი-  
 ცებს წინააღმდეგს. მე მესმის თავის შეკავება, მე მესმის, რომ გამო-  
 სულიყო ბატ. კაკი წერეთელი, იმიტომ რომ მათი სურვილი არის რუ-  
 სული ენა. მით უმეტეს რომ ის ყველაზე უკეთესად ლაპარაკობს  
 რუსულ ენაზე, მაგრამ მე არ მესმის ამ კაცის გამოსვლას რა საჭიროფ-  
 ბა მოიხზოვდა; რამ აიძულა გამოსულიყო ამ პროექტის დასაცავათ?  
 (ხმა — „ფრაქციამ აიძულა“) მაშინ ტაქტიკა მენშევიკებისა აშკარა იყო.  
 იქ გარკვევით იყო ნათქვამი, რომ რუსულ ენაზე ლაპარაკი არ შეიძ-  
 ლებო: არ ყოფილა ერთი ორატორი, ერთი წევრი, ერთი კაცი, რო-  
 მელიც მომხრე ყოფილიყოს რუსულ ენაზე ლაპარაკისა. ასეთივე აზრის  
 იყო თითონ ბატონი არსენიძე.

წინადადება, რომელიც წამოყენებული იყო ჩემს მიერ, რომ სა-  
 ხელმწიფო ენა და საზოგადოდ უმცირესობის წარმომადგენლებისთვის  
 სოლაპარაკო ენა ყოფილიყო მხოლოდ ქართული ენა, — საკონსტიტუ-  
 ციო კომისიაში იყო უარყოფილი ერთ ხმათ. ერთ ხმად იყო უარყო-  
 ფილი, იმიტომ რომ, როცა პარლამენტი გადავიდა ენის შესახებ მსჯე-  
 ლობაზე, მომხსენებელს ერთი სიტყვა არ უთქვამს ჩემი წინადადების  
 შესახებ და უმცირესობის პროექტი ერთ ხმად იყო მიღებული. რასა-  
 ვირველია, მნიშვნელობა ჰქონდა კომისიის უძრავდღესობის აზრს. მაშინ  
 არც კი განხილულა არსებითად ის საკითხი, თუ რატომ არ უნდა ყო-  
 ფილიყო ქართული ენა უმცირესობის წარმომადგენლებისათვის. მომ-  
 ხსენებელს არც კი დაუფიქრებია ეს საკითხი. მაშინ მათი საბუთი, რო-  
 გორც არსენიძე ბოძანებდა კომისიაშიც და აქაც; ის იყო, რომ ჩვენ  
 უფლებას ვაძლევთ არა დეპუტატებს, არამედ იმ ერებს, რომელთა წარ-  
 მომადგენლებიც ისინი არიანო. ესე იგი, მათ უნდა ილაპარაკონ თავის  
 სამშობლო ენაზეო. იგივე არსენიძე ბოძანებდა, რომ არას გზით დასა-  
 შვები არ არის რუსული ენა. ოდესაც პრაქტიკულათ საკითხი დასვეს  
 და როცა უნდა განხორციელებულიყო ენის ლაპარაკი, როცა ჩვენ ვა-  
 მტკიცებთ, რომ აქ ბაბილონის გოდალი შეიქმნებოდა, რომ ჩვენა პა-  
 რლამენტი ავსტრიის პარლამენტს დავმსგავსებთ, — ისინი ანგარიშს არ  
 უწევდნენ ამას. ისინი იცავდნენ ეროვნულ უმცირესობის უფლებას და ანი-  
 ქებდაენ მას საკუთარ, სამშობლო ენაზე ლაპარაკს. და ტენიკურ დაბ-  
 რკოლებაზე არც კი უნდოდანთ ლაპარაკი.

აი, დღეს ბატონი არსენიძე ბრძანებს, რომ პრეზიდ. ვერ გაიგებს თუ  
 რას ლაპარაკობს უმცირესობათა ორატორებიო. მე პირდაპირ მივირს ბ. არ-  
 სენიძე თითონ ამბობდა — როგორ შეიძლება, რომ პრინციპ. საკითხზე მსჯე-  
 ლობის დროს მსჯელობაში მივიღოთ თარჯიმანები და რა ენა იციან და  
 რა არაო. (არსენიძე: „პრინციპიალურათ“). დიან-პრინ-ლურათ. როდესაც



თქვენ ბრძანებით თუ პარლამენტი დაადასტურებს, დაწესებს, რომ ჩვენ უფლებას ვაძლევთ ერებს და არა დემუტატებს, დემუტატი ვალდებულია, რომ დედა ენა იცოდეს. ჩვენ მოვსთხოვთ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს, რომ იცოდნენ დედა ენა და თუ არ იციან— ეს ჩვენი ბრალი არ არის. ეს ერთი. მეორე—საზოგადოთ, როცა უარყოფილი იქმნა პირველი პროექტი, რომ ერთადერთი ენა უნდა დარჩენილიყო ყველასათვის ქართული ენა, საბუთი მრავალი იყო, მაგრამ, იმ მრავალ საბუთს არავითარი გასავალი არ ჰქონდა. როდესაც დღეს ტენიკური დაბრკოლებაზე გველაპარაკებინ, რასაკვირველია, ჩვენ ამ დაბრკოლებაზე ვერაფერ პასუხს ვერ გავცემთ. ეს დაბრკოლება მრავალი არსებობს, და სწორედ ჩვენ ვამბობთ—თუ დაუშვებთ მრავალ ენას, ბევრი დაბრკოლება იქნება. ჩვენ სწორედ ამიტომ მოვიხსოვრებთ, რომ ყოფილიყო ერთადერთი ენა, ქართული ენა. რასაკვირველია, მაშინ ეს დაბრკოლება არ გადავიდოდა ჩვენს პარლამენტზე. არამედ, გადავიდოდა იმ ეროვნულ საბჭოებზე, რომელნიც აირჩივდნენ თავიანთ წარმომადგენლებს. ისინი შეეცდებიან აირჩიონ ისეთი წარმომადგენლები, რომელთაც ქართული ენა იციან, და ვინც ქართულად ილაპარაკებენ. მაგრამ, აი ამ ფრაქციის ძალდატანებით დააყენდა ის უხერხული კანონი, რომელიც მივიღეთ და რომელითაც უფლება მიეცა მრავალ ენას. ეს სწორედ თქვენ დააყენებთ და ახლა ლაპარაკობთ დაბრკოლებაზე, და ამ მიზეზის გამო, გადავიდით რუსულ ენაზე. რასაკვირველია, ბავშვი არავინ არის და ყველამ იცის რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ენაზე ლაპარაკობენ პარლამენტში. თქვენ რასაკვირველია, ჩემზე უკეთ იცით ეს. მაგრამ, თქვენ ოსტატურად, ვეჭილურად, ხრიკონულად გინდათ სარეგლამენტო წესით გაათავოთ და გაატაროთ ეს დიდი ბრინციპიალური საკითხი, როგორც არის რუსული ენა. მე პირდაპირ არ მესმის, როგორ არ გრძნობთ ამ უხერხულობას. მე კიდევ მესმის, თუმცა ეს უხერხული იქნებოდა, წარმოგვედგინა ცოტა შემდეგ, ერთ-ორი თვის შემდეგ, ახალი კანონ-პროექტი, რომელიც უარყოფდა ჩვენ მიერ მიღებულ კანონს. მაგრამ, სარეგლამენტო კომისიას რა უფლება ჰქონდა გადუწყვიტა ძირითადი კანონი? ერთი სიტყვით, მე დარწმუნებული ვარ, რომ სოც. დემოკრატიული ფრაქცია და სხვანიც, თუ ყველა არა უმრავლესობა მაინც გრძნობს, რომ სარეგლამენტო კომისიის უმცირესობის წინადადება ეს უკანონო წინადადება არის, რომ ეს უარყოფს ძირითად კანონს და ამიტომ, ეს წინადადება, რასაკვირველია, უარყოფილი უნდა იყოს და უნდა მივიღოთ სახელმძღვანელოდ იმავე კომისიის უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი პროექტი.

მე ვიტყვი, რომ თვით უმრავლესობის პროექტიც არ არას დამაკმაყოფილებელი. ამ კომისიას მხოლოდ დავალა, რომ ტენიკური საბუთაო, შეესრულებინა. მათ ჰქონდათ დავალებული რომ მოეწესრიგებინათ ასე თუ ისე ენის მხარების წესი, თუ რა რიგად იქნებოდა აქ თარგმანი, რომელიც გააკებინებს პარლამენტის წევრებს ეროვნულ საბჭოს უმცირესობის წარმომადგენლების ლაპარაკს. ეს ტენიკური მხარე იყო გადაცემული. და მე კიდევ მეტს ვიტყვი, —საკონსტიტუციო და სარეგლამენტო კომისიის სულის კვეთება ასეთი იყო, რომ არც კი უნდა აღჩრულოყო საკითხი ნაწილ თარჯიმანებზე. აი, მე ვიტყვი პირ და პირ. ა. არსენიძემ იმ კომისიაში სთქვა, რომ თარჯიმანებზე ლაპარაკი ზედ მეტაო. თარჯიმანებზე ლაპარაკი შეიძლება მაშინ, თუ უფლება



ამა თუ იმ ენაზე ლაპარაკის მიჩნეულია. მავალითად ფინლანდიაში — შვედურ ენაზე და ბელგიაში ფლანდრიულ ენაზე არიან ნაფიქრ მთარგმნელები რადგანაც იქ ამ ენებზე ლაპარაკი მიღებულია. აქ შავის მსგავსი რაიმე არ არის. ერთი უმცირესობის წარმომადგენელები, რასაკვირველია არ მოხბოვენ და ვერც მოიხბოვენ; რომ ძათი ენა იყოს სახელმწიფოებრივი უფლებით აღჭურვილი ენა — მამსადამე, თარჯიმანებზე ლაპარაკი ზედმეტია. თარგმანი უნდა ყოფილიყო არა ოფიციალური. არამედ ესე ვთქვათ შინაურულად მოწესრიგებული. ამიტომ იყო, რომ ეს გადაეცა სარეგლამენტო კომისიის.

ბ. არსენიძემ არამც თუ ასე სთქვა, — პირიქით მისი წინადადება იყო, რომ არ ყოფილიყო ნაფიქრ თარჯიმანთ; თარგმანი რომ პრეზიდენტში შეგვეყვანა უმცირესობის წარმომადგენელი და, ამ გვარათ, ასეთი პრეზიდენტში აწარმოებდა კრებას. მე მესხის, რასაკვირველია, უხერხულება, მაგრამ ამ რიგად პრინციპიალური სახელმწიფოებრივი ენა, ქართული ენა დაცული იქნებოდა. მე ამას იმითმ ვამბობ, რომ ბ. არსენიძე აშკარად წინააღმდეგი იყო რუსულ ენის პარლამენტში. მე პირდაპირ მაკვირვებს რომ ის აქ ბრძანებს — მე ისევ ის ვარ, რაც ვიყავიო. მაგრამ, მე ზინც ვერ გამოვიცა — თუ ეს ასე არის, რატომ ამტკიცებს, რომ ეს ძირითად კანონს არ ეწინააღმდეგებაო. ეს ჩემთვის გაუგებარი არის. ამიტომ ვლიარბებთ, რომ კომისიის უმცირესობის აზრი ეწინააღმდეგება ძირითად კანონს.

მე მოვიხბოვ რადიკალ დემოკრატიულ ფრაქციის და დამოუკიდებელ კავშირის დაჯგუფებით, რომ უაოყოფილ იქნას უმცირესობის კანონ-პროექტი და გადავიდეთ იმ წინადადების განხილვაზე, რომელიც არის წარმოდგენილ სარეგლამენტო კომისიის უმთავრესობის მიერ.

**თავმჯდომარე. პარლამენტის წევრი დადიანი.**

სამსონ დადიანი. (ს. ფ.) ბატონებო, უნდა გამოტეხით მოგახსენოთ, რომ დიდის კრძალვით ავდივარ ამ ტრიბუნაზე, რადგანაც ის საკითხი, რომელიც სდგას ჩვენს წინაშე, დიდი პრინციპიალური და დიდად მნიშვნელოვანი საკითხია.

მოგეხსენებათ, რომ ეს საკითხი, ესე იგი საკითხი ეროვნების ყოველგვარ უფლებების დაცვისა, ეროვნულ უფლების მიცემისა და მინიჭებისა სახელმწიფოში, სახელმწიფოს ერთეულში, ეროვნულ სახელმწიფოში, — ეს ისეთი საკითხია, რომლის ძავალითი და ნიძეში, მთელ ქვეყანაში თითქმის არ მოგვეპოვება.

ჩვენ ამ საკითხში, ბჭდა გვარგუნა ვთქვათ ისეთი სიტყვა, რომელიც არ ყოფილა ნათქვამი არცერთ სახელმწიფოში ჯერ არავინ მისულა იმ მდგომარეობამდის, და არ გადუწყვეტია ეს საკითხი, როგორც საკითხი — როგორც დემოკრატიულ თვალსაზრისით, ისე სოციალისტურ თვალსაზრისით.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ არც ერთ სახელმწიფოში, რომელიც ემსგავსება ჩვენს სახელმწიფოს მდგომარეობით, და ერის შემადგეალობით, — არ მოიპოვება გადაჭრა ამ საკითხებისა იმ გვარად, როგორც შევეფერება დემოკრატისა, და მით უფრო, სოციალისტს. ეს საკითხი იმდენად დიდ მნიშვნელოვანი საკითხია, რომ მის მოუწესრიგებლობა ყოველად შეუძლებელია.

ჩემის აზრით, ეს იყო ერთად ერთი მიზეზიდან, რომელმაც რუსეთის სახელმწიფო, ასე უტეგ, და ასე იოლად დაამხო. მე ვიტყვი რომ

ეს საკითხი გადაუწყვეტელია იმ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს სხვა და სხვა ერების აქრელგებული მოსახლეობა, სადაც არსებობს სხვა და სხვა ერების ინტერესების დაცვის საკითხი; ენის საკითხი, კულტურის საკითხი, — აქ ქვეყნებს მოკლდის ისეთივე ბედი ამ საკითხის გადაუჭრელობით, რომელიც დღეს-დღეობით ჩვენ თვალწინ არის.

ჩვენ არც შევიკარბის მაგალითი გამოვვადგება, იმიტომ რომ იგი სულ სხვა წესწყობილებას წარმოადგენს, — ფედერატიულ წესწყობილებას. ყველა მთავარი ენა არის აღიარებული სახელმწიფოებრივ ენად. არც ავსტროუნგრეთის მაგალითი გამოვვადგება, რადგანაც ჩვენ ვიცით ერთად ერთი მუქლი, უბადრუკი მუქლი კანონისა, სადაც აღნიშნული არის ასეთი უფლებების გადაჭრა, რომელიც არსებობდა არ აკმაყოფილებს ერების ინტერესებს.

ამიტომ ვამბობ: ისტორიამ დაგვავისრა ისეთი სიტყვა, რომელიც სანიშნუშო იქნება სხვა ქვეყნებისთვის. ჩვენ აქითკენ მივსწრაფით და ყოველი ჩვენი ნაბიჯით თანდათან უნდა უახლოვდებოდეთ ამ საკითხის გადაწყვეტას. აი ასეთია ეს ერთად ერთი საკითხი, რომელიც ჩვენ წინაშე სდგას. რა ენაზედ უნდა ილაპარაკონ სხვა ერების წარმომადგენელმა პარლამენტში, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში?

თქვენს წინაშე წარმოდგენილი არის ორი პროექტი. ჯერ რაც შეეხება ფორმალურ მოსაზრებას. ჩემის აზრით, ფორმალურ მოსაზრებით ყოველად შეიუწყნარებელია, რეგლამენტის მიხედვით, ყოველად შეიუწყნარებელია, რომ ეს ორი პროექტი, სრულიად ერთი ერთმანეთის მოწინააღმდეგე, შით უმეტეს უმცირესობის პროექტი, აქ კანონის სახით იყოს წარმოდგენილი თქვენს წინაშე. ამის უფლებას რეგლამენტი მე მგონია, არ გააძღვებს. შესაძლებელია უმცირესობის აზრი წარმოდგენილი იყოს პარლამენტში, მოხსენიებული იყოს როგორც ცნობა, მაგრამ კანონის სახით უმცირესობის აზრი და პროექტი-აქ წარმოდგენილი არ უნდა ყოფილიყო. ეს არის ერთი ფორმალური მხარის დატრეფვა.

ჩემის ზრით, შემდეგი უდიდესი, ფორმალური დატრეფვა არის ის, რომელიც აღნიშნული უკვე, და მე მგონია, ამის წინააღმდეგ რაიმე მოსაზრებას, და არგუმენტის მოყვანა — შეუძლებელია. ამ დებულებას ამტკიცებს და ასაბუთებს, უპირველეს ყოვლისა, ის მოსაზრება, რომ ის უმცირესობის პროექტი უმეტესად არღვევს ძირითად კანონს, რომელიც პარლამენტმა ამ ერთი კერის წინად მიიღო. უკველად აღღვევს. აი თუნდაც პირველი მუქლი ადრეთ: (კოხულობს)... პარლამენტს წევრები სიტყვას წარმოთქვიამენ ქართულ ენაზე.


მეორე მუქლში კი სწრაია (კოხულობს). ერთნულ უმცირესობათა წარმომადგენელს; რომელმაც ქართული ენა არ იცის. შეუძლიან სიტყვა წარმოთქვას უმცირესობის ენაზე, რომელიც პრეზიდენტის ერთმა წევრმა მაინც იცის.

ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ კანონს, რომელიც მიღებული ჰქონდა პარლამენტს; და სადაც ნათქვამი არის, რომ ლაპარაკი უნდა იყოს სახელმწიფოებრივ ენაზე. მაგრამ თუ ვინმემ არ იცის ეს სახელმწიფოებრივი ენა, შეუძლიან ილაპარაკონ თავის დედა-ენაზე. აი ბატონებო, სამწუხაროდ ჩვენ ჯერ ვერ მოვისმინეთ, ჩემის აზრით, ჯეროვანი დასაბუთება, ჯეროვანი დამტკიცება იმ კანონისა, რომელიც წარმოდგენილი არის და ჩემის აზრით, ვერ მოვისმინეთ იმიტომ, რომ ჯერ აქ ილაპარაკა პარლამენტის წევრმა არსენიძემ, რომელმაც მე მგონია ეს



იკის და ამ არგუმენტს. ყოველ შემთხვევაში ვერ გაექცევა, ვერ გაექცევა იმ მკვერთმეტყველ არგუმენტს, რომელიც მან მოიყვანა ამ ერთი კვირის წინად და სწორედ თიფონ ამ არგუმენტებმა დაამარცხეს ბატონი არსენიძე. სხვა არგუმენტები არ მოიპოვება, და ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ ისევ ეს მოსაზრებანი წამოვაყენოთ.

შეუძლებელია ითქვას, რომ იმის წინააღმდეგ, რაც წარმოდგენილია აქ კომისიის უმრავლესობის მიერ. გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ვდგევართ ძიების ისეთ გზაზე, როდესაც ჯერ არც ერთი არგუმენტი არ მოიპოვება, რომელიც ამტკიცებდეს საბუთიანობას უმცირესობის, და უსაბუთოებას უმრავლესობის აზრისას. რას ამბობენ აქ? აქ ნათქვამი არის კანონში, რომ ეროვნულ უცირვრობას აქვს უფლება თავის დედა ენაზე ლაპარაკისა თუ სახელწიფო ენა არ იკის. აქ ბრძანებდა ბატონი არსენიძე, რომ ჩვენ ვასარგებლეთ ფართოდ იმ უფლებით, რა უფლებაც მოგვანიჭა კანონმა, გავფართოვოთ ეს მუხლი, რომელიც გვაძლევს ამ უფლებას, და ამ მუხლით ჩვენ ეს კანონი შევიშუშავებთ. უნდა მოგახსენოთ, იმდენად გაფართოვებული არის ეს კანონი, რომ ეს კანონი დაიხა, ეს გასკდა ამ გაფართოების დროს. იმით რომ, აქ არის ცხადად აღნიშნული, და ყოვლად შეუძლებელია იმის თქმა, რომ თითქოს არ იყოს აღნიშნული ამ კანონში, რა უფლება აქვს ეროვნულ უმცირესობას ენის ხმარებაში - ეს არის აღნიშნული: თუ ქართული ენა არ იკის, მაშინ თავის ენაზე ილაპარაკებს. ამ კანონში ნათქვამი არის, რომ რასაკვირველია, ილაპარაკებს ეროვნულ უმცირესობის ენაზე. უპირველეს ყოვლისა უნდა მივაქციოთ თქვენი ყურადღება ერთ უცნაურობაზე: თუ ამ უმცირესობის პროექტის მეორე მუხლი შივიდეთ და თუ პრეზიდენტის წევრმა იკის ერთად ერთი ეროვნულ უმცირესობის ენა, ამით თქვენ, ჩემის შეხედულებით, უსაბუთო საშუალებას სხვა ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებს, რომ თავიანთ ენაზე ილაპარაკონ. უეჭველად უსაბუთო მათ იმ უფლებას, რომელიც მინიჭებული აქვთ კანონით, ესე იგი თავის ენაზე ლაპარაკისას. ჩვენ ფაქტიურად ვიცით, რომ არც ერთმა პრეზიდენტის წევრმა არ იღის არცერთ ეროვნულ უმცირესობის ენა გარდა რუსულ ენისა. ჩვენ იძულებულნი ვაგებდებით ამ უმცირესობის წარმომადგენლებს მივსკეთ უფლება ილაპარაკონ მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ენაზე. ეს არის ჩვენი შეხედულება. თქვენ ამბობთ ერთნაირი პრაქტიკული გზა ვამოგზავნებით, თავის შოვლისა, რომელიც ადვილად მსწყვეტს ამ საკითხსო. ეს მარტო სიადვილის საკითხი არ არის. ეს მარტო პრაქტიკული საკითხი არ არის, ეს არის უდიდესი საკითხი, ეს არის საკითხი, რომელიც გვაიძულებს, რომ ანგარიში გაუწიოთ ყველა ერთს, ანგარიში გაუწიოთ ყველა ერთს კულტურას, მის ენას, და პატივისცემით მოგვებყრათ ყველა ერთს სახიერებას. ეს არის პრინციპიალური საკითხი, და თქვენ კი ჩამოაჭვეითეთ ვითომ პრინციპიალური საკითხი არ არის და მხოლოდ არის საკითხი პრაქტიკულად ვადასპრელი. შე ვიმეორებ, ჩვენთვის ეს არის უდიდესი პრინციპიალური საკითხი, ესე იგი ისეთი საკითხი, რომელსაც ჩვენ ვალიარებთ და ყველგან და ყოველთვის იდეალად მიგვაჩნია, ისეთ წესწყობილებას მიახწიოს კაცობრიობამ, როდესაც აღიარებული იქნება თანასწორობა, თანასწორი ღირებულება ყველა ერთისა. აი ეს არის იდეალურად საკითხის ვადაქრა. ასე გვესმის ჩვენ. ჩვენ ისიც გვესმის რომ ამ აბსოლიურ იდეალის განხორციელება და მიხწევა შეუძლიანთ მხოლოდ იმათ



ვისაც სწამთ მომავალი კაცობრიობა, სწამთ მომავალი წესწყობილება კაცობრიობისა, რომელსაც ეწოდება სოციალიზმი. აი, სწორედ ამ იდეალის განხორციელება შეიძლება მხოლოდ სოციალისტურ წესწყობილებაში, მაგრამ მიხწევა ამისა ამ ბურჟუაზიულ, კაპიტალისტურ წესწყობილებაში, განხორციელება ამ იდეალისა ზედმიწევნით შეუძლებელი არის. მაშასადამე, აქ არის ერთნაირი პოლიტიკური ცდა, სანამ არ დამდგარა სანეტარი ღრო, როდესაც გადაწყდება ეს საკითხი და მოელება ბოლო ამ უსამართლობას, მანამ უნდა ვცდილობდეთ ეს დიდი პრინციპიალური საკითხი ისეთ ჩარჩოში მოვაქციოთ, რომ განელდეს ერების ერთმანეთის ჩაგვრა. ეს არის დიდი პრინციპიალური საკითხი, რომელსაც მარტო პრაქტიკულ საკითხად ვერ გადავაქცევთ, ვინაიდან კომისიის უმრავლესობის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტის წინააღმდეგ ვერავითარი არგუმენტი ვერ მოგვიყვანეთ. ჩვენ იძულებული ვართ ანგარიში გაუწიოთ პრესას, პრესის აზრს. უმთავრესად კი ანგარიში უნდა გაუწიოთ გაზეთ „ბორნა-ს“ სადაც იყო მეთაური წერილი ამის შესახებ. შეძაძლებელია ამ გაზეთმა მოგვეცა საშუალება გამოვიკვლიოთ ეს საკითხი და დაგვიმტკიცა, რომ ვცდებით? რას ამბობს „ბორნა“ ამ საკითხზე?, „ბორნა“ აღიარებს, და მე ვიღებ „ბორნა-ს“ მხოლოდ იმისთვის, რომ ეს არის თქვენი აზრის უმთავრესი გამოხატველი, მე ვგონებ ის, რაც დაიწერა იმისთვის, ვინც შეადგინა და მხარს უჭერს აი ამ პროექტს, იმისთვის მინც არის სავალდებულო ეს არგუმენტები, რადგანაც სხვა არგუმენტები არ გვაქვს, მე იძულებული ვარ ამ თქვენ არგუმენტებს პრესისას გაუწიო ანგარიში. „ბორნა-მ“ ეს საკითხი პრინციპიალურ, უაღრეს პრინციპიალურ საკითხად აღიარა, მაგრამ შემდეგ თავის დასკვნაში იმ დასკვნამდე, რომელთანაც ბოლოს და ბოლოს მიხვედით თქვენ. ჩამოაქვეითეთ ეს პრინციპიალური საკითხი პრაქტიკულ საკითხად, რომელიც უნდა მივიღოთ, რომ უხერხულდება არ წარმოიშვას პარლამენტის მუშაობაში, მაშასადამე ამ დებულებას ვერ დავეთანხმებით და ვიცაოთ პირველ დებულებას, რომელშიაც არის ნათქვამი, რომ ენის საკითხი არის პრინციპიალური საკითხი. შემდეგ არის ნათქვამი, და შეიძლება აქ გავიმეოროთ, რომ სახელმწიფოსთვის სულერთია ყოველი ენა, ყოველი ენა სახელმწიფოსთვის ერთნაირიაო. მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ გავიგოთ, ვკითხოთ პრესას, იმ პრესას, რომელიც მოწინააღმდეგე გამოდის ამ პრესისა. ის ამბობს სულერთია სახელმწიფოსთვის ყოველი ენა, მხოლოდ თუ ჩვენ რომელიმე ენას სახელმწიფოებრივ ენას უწოდებთ, ეს იმიტომ კი არა, რომ განსაკუთრებულ მფარველობას ვუწევთ, არამედ იმიტომ, რომ ამ ენაზედ ვლაპარაკობთ დიდი უმრავლესობა, და უფრო მოხერხებულია, და ადვილი გასაგებია.

ამ მოსაზრების, ამ არგუმენტის მიღება ყოველად შეუძლებელია. ერთი მხრივ აღნიშნულია საკითხი აქ პარლამენტის წევრის საყვარელიძის მიერ, რომ ჩვენ გვაქვს აქ სახელმწიფო ერთენიანი, სახელმწიფო, სადაც არ არის აღიარებული ჯერ სრული თანასწორობა ენებისა. ახლა უკვე თქვენ მიიღეთ კანონი, რომ სრული თანასწორობა ენებისა და ერებისა აღიარებული არ არის, და ვერც იქნება აღიარებული იმ მოსაზრებით, რომელიც მოგახსენეთ, იმიტომ, რომ ეს იქნება ძირითადი გადაჭრა



ეროვნულ საკითხისა და ძირითადი გადაჭრა ეროვნულ საკითხისა პირ-  
 ეუზიულ წესწყობილებაში, მე ყოველად შეუძლებლად მიმაჩნია. შეი-  
 დევ კიდევ შეიძლება თქმა და ნათქვამიც არის, რომ საზოგადოება არის  
 დენაციონალიზაცია, როდესაც რომელიმე ერთი უფრო ძლიერი ერის  
 ძალდატანებით გადაგვარდება და თავის ენას, თავის კულტურას დიფიფ-  
 ყებს, ეს საზოგადოება არის, მაგრამ თუ რაიმე შემთხვევით, თუ რაიმე  
 ისტორიულ მოვლენით ეს გადაგვარება მოხდა, ერის დიდი უპროვლე-  
 სობისა დენაციონალიზაციის ქვაბში მოიხარშა—სოციალისტურ თვალს-  
 აზრისთ შეუძლებელია დენაციონალიზაცია მოვახდინოთ, ესე იგი გა-  
 დაგვარებულბთა გადმოგვარება. ჩვენთვის ეს უმთავრესი საკულისხმი-  
 ერო არგუმენტი. შესაძლებელია სოციალისტმა სთქვას, რადგანაც მე  
 სოციალისტი ვარ, ამისთვის მე არ მევალება, რომ მე შევეცადო და გა-  
 დაგვარებულ ერს შევშალო ხელი, რომ ისევ გადმოგვარდესო, შემგონია  
 რომ არავითარ სოციალისტს ამ მოსაზრებას ვერ მოვახვევთ. პირიქით  
 სოციალიზმი მიგვაჩნია ისეთ ადვილად, სოციალიზმის დროშა მიგვაჩნია  
 ისეთ დროშათ, რომელიც არის უდიდესი და უძვირფასესი დამ ველი  
 სოციალიზმის იდეალისა. როდესაც გვეუბნებიან რენაციონალიზაციის  
 წინააღმდეგ საჭიროა ბოძოლო, ეს არის დიდი გაუგებრობა. მე მოვახ-  
 სენებთ რომ ასეთი მოსაზრებით, ასეთი ლოლიკით რომ ვილაპარაკოთ,  
 ისეთი უაზრო ნიდაგამდის მივალთ, რომ თვითონ გაუყვირდება ამის  
 მთქმელს. მაშასადამე, თუ რენაციონალიზაცია მოხდარა და ასეთი ფაქ-  
 ტი უკვე არსებობს, უნდა ესთქვას, რომ არავითარი ფაქტორი ზომე-  
 ბი არ უნდა მივიღოთ. ყოველივე ბრძოლა ამის წინააღმდეგ არის ეროვნ-  
 ულ უმცირესობათა წინააღმდეგ ბრძოლა. მაშ, ვინც იტყვის, რომ რე-  
 ნაციონალიზაცია შეუძლებელია სოციალისტურ თვალსაზრისით, მათ  
 ისიც უნდა სთქვან, რომ დენაციონალიზაცია დარჩავრა არის ერისა.  
 ეს არის ფაქტი და ამის წინააღმდეგ არავინ არ უნდა იბრძოლოს.

მაშასადამე, თუ ამას იტყვიან, თქვენ იძულებული იქნებით სთქვათ,  
 რომ ყოველივე ეროვნული ბრძოლა ირლანდიაში, ყოველივე ბრძოლა  
 კანადაში, რომელიც ანადგურებს და უშრობს ერს კულტურას, შეიძ-  
 ლება დაბალ ხარისხის კულტურას, და არა-მკითხე კულტურტრეგერებს  
 იქ ვითომ კულტურის სხივები შეაქვთ,—თქვენ იძულებული იქნებით  
 სთქვათ, რომ ასეთი ბრძოლა წინააღმდეგია სოციალიზმისა და ეს და-  
 სკვნა ლოლიკური იქნება. მაგრამ აქ არავითარი საწინააღმდეგო სოცია-  
 ლიზმისა არ არის და ეს დასკვნალოლიკური იქნება. აქ არავითარი საწინა-  
 აღმდეგო სოციალისტური აზრისთვის არ არის. სხვათა შორის, უნდა მოვა-  
 ხსენოთ აზრი პარლამენტის წევრის გობტინასი. მან ბრძანა: ხეც რომ  
 ვიცოდეთ, რომ ერები, აქ მოსახლე ერების უპროვლესობა არ ლაპარა-  
 კობენ თავის დედა-ენაზე, მაშინ შეიძლება და ვეუთქვა, თუ კი არ ეს-  
 მით თავისი მშობლიო ენა, ჩვენ შეგვიძლიან მივცეთ თავისი ენის ნა-  
 ცვლათ, მივცეთ უფლება ილაპარაკონ იმ ენაზე, რომელიც ესმითო. მე  
 მგონია, რომ ამ შემთხვევაში თუ ჩვენ იმ პრინციპს გადავლახავთ, რო-  
 მელიც გვიკარნახებს ბრძოლას ამ დენაციონალიზაციის და გადაგვარების  
 წინააღმდეგ, და ამ პრინციპზე ვიდგებით, მაშინ ამას ვერ ვიტყვიან,  
 მიუხადავად იმისა, რომ ეროვნულ უმცირესობათა წმინდომადგენ-  
 ლები არ ლაპარაკობენ, სამწუხაროდ, თავის დედა ენაზე, ჩვენ სამუა-  
 ლება უნდა მივცეთ, რომ ებრძოლონ ამ ბოროტებას, გადაგვარებას,  
 ენის, კულტურის დაკარგვას, თავის სახის დაკარგვას. ეს არის ბორო-



ტება და ამ ბოროტებას მაინც შევებრძოლებით. ჩვენ აქ საშუალებას ვაძლევთ იმ ერებს, რომელნიც მომწყვდეულნი არიან ჩვენს ტერიტორიაში, საშუალებას ვაძლევთ თავის მშობლიურ ევასე ილაპარაკონ.

ამ არგუმენტზე, როგორც მოგახსენეთ, არ შევჩერდები, იმიტომ რომ აქ უკვე ილაპარაკეს და მე აღარ შევჩერდები. მაგრამ მართლა რა შიამ საქმე? სამწუხაროდ, თუ გამოცხადდნენ ისეთი დემუტატები, რომლებიც თავის დედა ენაზე, თავის მშობლიურ ენაზე არ ლაპარაკობენ, თავის ხალხის უმრავლესობის ენაზე არ ლაპარაკობენ, — რა უფლებით, რომელ დემოკრატიულ თვალსაზრისით შეუძლიათ შოითხოვონ: ჩვენ გადავარებულნი ვართ, ჩვენ არ ვიცით მშობლიო ენა, ჩვენი ერის ენა, და ამიტომ ჩვენ, საერთო პარლამენტში, საქართველოს რესპუბლიკი-პარლამენტში გვალაპარაკეთ იმ ენაზე, რომელიც მოგვახვია რუსიფიკატორების რეჟიმმა, იმ ენაზე, რომელიც მოგვახვია რუსეთის თვითმპყროს ბელობამო. არავითარი მოსახრებით ამ უფლების მიჩივება ჩვენ არ გვაქვს. ჩვენ ვიცით კიდევაც სწორედ, კიდევაც ლაპარაკობენ, დიდი განგაში ასტებეს თუ აი, რა უსაპართლობა მობდა, საქართველოს პარლამენტში ვრების წარმომადგენელთ არ აღაპარაკებენ იმ ენაზე, რომელზედაც შეუძლიანთ ვააცნონ თავისი გულის ტკივილი, ფრისგულის ტკივილი. მაგრამ დედა, სწორედ. ამისი არ შეგვეშინდება. ეს არის უსაფუძვლო წერა, ეს არის ბოროტება, რომელიც ჩვენის შეხედულებით გავრცელებული არის იმ ელემენტებისგან, რომელნიც ამ ერების წარმომადგენლობას კისრულობენ. მათსადამე ეს მოსახრება არ არის არც პრაქტიკული, არც სახელმწიფოებრივი, არც სოციალისტური. მე ამას ხაზს უსვამ.

მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ კიდევაც ილაპარაკებენ სოციალისტურ თვალსაზრისით. შესაძლებელია დაგვეწამონ მოვიწინებოდა, მაგრამ, მე მოვიტხოვ ყოველ შემთხვევაში ანგარიში გაუწიონ იმას, თუ სად, რომელ სოციალისტს უთქვამს, სად გაუგონიათ, რომ ბოროტება, რომელსაც თითონვე აღიარებს „ბარბა“ არის დენაციონალიზაცია, და თუ ეს ბოროტება არის, ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა შეეფერება არა სოციალისტს. ეს უნდა დავგიმტკიცონ ამ პროექტის მოწინააღმდეგენმა.

შემდეგ ერთი მოსახრება. აქ ჩვენ გვაწვდენენ კანონებს ისეთი წესით, რეგლამენტის სახით, რომელიც უარყოფს იმ კანონს, რომელიც ჩვენ მიღებული გვაქვს. ეს ისეთი პრეცედენტი არის, აქ, რომელიც უეჭველად დასცემს ჩვენი პარლამენტის პრესტიჟს, რომელიც უეჭველად მოგვეცემს ისეთ შედეგებს, რომლის წინააღმდეგ მოგვიხდება შედეგ ბრძოლა. ხელებით და ფეხებით შეიძლება მაინც დასძლიოთ, მაგრამ არსებითად მართალი არ იქნებით. იმიტომ რომ, თუკი თქვენ დაუშვებთ ასეთ უწესობას, ეს იქნება კომპრომისის დაშვება.

რა შიამ საქმე? იმა შიამ საქმე, რომ თქვენ გინდათ რეგლამენტის სახით გამოსცვალოთ კანონი. დღეს ერთნაირი უმთავრესობა არის აქ, ხვალ შესაძლებელია, ისეთი უმრავლესობა იქნეს, რომელიც არ შეესაბამება უმრავლესობის აზრს. თქვენ აძლევთ საბუთს ამ უმრავლესობას, ის კანონი რომელიც მიიღეთ, ისევ რეგლამენტის წესით გამოსცვალონ. რას დაემზავსება ჩვენი პარლამენტი, რას დაემზავსება ჩვენი საქმიანობა, როგორი იქნება პარლამენტი? მე თქვენ ვარწმუნებთ, რომ ეს იქნე



ბა ბაბილონის გოდოლი, და აღარ იქნება ყველასგან ცნობილი, როგორც სახელმწიფოს პარლამენტი, იურიდიული დაწესებულების სახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა. ეს კი ყოველად შეუძლებელია.

მე თქვენ მოგიწოდებთ ყოველ მხრივ, მოუწოდებ თქვენ გულს და თქვენს გონებას დაეკითხოთ და ისე გადასწყვიტოთ ეს საკითხი. მარტო იმას მუ. გაუწევთ ანგარიშს—რას იტყვიან, და უხერხულია ის თუ არა, დაიხარჯება ზედმეტი ენერჯია, დაიხარჯება შრომა და ფული თუ არა. ამას ანგარიში არ უნდა გაუწიოთ, მაშინ როდესაც პრინციპიალურ საკითხს სწყვეტავთ, და ეს უაღრესი პრინციპიალური, თვით ძირითადი საკითხი არის სახელმწიფოებრივ დემოკრატიულ-სოციალისტურ თვალსაზრისით.

**ირაკლი წერეთელი.** (ს. დ.) ბატონებო! ამ კითხვაში ორი მხარე არის: ერთი ფორმალური, მეორე არსებითი. აქ სულეყველა ფრაქციების წარმომადგენლებმა ილაპარაკეს, სუყველანი შეჩერდნენ ფორმალურ მხარეზე. უპირველეს ყოვლისა აქა ბრძანეს, რომ კანონს პარლამენტის მიერ მიღებულს, რეგლამენტის წესით თუ შესცლით, ჩვენში დამკვიდრდება სწორედ ისეთი წესები, რომლებსაც ვგმობდით რუსეთში, როდესაც კანონს სენატი ზოგიერთ ისეთ განმარტვას აძლევდა, რომელიც ძირიანათ სცვლიდა კანონს, არღვევდა მას. აქ ამ წესების გამეორება დიდათ საშიშრათ დაინახეს.

მე მოვახსენებთ, რომ ჩვენი კონსტიტუცია ისეთია, კიდევაც რომ გაბატონდეს ასეთი მიმართულების მსგავსი, აი ასეთი არა კანონიერი მიმართულება,—მას განმარტების წესები არ დასჭირდება. სენატის განმარტება კანონს რომ არღვევდა, იმიტომ მიმართავდა მთავრობა სენატს, რომ ასეთი კანონის გამოძკემელი დაწესებულება ერთი იყო, ხალხის წარმომადგენლობის მსგავსი, მხოლოდ განმარტების მომცემი მეორე იყო, სრულიად მთავრობისაგან დამოკიდებული. იქ ეუბნებოდნენ მთავრობას—ის, რაც ხალხის წარმომადგენლებმა გაიყვანეს და დამტკიცეს თქვენ იმას აბათილებთ, ჩინოვნიკების განმარტებითო. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამ კანონების შინაარსის უარყოფა მოინდომა ჩვენმა პარლამენტის უმრავლესობამ. განა ამისთვის უფრო ადვილია განმარტების მიცემა, ვიდრე ახალი კანონის გამოცემა, ნუ თუ ვერ ხედავთ თქვენ სხვა და სხვანაირობას ჩვენ მდგომარეობაში და იმ მთავრობის მდგომარეობაში, რომელზედაც თქვენ ამბობდით? ეს უმრავლესობა, ეს მთავრობა არის სწორედ ხალხის წარმომადგენელი. უმრავლესობას, იმავე დებულების, რომელიც ჩვენ დღეს რეგლამენტის სახით აქ შემოვიტანეთ როგორც წინადადება, სწორედ იმავე დებულების გასატარებლად დასჭირდებათ ხალხის წარმომადგენლების უმრავლესობის ხმა, როგორც კანონისთვის.

ხომ ხედავთ ამ განსხვავებას.

იქ უხვევდნენ გვერდს ხალხის ხმას, საკანონდებლო დაწესებულების ხმას, რომ ჩინოვნიკებს ხელით გაეკეთებინათ ის, რასაც ვერ გაეკეთებდნენ ხალხის წარმომადგენლების ხმით. ყველა ის შიში, რომელიც გამოსთქვეს იმის შესახებ, რომ ჩვენში სენატის წესი დამკვიდრდება—აგებულია იმაზე, რომ ავიწყდებათ ერთი რეგლამენტიც და კანონიც, ორივე მხოლოდ ერთი სახალხო წარმომადგენლებისაგან შეიძლება მიღებული იქნეს და მხოლოდ მაშინ შეიძლება დამტკიცებული იქნეს, როდესაც ხალხის წარმომადგენლების დიდი უმრავლესობა მას ხმას

მისცემს. აი, იმიტომ ეს პოლიტიკური მოტივი— „ნუ დაემზავსენით სტოლინის, ნუ დაემზავსებით სენატს“, — ნუ თუ შეცდომა იქნება, რომ ამას დემაგოგია უწოდოთ, იმიტომ რომ გარეშე მიმსგავსებას ეპოტინებიან, რომ სახელი გაუტეხონ ჩვენს წინადადებას და განზრახ ხელს აფარებენ იმ გარემოებას, რომ დღევანდელ წესწყობილებაში, იგივე დაწესებულება, — სრულ უფლებიანი ხალხის წარმომადგენლობა, — დეპულობს რეგლამენტს, რომელიც დებულობს კანონს, და აქ ისეთი განსხვავება არ არის, როგორც იყო, მაგალითად რუსეთში: განსხვავება იყო არა მარტო კანონის და სენატის განმარტებათა შორის, არამედ კანონისა და რეგლამენტის შორის იყო დიდი განსხვავება. რეგლამენტს მხოლოდ ერთი პალატა იმუშავებდა და აძლევდა სენატს გამოსაქვეყნებლად. მხოლოდ კანონისთვის საჭირო იყო მეორე პალატაც და უზენაესი დამტკიცება. მაგრამ ჩვენში, სადაც მთელ ძალაუფლებას თავი მოუყრია აი აქ, ჩვენს პარლამენტში, — განა ასეთი მიკიბულ-მოკიბული გზით სიარული დასჭირდებოდა კომისიის უმცირესობას, თუ იმის უარყოფა უნდოდა, დამერწმუნეთ მას შეეძლო, და ერთ იოტით მეტი ენერგია არ დასჭირდებოდა, იმავე დაწესებულებაში წინადადება შემოეცანა, მხოლოდ ზევიდან დაეწერა — რეგლამენტის მუხლების მაგივრად კანონ-პროექტის მუხლები. გრძნობთ ამას თუ არა, ბატონებო!.. (მანაბელი: „ხალხისთვის“)... დიან ხალხისთვის (მანაბელი: „უზერხული იქნება“). მე არ ვიცი, ბატონებო, როგორ იქნება ხალხისთვის უზერხული ის, რომ სახელი ამ კანონისა იქნება კანონი და არა რეგლამენტი. მთელი იმ არგუმენტების მაგივრად, რომლითაც თქვენ გამოხვედით ამაში, თქვენ შეგვიძლია არ გეთქვათ — დღეს ერთ კანონს იღებთ, ხვალ მეორესაო. მაშინ უფრო დატრიალდებოდნენ თქვენი არგუმენტები, ვიდრე დღეს ჩვენ თქვენგან გავიგეთ, როდესაც თქვენ, ბატონებო, გამოდიხართ და ბრძანებთ — ჩვენ ცოტანი ვართო, და კაი საბუთები გვაქვსო, თქვენ კი ბევრნი ხართ, და არა გავთ კარგი საბუთებიო, — მე თქვენ გეკითხებით, როცა კარგი საბუთებია, განა შეიძლება ამ საბუთების აგება ისეა დებულებაზედ, რომელიც ავიწყებინებს საქმის არსებობას. თქვენი ყოველივე მოსაზრება, რომ ეს სენატის გამეორება არისო, მხოლოდ იმაზე არის აგებული, რომ ხელს აფარებთ საკითხს. არც სენატია აქ, არც ჩინოვნიკები; აქ არიან სახალხო წარმომადგენლები, აღქურვილნი ხალხის უზენაეს უფლებით. სწორედ ეს სახალხო წარმომადგენლები იღებენ რეგლამენტს, რომელსაც შეუძლია კანონის მიღება. ეს მოსაზრებანი, რომელიც თქვენ ბრძანებთ — აი სწორეთ, ამ სახის არგუმენტებია, რომლებიც, თუმცა მცირე რიცხოვან ჯგუფისაგან არის წარმოდგენილი, მარამ ვერასოდეს ვერ გაუწევთ ანგარიშს, რადგან არ არის ნამდვილი საბუთები. წარმომადგინოს უმცირესობამ ნამდვილი საბუთები და თუ არ გაუწიოთ ანგარიში, მაშინ გვითხარით საყვედური.

ასეთია ფორმალური მხარე.

ჩვენ ძალიან ადვილად შეგვეძლო ეს კანონის სახით წარმოგვედგინა. თუ რეგლამენტის გაყვანა უმრავლესობას შეგვეძლო, კანონის გაყვანაც უმრავლესობით შეგვიძლიან. ჩვენ მეტი შრომა არ დავეჭირდებოდა. სტოლინინი ამ მღვამარობაში რომ ყოფილიყო, ის სენატს თმეს დაანებებდა, მაგრამ იმიტომ იყო სტოლინინი — სტოლინინი, რომ ხალხის უმრავლესობას დაშორებული იყო და იქ არასოდეს ნიადაგი არა ჰქონია... (ხმა: — გაბედულება კარგია“.. ხმა: «გაბედულება გაკლიათ“..)



ბატონებო! გაბედულობა, ჩვენ სტოლოპინის წინააღმდეგობის დაპყრობის ბია, და ბატონი... აი, მისი გვარი არ ვიცი... (ტაში) გაბედულობა მის წინააღმდეგ... ეს სწორედ სასაცილოა, და ნუ იღებთ... (ტაში) თქვენ სასაცილოთ, ბატონებო, თქვენ თავს.

ბატონებო! ჩვენ შემოვიტანეთ ჩვენი წინადადება რევლამენტის წესით იმიტომ, რომ იგი ჩვენი რწმენით, არ ეწინააღმდეგებოდა მიღებულ კანონსა. მართალია, მიღებულ კანონში არ იყო ეს, მაგრამ საწინააღმდეგო იპისა, არ ყოფილა. აი დღეს ჩვენს, წინადადებაში არის ნათქვამი, რომ ქართულიდან რუსულათ თარგმანა არ შეიძლება. მაშასადამე, აქ არის არა მარტო დადებითი მხარე, არამედ არის აგრეთვე უარყოფითი მხარეც. წინათ მიღებულ კანონში არის მარტო დადებითი მხარე. (მაჩაბელი — «როცა რუსულათ ილაპარაკებენ, რათ უნდათ თარჯიმანი?»)

(თავმჯდომარე, გთხოვთ მუსაიფს თავი დაანებოთ.)

მე მინდა ბ. მაჩაბელს აუხსნა, როცა რუსულათ ილაპარაკებენ, დიან, თარგმანი არ დასჭირდება; მაშინ, როდესაც ქართულათ ილაპარაკებენ, და ვისკეს დასჭირდება თარგმანი, ჩვენი წინადადებით მაშინ ეს არ შეიძლება. ბატონებო, თქვენ ერთ უკიდურესობისაგან მეორე უკიდურესობაში გადაიხართ. მე კარგად ვიცი, ეს ამკარაა, თქვენ საზოგადოთქარქართული ენა გაინტერესებთ არც რუსული. თქვენ მხოლოდ ის გაინტერესებთ, რაც უმრავლესობას, ჩვენ საქმის ინტერესებს ხელს უშლის და ხალხს აღელვებს. როდესაც თქვენი ფრაქციის წარმომადგენლები ლაპარაკობენ, ჩვენ იმდენ საშუალებას გაძლევთ, რაც კეშმარიტათ არ შეეფერება თქვენ მნიშვნელობას, თქვენ მკერძეტყვილობას. გაიგონეთ ხალხის უმრავლესობის წარმომადგენლები, როგორ ფიქრობენ, და რა კანონი გავა, რა საბუთით.

აი ბატონებო, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ იყო დადებითი მხარე — ეძლევა უფლება ილაპარაკონ სამშობლო ენაზე, მხოლოდ თარგმანის წესი რევლამენტის წესით განსაზღვრული არ არის. აქ არ იყო ნათქვამი ეკრძალება თუ არა ერთ ეროვნების უმცირესობის წარმომადგენელს, მეორე ეროვნულ უმცირესობის ენაზე ილაპარაკოს და ეს პრაქტიკული მოსაზრება, მთელი პალატისთვის უფრო ადვილი იქნება ვიდრე მოგახლოთ 7 ენაზე მთარგმნელი. რომ ილაპარაკონ იმ ენაზე, რომლისთვისაც მთარგმნელი არ დაგჭირდება — გაგვიადვილდება თუ არა საქმე?

როდესაც ბ. გომართელმა ერთ ჩვენ ფრაქციის წარმომადგენელზე, ბ. არსენიძეზე სთქვა: „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“, და თქვენ ბ. ვეშაპელო, ძალიან მსურვალეთ ტაში დაუკარით (ვეშაპელი — „ჩემზე მეტი სხვამ დაუკარა“) დიან, მე თქვენ მოგახსენებთ, წარსულ კრებაზე თქვენ ბრძანეთ — თუ 7 ენაზე ილაპარაკებენ — ბაბილონის გოდლო იქნება და დაინგრევა საქართველო. ესეა რომ გამოიდხაროთ და ბრძანებთ — ერთ ენაზე ნუ ილაპარაკებენ, 7 ენაზე ილაპარაკონო, თქვენ გვეუთვნის თუ არა — „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“ (ვეშაპელი — თუ თქვენ მესხიერება გაქვთ, მაშინ მესულ არ მილაპარაკებია.) ბატონებო, ვეშაპელო, შეიძლება თქვენ პირადათ არ გილაპარაკებიათ, მაგრამ თქვენი დიდებული ფრაქციის წარმომადგენლებმა აქ ილაპარაკეს. თქვენ არ გცოდნიათ საზოგადო ჩვეულება, როცა ფრაქციის სახელით ვინმე ლაპარაკობს, მაშასადამე ფრაქციის აზრს ამბობს, არ ვი-



ცი როგორ არის (ხმა—„ჩვენ არ გვჭირია ინსტრუქტორები“). საუბრე დურით ინსტრუქტორები საქირა. მე ვამბობ—ის ფრაქცია, რომელიც ერთ სხდომაზე ლაპარაკობს 7 ენა დაანგრევს სახელმწიფოსი, და მხოლოდ მეორე სხდომაზე გამოდის და ლაპარაკობს, თუ ეს 7 ენა არ დასტოვებ და ერთ ენაზე ილაპარაკებ—ეს დაანგრევს საქართველოს. (ბ. ვეშაველი—„უფრო დაანგრევს“).

ბატონებო, იმაზე უფრო, როდესაც დაირღვევა მთელი პარლამენტი და ერთმანეთისას ვერ გაიგებთ, მე არ ვიცი ამაზე უფრო და უფრო მეტი რა იქნება. მე მხოლოდ ამაში ვხედავ ძირითად წინააღმდეგობას.

მე მოგახსენებთ, ბატონებო, იყო ლაპარაკი, რომ დიდი პრინციპიალური საკითხია ის. თუ რა ენაზე მივცემთ ჩვენ ლაპარაკის უფლებას პარლამენტში ეროვნულ უმცირესობათა პრინციპიალური დეკლარაცია ჩვენმა პარლამენტმა უკვე მიიღო ჩვენ ვაძლევთ უფლებას ილაპარაკონ ყველა ენაზე. რომელზედაც კი ეროვნული უმცირესობა ლაპარაკობს. პრინციპიალურად ეს დეკლარაცია უკვე მიღებულია (ხმა—„არ არის“).

ბატონებო! კონკრეტულად, მაგრამ ჩვენ ხომ კარგათ ვგრძნობთ, რომ თუ ვე პრინციპიალური დეკლარაცია ვანხორციელდა—ჩვენს პარლამენტში მუშაობა არ შეიძლება. აბა, გულზე ხელი დაიდეთ, მე კარგათ ვგრძნობ, რომ ამ მოსახრებას ბევრი გულწრფელი მოწინააღმდეგე ჰყავს, მაგრამ წარმოიდგინეთ იდეალური მდგომარეობა, როდესაც ბევრნიერთა ლაპარაკობენ თავის ენაზე ყველა უმცირესობის წარმომადგენელნი და დაიწყეს 7 ენაზე ლაპარაკი. ვიშოვებ 7 ენის მცოდნე მთარგმნელები და დავიწყებთ საქმის მსჯელობა. წარმოიდგინეთ თქვენ, რომ თითო სავანზე გამოდიან და მსჯელობენ 7 ჯერ, 7 ჯერ უნდა გადაითარგნოს... (ხმა—„რას ამტკიცებს ეს“) ეს იმას ამტკიცებს, რომ ერთ ენაზე, რომ შესძლომ ყველამ ლაპარაკი ეს იქნება საუკეთესო, (ხმა—„იდეალი“) მხოლოდ 7 ენაზე რომ შევძლოთ და 7 ენა სავალდებულო იყოს—ეს იქნება ყველაზე უარესი. თუ მე იმას დამიმტკიცებთ, რომ აქ უმცირესობის წარმომადგენლებს ყველას კარგათ ესმით ქართული ენა, მე მხოლოდ მომხრე ვიქნები ესეთი ენისა. მაშინ პრინციპიალურ დეკლარაციას თანხმობას მივცემთ. მაგრამ დამეთანხმებით, რომ თქვენი ხალხის ინტერესები და ჩვენი ინტერესები მოითხოვენ, რომ ერთმანეთი ვავიჯოთ. ჩვენთვის ენა ფეტიში არ არის; არც თქვენთვის უნდა იყოს ენა ფეტიში. ჩვენ ვამბობთ—აი, ამ ერთ ენაზე ილაპარაკოთ, რადგანაც ყველას ესმის. საქმე გვიანტერესებს და ის, რომ ხალხს გავავებინოთ.

ბატონებო, ქართული ენა რომ ესმოდეთ... (ვეშაველი—„ვინ ამოარჩევინა?“ რატომ რეკომენდაცია არ გაუკეთებთ?) ბატონებო სტალინის, რომლისაც თქვენ ძალიან გეშინიათ,—ყველაზე ცუდი ის იყო, რომ რეკომენდაციას უგზავნიდა ყველას—ეს ამოიჩინეთო. მხოლოდ, ეს რეკომენდაცია, ბატონმა ვეშაველმა, რომ მოინდომა,—არ ვიცი რა რეკომენდაციას ვაკეთებ. მხოლოდ ეს არის უმცირესობათა უფლების მებრალვა, როდესაც ეუბნებით—შენ ესა და ეს წარმომადგენელი გამოგზავნეო და რეკომენდაციას უკეთებთ.

მე უფრო შორის წავალ ასეთი მდგომარეობა რომ იყოს მაგალითად, რომ ქართული ენა სასოგადოთ გავრცელებული იყოს ჩვენში მცირე გამოჩაყლისით—მაშინათვე დავეთანხმებოდი იმაზე, მაგრამ 100 წლის განმავლობაში საქართველო სხვა სახელმწიფოს ნაწილი იყო, მას თავის



სი სახელმწიფო არა ჰქონდა. ის სხვა ერების, ამ დიდ სახელმწიფოს  
 ნაწილი იყო. ბატონებო, არ ვიცი ჩამომართმევთ ამას რუსეთიკატო-  
 რობაში, თუ სხვა რამეში, მაგრამ ქეშმარიტება ის არის, რომ რუსული  
 ენა უფრო უმთავრეს ნაწილის ენა იყო (გეშაპელი: მუშებისაც?) წარ-  
 მოიდგინეთ, მუშებშიაც უფრო უმთავრეს ნაწილისა იყო (ვეშაპელი:  
 „ღლებებისაც“). ბატონებო, ჯერ ერთ კითხვაზე მაპასუხებინეთ... ბა-  
 ტონებო, აქ წარმოდგენილი არიან დემოკრატიული ფრაქციები და  
 იციან... (მაჩაბელი: „ქრისტეს ტირილი იყო ხოლმე), როდესაც მუ-  
 შები სხვა და სხვა კრებებზე იკრიბებიან იმ უკიდურესობას ნახავთ, რომ  
 ერთიც რომ გამოერიოთ არა ქართველი, მაინც რუსულად ლაპარაკო-  
 ბენ (ხმაურობა).

(თავმჯდომარე. „უკაცრავათ, უნდა წესიერებისაკენ მოგიწოდოთ.  
 დღეს ხშირათ ირღვევა წესიერება; მაჩაბელს: — გათხოვთ დაიკვით წესი.  
 იდგლიდან ლაპარაკი აკრძალულია (ხმაურობა). მე თქვენ გიმეორებთ.  
 თუ მესამეთ გამეორებთ. მოგიწოდებთ წესიერებისაკენ. განაგრძეთ!“).

**ირაკლი წერეთელი.** აქ ლაპარაკობენ იმაზე, რომ აქ უნდა მი-  
 ვილოთ მხედველობაში ხალხის ინტერესი და ხალხის უფლება, და ის სა-  
 კითხი რომ სომხის ხალხმა, მაჰმადიანებმა და სხვა და სხვა უმცირესობათა  
 რებმა არ იციან, მაგალითათ, რუსული ამიტომ მათ წარმომადგენ-  
 ლებს არ უნდა მივცეთ აქ ლაპარაკის საშუალება; ბატონებო, ხალხის  
 ინტერესი ის არის, რომ მისმა წარმომადგენელმა, რომელიც აქ მოვა,  
 გაგვაგებინოს თავისი ხალხის საჭიროება და მიიღოს თქვენთან პასუხი?  
 მე სრულიათ დარწმუნებული ვარ, რომ, მაგ. სომხების დემუტატმა,  
 რომელმაც კარგათ იცის ქართული თუ ის დაინტერესებულია თავისი  
 ხალხის ინტერესის დაცვაში, ისეთი ენით უნდა მოგვახეროს, რომ ჩვენ  
 გავიგოთ. იმან კარგათ იცის, რომ თუ სომხურათ გამოსთქვა თავისი ხალხის  
 საჭიროება — მისი ხალხი კი გაიგებს მის სიტყვებს, მაგრამ მან უნდა ჩვენც  
 გაგვაგებინოს. შემდეგ პრესაში გადითარგმნება სხვა ენაზე, მაგრამ აქ —  
 პარლამენტში, სადაც ყველა საკანონმდებლო კითხვები ხელის აწევით  
 სწყდება, — მათ უნდა გაგვაგებინონ მათი ხალხის საჭიროება.

მე ვიცი, ერთი საშუალება არის, რომელსაც თქვენზე მოქმედება  
 შეუძლიან. აი თქვენ რომ იყოთ ასეთ მდგომარეობაში აქ, ერივანში,  
 რომ იყოს სომხის პარლამენტი, თქვენ ქართველი ხალხის უმცირესო-  
 ბას წარმომადგენთ იქ, თქვენი ხალხი აუარებელ გაჭირვებას განიცდის.  
 ასეთი მდგომარეობაა. — თქვენ მიხვედით იქ, გინდათ თქვენ ხალხს ამ  
 გაჭირვებაში უშველოთ გინდათ გამოაშკარავოთ ხალხის გაჭირვება. მისი  
 მათხოვნილება; მაშინ გეუბნებიან — შენ ქართულათ სთქვი, თუ ვიშო-  
 ვით მთარგმნელს — გადავთარგმნითო. ეს დაცინვა იქნება. ჩვენ ხალხის  
 უფლებას ვიცავთ. რუსეთის პარლამენტში რომ ვიყავით, იქ ჩვენ არ  
 გვქონდა ნება... (ხმა: „რატომ არ მოითხოვეთ?“) საზოგადოთ, ბატო-  
 ნებო, ჩვენი პროგრამა თუ წაგიკითხავთ გაიგებდით, რომ იქ გატარე-  
 პულია, რომ ყოველ ერს უნდა ჰქონდეს საშუალება თავის ენაზედ გა-  
 აცნოს საქმე, მხოლოდ პარლამენტში ჩვენ რომ გვქონოდა უფლება  
 ჩვენს ქართულ ენაზე ლაპარაკისა, — მე თქვენ გარწმუნებთ, არა თუ  
 მარტო სოც. დემოკრ. წარმომადგენლები, არამედ სულ უდიდესი ზუზ-  
 ბები, რომ გაგვეგზავნათ თუნდაც ნაციონალ-დემოკრატიები — ისინიც კი  
 აქ ირჩევდნენ რუსულ ენაზე ელაპარაკნათ, რომ გაგებინათ თავისი საქმე,  
 არასოდეს არ გადავიდოდნენ ქართულ ენაზე ლაპარაკზე, როდესაც



იკლდნენ, რომ ქართული ენა არავის ესმის. თარჯიმანი ვერასოდეს ვერ გადასცემს, ვერ მიიქცევს ყურადღებას ისე, როგორც თითონ ორატორს შეუძლიან გადასცენ თავისი აზრი. აქ ბევრი საყვედური გვესმის—რატომ ქართულ ენაზე არ უნდა ილაპარაკონო, და არ გვესმის საყვედური, რატომ რუსულ ენაზე არ ილაპარაკებენო. და ეს არის საქირო იმისთვის, რომ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებმა ჩვენ წარმომადგენლებს გააგებინონ თავისი აზრი. საუკეთესო გზა იქნებოდა, რომ ერთი ენა (ხმაურობა) დიახ, ბატონებო, ეს იქნებოდა საუკეთესო გზა. (ხმა: „ესპერანტო“) ესპერანტო კი არა, შეიძლება საუკეთესო რამ შეიქმნას დღევანდელ დღეს, რომ ქართულ ენაზედ ლაპარაკობდნენ ყველანი-ეს საუკეთესო გზა იქნებოდა. მაგრამ, გარწმუნებთ, ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლები ასეთ ჟინიან გზას არ დაადგებიან. იმიტომ რომ, შე დაშნაკლებს ბევრში არ ვეთანხმები, მაგრამ ერთი კი არის—თუ იციან ქართული ენა, ვიცი რომ ჟინიანობას არ გამოიჩენენ, როცა ეს საქმისთვის საქირო არის.

თუ უმცირესობის წარმომადგენელი მოვიდა და ილაპარაკა ქართულ ენაზედ, ამით დაამცირებს თუ არა თავის ენას? არ დაამცირებს, იმიტომ რომ ხალხის წარმომადგენელს ევალემა ყოველნიერი ზომა მიიღოს, რომ თავისი მოვალეობა შეასრულოს იმ დაწესებულებაში, რომელშიაც არის. თუ იცის სახელმწიფოებრივი ენა, იმ ენაზე ილაპარაკებს, თუ არ იცის, და თუ არსებობს ისეთი ენა, რომელიც ყველასთვის გასაგები არის, რასაკვირველია, მოინდომებს იმ ენის ხმარებას. ჩვენი მხრივ ეს ჟინიანობა იქნება, ჩვენ გამოვიჩნეთ შოვინიზმს, და არვიცი, რაგვარ რუსოფობას, რომ, თუმცა რუსული ენა ყველას გვესმის, მაინც ძალას დავატანთ უეჭველად სომხის ერის წარმომადგენელს, ილაპარაკოს სომხურ ენაზე; თუ ვეტყვით, რომ მართო თარჯიმნის საშუალებით ვაგვეგებინოს თავისი აზრი, მაშინ მოგვიხდება შედგენაზედ თარჯიმნის საშუალებით გავიგოთ ის, რასაც უმცირესობის წარმომადგენლები ილაპარაკებენ (ხმაურობა) თქვენ ისე ლაპარაკობთ, ბატონებო, როდესაც იცათ კანონს, რომ უეჭველად თავის ენაზედ ილაპარაკონ ამ ერების წარმომადგენლებმაო. თქვენ ამბობთ—მოვიდეს სომხის ერის წარმომადგენელი, და ილაპარაკოს სომხურად. და თუ საქირო იქნება, პრეზიდიუმში სომეხს შევიყვანოთ. მერე მოვა ოსი ილაპარაკებს ოსურად, უნდა გადმოვთარგმნოთ და პრეზიდიუმში უნდა შევიყვანოთ ერთი ოსი თქვენ პრინციპის მიხედვით. და ესე შეიძლება. (მემარჯვენე ფრთიდან: „თქვენი პრინციპის მიხედვით.“) ჩვენი პრინციპი მდგომარეობს, საზოგადოდ, თანასწორობაში. მაგრამ ჩვენ ანგარიშს უწყევთ, ამ საკითხში, პრაქტიკულ მოსაზრებას. და ჩვენი უდიდესი პრინციპი ეს არის,—რაც უფრო გავვიაღვილებს ერთმანეთის გაგებას ამ გზას უნდა დავადგეთ.

ბატონებო, აქ ბატონი ვეშაპელი ბრძანებდა, რომ ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელმა, თავი უნდა შეიკავონ (ხმა მემარჯვენე ფრთიდან: „სამანდატო კომისიის მოხსენება“) დიახ, სამანდატო კომისიის მოხსენებამდისინ ვერც ერთი პარლამენტი ვერ გაისხნებოდა და არც ერთი წარმომადგენელი ვერ შესძლებდა ლაპარაკს და ხმის მიცემას. რათ გინდათ მოგვახვიოთ ჩვენ ეს, რაც არასდ არ არსებობს. (გაბაშვილი: „tabula rasa“)-ს წესით. „რაო?“ თავმჯდომარე: ბატონო



წერეთელით, მოგიწოდებთ, ადგილიდან მოლაპარაკე ორატორებს ვასუხს  
 ნუ აძლევთ. და თქვენც გთხოვთ, ბატონებო, კვლავ დაიცვათ ეს წესი.  
 უმორჩილესად გთხოვთ.) ბატონებო, *tabula rasa*—არის ჩვენი საქართველო.  
 ერთ რასშეს კი გეტყვი, ბატონებო. საქართველოს რესპუბლიკა არ არის მართლ ქართველი ხალხის სახელმწიფო, ის არის სახელმწიფო ქართველ, და ყველა იმ ხალხის, რომელიც აქ, ჩვენ საზღვრებში სცხოვრობს. (ტაში) თუ თქვენ დამეთანხმებით,—წაუკითხეთ ნოტაცია ბატონ ვეშაველს, რომელმაც თუ დღეს არა, გუშინ მაინც სთქვა, რომ აქ უცხოელები სხედანო. მოვასხენებთ, რომ ჩვენი ქართველ ხალხის ინტერესი, ისე როგორც ეროვნულ უმცირესობის ინტერესი მოითხოვს, ისეთი რალაც ნაბიჯი გადავდგათ, რომ ერთმანეთს რომ მივმართოთ იმათ რამ გავვაგებინონ და ჩვენ ერთმანეთი გავივით.

აი, უდიდესი პრინციპი ამ საკითხისა ის არის, რომ ამ საკითხს ჩვენ პრაქტიკულ ნიადაგზედ ვაყენებთ. არავინ არ დაიწყებს დავას იმაზე, ქართველებს ისეთივე უფლება აქვს, როგორც სომხებს. მაგრამ ჩვენ ისეთი წესი უნდა შევიფიქროთ, რომ პრაქტიკულად განყენებულ პრინციპს არ შევწიროთ არც ჩვენი ხალხის ინტერესი, არც ეროვნულ უმცირესობის ინტერესი. შეიძლება რომ ვილაპარაკოთ, თუმცა პრინციპი დაცული იქნება, მაგრამ დალუპვა იქნება ჩვენი პარლამენტისა. ეროვნულ უმცირესობას უნდა ჰქონდეს ეს უფლება. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ისინი, ვისაც ამოირჩევენ, იმდენად შეგნებულნი იქნებიან, რომ არ იტყვიან, არვიცი ქართული ენაო, და აირჩევენ ქართულ ენას. მაგრამ როდესაც გვეუბნებიან, არ ვიცი ქართული ენა, და ვიცი მართლ ერთი ენა—ყველა თქვენთვის გასაგები, რომ გავიწინა დეთ და ვსთქვათ, არამც და არამც ამ ენაზე არ ილაპარაკოთ,—ვირჩიოთ, რომ იყოს შეიდი ენა, ეს პარლამენტი კი არ იქნება ეს იქნება ბაბილონის გოდოლი, და კიდევ უფრო უარესი. გაქრება პარლამენტი და დარჩება პრინციპი *periat mundus—fiat justitia*.

აი ამ ნიადაგზე, ბატონებო, არასოდეს არ ვდგარვართ ჩვენ, და არც დღეს დავდგებით. აი, სწორედ ჩვენ შემოგვაქს წინადადება, ხოლოდ ამ პრაქტიკულ მოსაზრებით ბატონებო, რომ ჩვენ ერთმანეთის გასაგონოთ, რომ ყოველივე აქ მიღებულ კანონს ავტორიტეტი ჰქონდეს, როგორც დადასტურებულს ყველა ხალხის წარმომადგენლის მიერ, როდესაც ჩვენ მერე შოვინისტები სხვა და სხვა ერებისა დაგვიწყებენ ლაპარაკს, რომ თქვენ მიიღეთ კანონი მართლ ქართველ ხალხის ინტერესების მიხედვით, ჩვენ ვეტყვი იმათ, ჩვენ ვცემთ კანონებს თანასწოების უფლების მიხედვით, ჩვენ ვაშენებთ საერთო სამშობლოს, საერთო სახელმწიფოს, და ეს კანონი ერთნაირად სავალდებულო უნდა იყოს, როგორც უმრავლესობისათვის, ისე უმცირესობისათვის, იმიტომ რომ თანასწორე უფლება მიღებულია. ეს უფრო ხელსაყრელად მიგვაჩნია ჩვენ საქართველოს რესპუბლიკისთვის, ვიდრე აქ შეიდი ენის გამოყება, და ყოველივე საშუალების კანონდებლობის მუშაობისთვის მოსაზობა.

და ის, ბატონებო, რომელნიც საბუთებს ადგენენ აქ, რომ უსათუოდ ერთი ენა უნდა იყოსო, საქმიანობის მიხედვით, ნუ დაივიწყებენ, რომ ერთი ენა პრაქტიკულად არ განხორციერდება, იმიტომ რომ იციან ჯერჯერობით ქართული ენა, და იმიტომ, თუ სხვა ენაზედ დაუშლით ლაპარაკს და იმით მოსაზობთ პარლამენტში საშუალებას საკანონდებლო მუშაობას, შეიძლება ენის მაგივრად, ზოგიერთ შემთხვევაში, ხო-



ლოდ ორ ენაზე გვიგონონ, — ისინი სწორედ საკუთარ ხელით დადგინდნენ ამ საქმეს, რომელსაც სიტყვიერად ემსახურებიან. და აი, ამ ნიდაგზე ვდგევართ ჩვენ. მე ვათავებ ჩემ სიტყვას. თუ ჩვენ დაგვირღებთ კანონის შეცვლა, ჩვენ არ გავიქირდება კანონ-პროექტის გაყვანა ამ პარლამენტში, იმ ხმებით, რა ხმებით ჩვენ შეგვიძლიან გაყვანა ჩვენი აზრისა რეგლამენტის წესით. მაგრამ აზრი ამ კანონისა, რომელიც წინათ შვილეთ, სწორედ ის არის, რომელიც იმას არ ეწინააღმდეგება. გოლოდ მოითხოვთ ამ რეგლამენტის წესს. და იმიტომ ჩვენ შემოგვაქვს ჩვენი წინადადება, როგორც რეგლამენტის მუხლი და ამიტომ უმრავლესობა წვენი ფრაქციისა ამას მისცემს ხმას. და ისიც ნუ დაგავიწყდებათ ბატონებო, რომ აქ ისმის საყვედურები, სოციალ-დემოკრატები შეუერთდებიან ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებს და მოიბოვებენ უმრავლესობას. (ხმა: „დროებითი უმრავლესობას.) ბატონებო, მე მოგთხოვთ ასეთ შემთხვევაში, უბრალო სინდისიერ მსჯელობას. მე თქვენ გეკითხებით, ჩვენ ფრაქციას რომ არ შემოუერთდნენ ერების უმცირესობის წარმომადგენელი, დაერჩეთ მარტო სოციალ-დემოკრატები, უმრავლესობა ვისი იქნება? (ხმა ს. დ. მხრიდან: „ჩვენი“) და არა მარტო პარლამენტში — ხალხში. (ხმა: „საქევა“) საქეო არის თუ არა, ყოველ შემთხვევაში, გავშინჯეთ მრავალ ჯერ, ერობის არჩევნების დროს, და (ხმები: „ბოიკოტი გლეხებისა, ზარბაზნებით“) და თუ თქვენ, ბატონებო, იმასაც უარყოფთ, ნუ დაივიწყებთ, რომ გარდა ამ გზისა ქართველ ხალხს დარჩენია მხოლოდ ერთი გზა, ფიზიკური საშუალება ყოველ საქმის გადაჭრაში. ესე ჰქმნეს ბოლშევიკებმა, რომლითაც საყოველთაო კენჭის ყრა უარყვეს. თქვენ ბრძანებთ — ხმა მოგცათ ხალხმა, მაგრამ ყალბი წარმომადგენელი ხართო, ხალხის წარმომადგენლებლად არა გთვლითო. თუ ჩვენ არა გვაქვს უმრავლესობა, მაშინ თქვენ გაქვთ ბატონო ვეშაპელო, ან ბატონო გაბაშვილო, ან თქვენ გაქვთ ბატონო ახმეტელო? არა, ბატონებო! არც თქვენ, და არც თქვენ. ეს უნდა ბოლომდისინ გავარკვიო მე, იმიტომ რომ აი ამ საკითხში იბადება ის ტაქტიკა, რომელიც ჩვენ ხალხს ისეთივე პროვოკაციას უშვრება, რომელსაც შავ-რაზმელები რუსეთში პროვოკაციას უშვრებიან, (ტაში).

ბატონებო, ჩვენი ხალხი ამ სახელმწიფოს აღმშენების დროს უდიდეს სამოქალაქო შეგნებას იჩენს. ფიზიკურ ძალაზე რომ მიდგეს, ნატამალიც არ შერჩება იმ შავრაზმელებისაგან, რომლებიც ამ სკამებზე ბრძანდებიან. (ხმა: „სცადეთ“). დიახ, მაგრამ ჩვენმა ხალხმა, ყოფილ რუსეთის იმპერიის ერთ ერთმა ნაწილმა, ერთად ერთმა ნაწილმა, განიცხადა — თუ მე ფიზიკური ძალა ხელში მაქვს, სახელმწიფოს აღმშენობლობაში, აღდგენაში, მე ეს ძალა მარტოდ მარტო დარჩენილი სახელმწიფოს აღმშენებლობაში არ გამომადგება. მე მინდა ავაშენო სახელმწიფო ისე, როგორც ხალხის უმრავლესობას უნდა. ჩვენ თანასწორი უფლება უნდა მივსცეთ ყველა მოქალაქეს, რა პარტიასაც უნდა ეკუთვნოდეს ის.

მიბრძანდით შავ-რაზმელებო, მიბრძანდით თავად-აზნაურნო საყოველთაო არჩევნებისაკენ! და თუ თქვენ შიილებთ უმრავლესობას, ეს სახელმწიფო თქვენი იქნება. მაგრამ თუ ჩვენ მივიღეთ უმრავლესობა — დაემორჩილეთ ამას, დანებდით თავი იმგვარ პროვოკაციას, რომელმაც უზარმაზარი სახელმწიფო დაიღუპა. (შემარჯვენე მხრიდან: „თქვენის წყა-




ლობით“). ვისი წყალობით დაიღუბა ამას მომავალი იტყვის. მე გვიან-  
ხებით თქვენ, როდესაც თქვენ ხალხი იმას გიმტკიცებთ... (ვეზაველი:  
„პულემიოტები“). თუ თქვენ დაამტკიცებთ, რომ ის ხმები, რომელიც  
სოციალ-დემოკრატიაში მიიღო, მიიღო პულემიოტების საშუალებით, —  
მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ეს პულემიოტები ჩვენ წინააღმდეგ დატ-  
რილდებოდნენ. (ვეზაველი: „მაღე დატრილდებიან“) თუ თქვენ გასურთ,  
რომ ხმის უმრავლესობით კი არ გადასწყდეს საკითხი, გადასწყდეს აი,  
ამ პულემიოტების საშუალებით, მაშინ... (ხმა: „თქვენ ხართ შეჩვეული  
სამოქალაქო ომს“). თავმჯდომარე. მე ერთხელ და სამუდამოდ ვკრძალავ  
ლაპარაკს ადგილიდან. ბაას ადგილიდან ალავი არ უნდა ჰქონდეს. და  
ორატორსაც ვთხოვ ნუ გასცემს პასუხს. წინააღმდეგ შემთხვევაში მე  
იძულებული ვიქნები ვისარგებლო იმ უფლებით, რომელსაც მაძლევს  
რეგლამენტი.

მე უნდა ვიზოღიშო, და მოვახსენო ბატონ თავმჯდომარეს: ზედმა  
საუბედუროდ, მარჯუნა, რომ უფრო კულტურულ მოწინააღმდეგესთან  
შქონოდა საქმე სხვა პარლამენტში, და იქ რეპლიკანტები ისეთი იყუ-  
ნენ, რომ პასუხს მოიფხოვდნენ. მაგრამ მართლა მოვახსენოთ აქ რეპ-  
ლიკანტები ისეთი არიან, რომ მათთვის პასუხის მიცემა არ იქნება. აქ  
ისეთი რეპლიკანტები არიან, რომ მუდამ ამბობენ: „стриженный,  
бритый, сриженный, бритый!“ სანამ არ ჩაიხრბობიან. აი, სწორედ  
საქმე ამისთანა რეპლიკანტებთან მაქვს, და მე იმათ პასუხ არ გავცემ.  
მე მხოლოდ ერთი რამ მსურს ვსთქვა: ჩვენ სოციალისტებს აქვთ უმრავ-  
ლესობა ჩვენ ხალხში. რა ისე დადგეს საკითხი, როგორც ხალხის უმრავლეს-  
ობას სურს. მაგრამ ჩვენ უმჯობესად მიგვაჩნია, რომ ჩვენთან ერთად  
იყვნენ თუნდაც უმცირესობის წარმომადგენლებიც, ჩვენთან ერთად  
იყვნენ სხვა დემოკრატიული პარტიებიც, იმიტომ რომ, არც ერთი წყე-  
თი ხალხის ძალისა, ხალხის ავტორიტეტისა არ გასურს დეკარგოთ, ამ  
დიდ სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში, რომელიც ჩვენ წინ გვი-  
დევს. როდესაც ეს სექტორი დემოკრატიისა ჩვენთან ერთად მიდის,  
ჩვენ ვიცით, რომ მათი ძალა ემატება ჩვენ ძალას, და უფრო მკვიდრ  
საფუძველს ჩაუყრის ჩვენ სამშობლოს. და როდესაც ეს უმცირესობა  
ჩვენთან ერთად მიდის, და ამ დადგენილებას ადასტურებს, რადგანაც  
ხალხის მხედველობას გამოხატავს, რასაკვირველია, ეს სინანულად კი  
არა, დღესასწაულად მიგვაჩნია. ჩვენ ფალიარებთ: ვინც ვასამაგრებლად  
მოეზბრობა მშვენიერ ქართველ ხალხს, მის პატარა რესპუბლიკის გამაგ-  
რებაში, და დაგვირგვინებაში—სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მიერ  
მიღებული იქნება, როგორც მოკავშირე და თანამებრძოლი. (მხურ-  
ვალე ტაში მემარცხენე ფრთიდან).

**თავმჯდომარე,** წინადადება გახლავთ შემოტანილი—მოისპოს კა-  
მათი. (ხმაურობა).

**გ. მაჩაბელი.** (ნ.-დ.) როდესაც ჩვენ გვიკვირებდნენ, რომ რიგია-  
ნად არ ვიქცევით პარლამენტში.—ეს ხდება ხოლმე მაშინ, როდესაც  
ჩვენ შემდეგ ლაპარაკობს ბ. ირაკლი წერეთელი. მის შემდეგ ჩვეულებ-  
რივ კამათი შესწყდება ხოლმე და ჩვენ ვსარგებლობთ, რომ, რეპლიკი-  
პით მაინც, ჩვენი აზრი გამოეთქვათ. ეს ჩვეულება არის.

მეორე ჩვეულება, რომელიც შემოღებულია, რომ გააბათილოთ  
ის, რასაც ეს სექტორი წარმოადგენს, ე. ი. ისე გააბათილონ ამ სექ-



ტორის ნათქვამი, რომ სიტყვაც კი ქვეყანას არ შეატყობინონ. — არის ოფიციალური სააგენტო, რომლის ვალია მგონი, რომ ყოველივე აღნიშნულ შნოს ისე, რაც ხდება პარლამენტში. და თქვენ რომ წაიკითხოთ გაზეთები, ნახავთ იქ, აქრელებულია ბ. ირ. წერეთლის სიტყვა, და იმის მოპასუხების კი, — კუდ მოწყვეტილია. ბ. ირ. წერეთელი ისეთი დიდი ორატორი ბრძანდება, რომ, მე მგონია, მას სხვა მოსარჩლეები არ ესაქირობიან, ვარდა თავისი ნიჭისა. მაგრამ, როგორც სწავს, ყოველივე ღონეს ხმარობენ, რომ ირ. წერეთელი პრივილეგიით აღჭურვონ, თუმცა პრივილეგიის წინააღმდეგი არიან. მაგრამ, ეხლა ახალი ბატონობა დაიწყო. მე ვფიქრობ, რომ, სამართლიანობისთვის საჭირო არის, რომ ყველას ერთი და იგივე უფლება ჰქონდეს, რომ არ შემოიტანოს უმრავლესობამ წინადადება, სწორედ მაშინ, როდესაც ბ. ირ. წერეთელი კათედრაზე არის, რომ იმის შემდეგ მოისპოს კამათი. თუ არა და, იძულებული ვიქნებით უფრო მეტ რეპლიკებით შეგაწუხოთ.

**თავმჯდომარე:** პარლამენტის წევრი არსენიძე წინადადების შესახებ?

**რ. არსენიძე:** წინადადების შესახებ. მე ბოდიშს ვიხდი, მაგრამ აქ წინადადება ასეთი გაგებული, როგორც არ შეიძლება გაიგონ არც რეგლამენტით, არც წესით. ალბათ იმ ფრთხილად, რომელიც რეპლიკებს ისვრის, — არ იცის რეგლამენტის წესი. რეგლამენტი სწორედ იცავს უმცირესობის უფლებას, ისე იგი იქ სწერია: თუ 15 კაცი მოწინააღმდეგეა, ესე იგი უმრავლესობა კი არა, — უმცირესობა, თუ 15 კაცი არ აღმოჩნდა მომხრე კამათის შეწყვეტის, — ყოვლად შეუძლებელია, რომ კამათი შესწყდეს. როესაც 15 კაცზე ნაკლებია მომხრე კამათის გაგრძელებაზე, მე მგონია, ამ შემთხვევაში, არავის უფლების შეზღუდვა არ ექნება. ეს იქნება მხოლოდ, ობსტრუქციონისტების შეზღუდვა და ეს აი არავის არ აფნებს პარლამენტის მუშაობაში. (ხმაურობა).

ეხლა ვთქვით, არსებითათ, რა მოხდა. მე ვიცი, რომ ილაპარაკეს ყველა ფრაქციის ორატორებმა, ზოგმა ერთხელ, ზოგმა ორჯელ. ჩვენ ფრაქციიდან ილაპარაკა ერთმა. მართალია, შეიძლება, რომ სხვაზე უკეთესად ილაპარაკა, მაგრამ ეს იმის საბუთი არ არის. რომ კამათი გაფარძელოთ, ეს არის საბუთი იმისი, რომ კამათი შეწყვეტიტოთ.

**თავმჯდომარე:** გთხოვთ ასწიოთ ხელი — ვინ არის მომხრე კამათის შეწყვეტისა. (ქვესტორს) გთხოვთ დაითვალოთ. ვინ არის წინააღმდეგი? (ქვესტორს) გთხოვთ დაითვალოთ. კამათის შეწყვეტის მომხრე არის 49, წინააღმდეგი 28. (ვეშაპელი: რეგლამენტის დარღვევის გამო. ხმა: 15 კაცზე მეტია... რეგლამენტის წესით...) მოითმინეთ ბატონებო. რა არის „რეგლამენტი“ ვერ გამიგია. წინადადება ვახლავთ, კამათი შესწყდეს. ხმის უმრავლესობით გადაწყვეტილია, რომ კამათი შესწყდეს. (ხმა: 15 კაცი თხოულობს, რომ კამათი გაგრძელდეს). კამათი შეწყვეტილია. ეს გადაწყვეტილია. მე ვეძებმდებარები. ეხლა თუ გნებავთ, რეგლამენტი ძალით ისარგებლოთ, რეგლამენტის დარღვევის გამო, ინებეთ სიტყვა. (ვეშაპელი: ამის შესახებ?) დიახ, რეგლამენტის დარღვევის შესახებ.

**ვაბაშვილი:** არა, 15 კაცის შესახებ.

**თავმჯდომარე.** ინებეთ.

**რევაზ ვაბაშვილი.** (დ. ნ. დ.) ბატონებო! რეგლამენტის ძალით, თუ 15 კაცი მომხრე არის, რომ კამათი გაგრძელდეს, კამათი უნდა გაგრძელდეს. როდესაც 15 კაცი კი არა, — 28 კაცი არის მომხრე კა-



შათის გაგრძელებისა, მე მგონია, რომ რეგლამენტი დარღვეული იქნება... (ვეშაპელი. თუ კამათი შეეწყვიტეთ. რეგლამენტის დარღვევის გამო).

**თავმჯდომარე.** უკაცრავად.

**გრიგ. ვეშაპელი.** (დ. ერ. დემ.) რეგლამენტის 106 მუხლი ამბობს: (კითხულობს).

მომხსენებლის სიტყვის შემდეგ იწყება კამათი. წინადადებანი ორატორთა სიის დახურვის, სიტყვის დროს განსაზღვრის, კამათის სრული ან ნაწილობრივი შეწყვეტისთვის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ კამათის დაწყების შემდეგ. აღნიშნულ წინადადებათა გამო სიტყვა ეძლევა: ერთს მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს—თითოს არა უმეტეს ხუთის წუთისა.

მუხლი 111 ამბობს, რომ 107 მუხლში აღნიშნული წინადადებანი უარყოფილად ჩაითვლება, თუ მათ წინამდებე 15 ან მეტმა წევრმა მისცა ხმა. ე. ი. ეს საკითხი ავტომატიურად სწყდება. (ხმაურობა)

**თავმჯდომარე:** უმორჩილესად ვთხოვთ დაცვათ სიწყნარე, აქ განცხადება არის იმის შესახებ რომ 15 კაცი არის მომხრე, რომ კამათი გაგრძელდეს. მე მივცემ იმ ორატორს სიტყვას, რომელიც ჩაწერილი არის. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ვაგლოვისს.

**ვაგლოვი** (ს. დემ.) ბატონებო! აქ საკითხი უნდა ყოფილიყო დაყენებული სრულიათ უბრალოთ, პრაქტიკულათ და არა პრინციპიალურათ, როგორც დაყენებეს აქ ეროვნულ დემოკრატებმა. პრინციპიალურათ ეს საკითხი უკვე იყო გაშინჯული. ამ საკითხის შესახებ ბევრი ილაპარაკეთ ჯერ ერთი მაშინ, როცა იყო ლაპარაკი ქვეშევრდომობის შესახებ, შემდეგ, როცა საერთო ლაპარაკი იყო იმაზე, თუ რა ენაზე უნდა ილაპარაკონ პარლამენტში. აი სწორეთ მაშინ ყველამ გამოსთქვა თავისი შეხედულება.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თავის მსჯელობის დროს განაცხადა, რომ ის მომხრე იყო სამშობლო ენისა, რომ სახელმწიფო ენათ უნდა იყოს უბირველესათ ყოვლისა ქართული ენა. მხოლოდ, რაც შეეხება უმცირესობის წარმომადგენელობას, მათ უნდა ჰქონდეთ უფლება სიტყვა წარმოსთქვან თავის სამშობლო ენაზედ. ეს კანონი იქმნა მიღებული პარლამენტის მიერ, შემდეგ ამისა უნდა ილაპარაკონთ. როგორ ისარგებლოთ აი, სწორედ ამ კანონით და თუ ვლაპარაკობ ამ კანონით, როგორ უნდა ისარგებლონ, ეს უნდა დაისვას პრაქტიკულათ და არა პრინციპიალურათ.

როგორც მოგახსენეთ, თქვენ საბუთათ მოიყვანეთ არგუმენტი, რომ საჭირო არის ისეთი ენა, რომელიც გასაგები იქნება, ამ ერთა უმცირესობისათვისო.—როცა ესე დაისვა საკითხი, მაშინ ამ საბუთების ძებნა დაიწყო. მაგრამ ერთი საბუთი კი ვერ მოიყვანეს. როცა ჩვენმა ამხანაგმა წერეთელმა პირდაპირ სთქვა, რომ აი, სწორეთ, როცა შეიძენაზე ილაპარაკებენ ეს უმცირესობის წარმომადგენლები, მაშინ პარლამენტი ბაბილონის ვოდოლათ გახდებოა—მაშინ დაირღვევა ის საქმიანობა, რომელზედაც ძალიან ხშირათ და ბევრს ლაპარაკობთ, მაშინ ვერაფერ ვერ გაიგებსო, თუ რის თქმა უნდა ამ წერილი ერების წარმომადგენლებს და ამის თავიდან ასაცილებლათ დაიწყებენ ლაპარაკს იმაზედ, რომ ის ენა უნდა იხმარონ ამ ერების წარმომადგენელებმა, რომელიც გასაგები იქნება ყველასთვის. მაშასადამე, ეს შეორე უნ-



და იყოს ენა წვრილი ერების წარმომადგენელებისა და ეს უნდა იყოს, როგორც საშუალება, რომელიც მოგვცემს ჩვენ საშუალებას, რომ მათი აზრი გავიგოთ. ვინც წინააღმდეგ გამოდის ამისა, ამ პრაქტიკულ ზომებისა, ამ პრაქტიკულ საშუალებისა, სწორედ ის გამოდის წინააღმდეგ იმ დემოკრატიისა, რომლის წარმომადგენელთა არიან ეს წარმომადგენელები, რომელსაც აი ამ წარმომადგენელებმა ნაკაზი მისცეს. თავის ამომრჩეველმა, დემოკრატებმა დაავალა მას, რომ გაავებინოს პარლამენტის მოსაზრებანი, რომელიც უნდა წამოაყენოს, მაგრამ მას არა აქვს საშუალება თქვენ მოგმართოთ და რაიმე გაავებინოთ. მაშასადამე თქვენ მიდიხართ მის წინააღმდეგ, არა იმ ინტელიგენტების წინააღმდეგ, რომლებსაც თქვენ ეძახით გადაგვარებულებს, არამედ თქვენ მიდიხართ იმ დემოკრატიის წინააღმდეგ, რომლებსაც თქვენ ეძახით გადაგვარებულებს, არამედ თქვენ მიდიხართ იმ დემოკრატიის წინააღმდეგ, რომელსაც უნდა, რომ გაავებინოს პარლამენტს თავისი მოთხოვნებიანი, ამ პარლამენტის წევრებისათვის ვასაგებ ენაზე.

ტყუილათ მოიყვანა სოციალ-რევოლიუციონერმა გობეჩიამ ის მოსაზრება, რომ ეს ტრიბუნა არის დემოკრატიის ტრიბუნა და სწორედ აი, აქედან, ამ ტრიბუნიდან. ჩვენ ვიცავთ დემოკრატიის ინტერესებს. მას დაავიწყდა, რომ სწორედ ამ კანონს ხმა არ მისცეს დემოკრატიის საუკეთესო წარმომადგენლებმა, — არც ერთი ხმა არ მისცა აი, ამ სოციალ დემოკრატიის ფრაქციამ, რომელსაც შეუძლიან, რომ სთქვას, რომ ჩვენ ვართ დემოკრატიის წარმომადგენელები. მაშასადამე, თუ ლოლიკურათ დავადექით იმ აზრს, რომელიც სთქვა გობეჩიამ, რომ ეს ტრიბუნა გადაიქცა არა მარტო დემოკრატიის ტრიბუნათ, არამედ იმ წარმომადგენელთა ტრიბუნათ, რომელიც დემოკრატიის წინააღმდეგ მიდიან, — დაპარაკი იმაზე, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია წინააღმდეგი იყო იმ კანონისა, რომელიც ამან მიიღო, აი ეხლა, ამ ციხარაკის დროს, — ეს ტყუილია, იმიტომ, რომ არც ერთს წარმომადგენელს არ უთქვამს, რომ სახელმწიფო ენათ არ ითვლებოდეს ქართული ენა. მთელი ის სიბრაზე, რომელიც გამოიჩინეს აქ, ხატავს იმ წუხილს, რომელიც ქართველმა ერმა განიცადა ასი წლის განმავლობაში. მართლა ვასაგებია ფსიხოლოგიურათ, რომ მათ სძულთ არა მარტო ძველი რუსეთი, არამედ ის კულტურა, ის ენა, რომლითაც ვსარგებლობდით ყველანი ჩვენ. ეს არის დევნა ამ კულტურისა და არა მარტო დევნა ძველი რუსეთისა; ყველა ეს დევნა რუსულ კულტურისა არის შოკინისტობა, ეს არის უკიდურესი ნაციონალიზმი. დამახასიათებელია სწორედ ის, რომ ყველა ეს ხდება მაშინ, როცა სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია სწორედ იმ პოზიციაზე, ინტერნაციონალის პოზიციაზე დადგა პრაქტიკულად, რომელზედაც იდგა მუდამ. მაგრამ ის სოციალისტურა ფრაქციები; სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლიუციონერები და ალიონისტების მიმართულება, ყველა ეს ფრაქციები გამოდიან დამცველად ერთი კლასისა, დამცველად წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებისა. (სიცილი). სწორედ ამ ტრიბუნიდან გამოიჩინეს ეს ლტოლვილებმა, ამ ტრიბუნიდან დაგვიმტკიცეს, მაშასადამე, რომ ყოფილა ისეთი კითხვები, ისეთი წმინდა დემოკრატიული პრინციპები, რომლის წინააღმდეგ ილაშქრებენ არა მარტო ნაციონალისტები, უკიდურესი მემარჯვენები, არამედ ისეთი სოციალისტები როგორც არიან ალიონისტები და სხვები.



ლაპარაკი იმაზედ თუ რის დამკველად გამოდიან ვეშაპელი და მთელი მისი მიმართულება ზედმეტია. მხოლოდ მოვიგონოთ რომ მთელი გამოსვლა ამ ენის შესახებ ამ შემარჯვენე სექტორისა იყო მიმართული წვრილი ერების წინააღმდეგ. ჯერ, როცა ქვეშერდომობის საკითხზე იყო ლაპარაკი, მაშინ გადაჭრით ამბობდნენ, რომ ყოველად შეუძლებელია რომ ჩვენ მივცეთ ისეთი უფლებები, როგორც ჩვენ გვაქვს ამ წვრილ წარმომადგენლებს. (ხმაურობა) დიახ თქვენ ვითქვამთ ესა ბ. რეზო, თქვენ სთქვით, რომ ის ოსები, რომელნიც მოვიდნენ საქართველოში და დასახლდნენ— ისინი მოსულნი არიან და უნდა აყვაროთ. თქვენ იძახით რომა საქართველო ისე ვქვამთ, როგორც სწამდათ რუსებსო, როგორც რუსები იძახდნენ— რუსეთი— რუსეთისთვის, თქვენც ისე იძახით— „საქართველო მარტო ქართველებისათვის“. მაგრამ თქვენ არ გაგივათ ეს.

როდესაც ამ კანონის შესახებ, ენის შესახებ ლაპარაკობდით, ჩვენ მოვისმინეთ მაშინ თქვენი საბუთები. ჯერ ქვეშერდომობის კანონი არ გვაქვს მიღებული და ამაზე ლაპარაკი ზედმეტიაო. თქვენ ყოველწინაირად ცდილობთ, რომ ამ ერების წარმომადგენელნი არ ყოფილიყვნენ პარლამენტში, მაგრამ არც ეს გაგივიდათ, მოვიდნენ წვრილი ერების წარმომადგენლები. ახლა ცდილობთ, რომ წვრილ ერების წარმომადგენლებს არა ჰქონდეთ უფლება ილაპარაკონ იმ ენაზე, რომელიც გასაგებია ყველასთვის. შე თქვენ გეკითხებით რა არის ეს? მარტო ქართული დემოკრატიის ინტერესების დაცვა თუ პოლიტიკა ამ დემოკრატიის და ამ რესპუბლიკის წინააღმდეგი. მცირე გამოცდილებამ გვაჩვენა ჩვენ, რომ სწორედ ეს პოლიტიკა შოვინისტური პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს შემარჯვენე ფრთა, ისეთ უფსკრულს შექმნის ქართული ერის და ყველა ერის შორის, რომ არავითარი სოლიდარობა, არავითარი საქმიანობა არ იქნება მათ შორის ქართველი რესპუბლიკის აშენების დროს, ამიტომ საქმიანობა მოითხოვს, რომ გავამაგროთ სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკა ინტერნაციონალისა, რომელიც ხელს უწყობს ამ ერთა სოლიდარობას, და ხელს უწყობს არა მარტო იმ დემოკრატიის შორის, სადაც ეს სოლიდარობა მკიდრად არსებობს, არამედ იმ დემოკრატიის შორის, სადაც ენის შესახებ ლაპარაკიც კი არ არის. იქ ყველა ლაპარაკობს იმ ენაზე, რომელიც უფრო ეხერხება ყველას; საქართველოს საზღვრებში როცა შეიკრიბებიან სხვა და სხვა ერების მუშები უფრო ხშირად თავის აზრს გამოთქვამენ რუსულ ენაზედ.— აქ დემოკრატიის სოლიდარობა არსებობს, ინტერნაციონალი არსებობს. მაგრამ ამ ტრიბუნაზე არამც თუ სოლიდარობა არ სჩანს, ინტერნაციონალი არ სჩანს, პირიქით ყოველწინაირად სცდილობს პარლამენტისა შემარჯვენე სექტორი რომ ეს სოლიდარობა არ იყოს პარლამენტში. ამიტომ სოციალ-დემოკრატია, როცა ამ საკითხს სვამდა, რომა რეგლამენტით უნდა განსაზღვროს ის, თუ როგორც ვისარგებლოთ ამ უფლებით, როგორ ისარგებლონ ამ უფლებით ყველა იმ წვრილ ერთა წარმომადგენლებმა, რომელნიც ამ პარლამენტში იქნებიანო, მას არ ჰქონდა დაფიწყებული, რომ მართლა შეიძენა ლაპარაკი ამ ტრიბუნაზე შეუძლებელია. ჩვენ პრინციპიალურად მართლა მომხრენი ვართ ერთი ენისა, სახელმწიფოებრივი ენისა, მაგრამ პრაქტიკულად მისი განხორციელება ყოველად შეუძლებელია აქ.

ამიტომ რეგლამენტს უნდა ეჩვენებინა პარლამენტისთვის ის, რომ

საქირო იყო იმ ენის ხმარება, რომელიც ესმის არა მარტო ერთა უმცირესობას, არამედ თქვენც. (ხმა: რა გეშველებათ, რომ რუსული ენა არ გქონდეთ, პრინციპებს უღალატებდით“). ამ შემთხვევაში ჩვენ პრინციპებს არ ვღალატობთ. ჩვენ, რომ გვემტკიცებინა, რომ სახელმწიფო ენა არ უნდა იყოს,—მაშინ შეგეძლოთ გეთქვათ რომ პრინციპებს ვღალატობთ. ჩვენ მხოლოდ საშუალებას ვაძლევთ ილაპარაკონ იმ ენაზე, რომელიც ყველასთვის გასაგებია. გინდა კანონით შეიტანეთ გინდ რეგლამენტით განსაზღვრეთ; აუცილებლობა მოითხოვს, პრაქტიკული მოსაზრება მოითხოვს, რომ პარლამენტში არსებობდეს ისეთი ენა, რომელიც ყველასთვის გასაგებია, რათა ვიცოდეთ რას ფიქრობს, როგორ აზროვნებს, რა მდგომარეობაში არიან ის ერები რომელთა წარმომადგენლები აქ იქნებიან, და ასეთ პრაქტიკულ მოსაზრებით გამოვიდვართ ჩვენ ამ საკითხის გადაწყვეტაში.

**თავმჯდომარე.** რადგანაც ვადა გადასულია წინადადება არის, რომ სხდომა შეწყვეტოთ ესლა.

**ირაკლი წერეთელი.** (ს. დ.). მე ვფიქრობ, ბატონებო, რომ ყოველად შეუძლებელია ამ სხდომის შეწყვეტა. რაიმე გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. თუ მოინდომებს 15 კაცი ლამემდის, შუა ლამემდის უნდა განვავარძოთ კრება და რაიმე გადაწყვეტილება კი უნდა მივიღოთ. ან ის უნდა უთხრათ იმ ეროვნულ უცირვლობის წარმომადგენლებს, ან ეს. თორემ მესამე საათია, მუნჯივით სხედან იმ ერობის უმცირესობის წარმომადგენლნი, იქნება რაიმე აქვთ სათქმელი, და მათ გზა უნდა გაუხსნათ.

საზოგადოდ ჩვენი საქმიანობა ძალიან შეფერხებულია, ნამეტანი დიდი დებატებითა. მე მგონია საქმარისია ერთი-ორი ორატორის გამოსვლა. არც ისეთი რთული საკითხია. თითქმის ყველა ფრაქციამ გამოსთქვა თავის აზრი და გამეორება ზედმეტია. ყოველ შემთხვევაში თუ კმათი არ შესწყდა ჩვენი ფრაქცია წინააღმდეგია, რომ დღეს სხდომა შესწყდეს, სანამ არ გამოვიტანთ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას.

**გ. ვეშაპელი** (დ. ერ. დ.) ბატონებო! როდესაც 15 კაცი მოინახა, და აიძულა უმრავლესობა კმათი გაგრძელებულიყო, აქედან ცხადია, რა ფორმაში ისხმება ის ბრძოლა, რომელიც სწარმოებს ენის გარშემო. და თუ სოციალ-დემოკრატისა გადაწყვეტილი აქვს, რომ ქართული პარლამენტი უკუღმართ ავსტრიის პარლამენტად გადააქციოს, იმ განსხვავებით, რომ ორი სახელმწიფოებრივი ენა უნდა გვექონდეს,—და სოციალ-დემოკრატული ფრაქცია ერთი კვირის შემდეგ პრეცედენტებს ქმნის სახელმწიფოს ძირითადი კანონების დარღვევისას,—მაშინ, მართლაც რომ, ყველა ის შედეგები, რომელიც სდევს აი ამ ასეთ მოქმედებას, ყველა ამ შედეგებს ნახავს პარლამენტი, და თუ საქირო იქნება, მე მგონია,—ავსტრიის პარლამენტისასაც. (ხმაურობა) ჩვენ მოვძებნით სხვა საშუალებას ავსტრიის პარლამენტისას, რომელიც გვაიძულებს... (ხმაურობა).

**ირ. წერეთელი.** (აღვილიდან) აბსტრუქცია?! აბსტრუქციონისტებს გარედ გავავლებთ!

**გ. ვეშაპელი:** წითელი გვარდია მოიყვანეთ!



აღ. ასათიანი (ნ. დ) ბატონებო პარლამენტის წევრო! როდესაც მ. ირაკლი წერეთელმა გამოაცხადა, რომ რუსეთის სათათბიროში, რომ მას ჰქონოდა უფლება ქართულ ენაზედ ლაპარაკისა, ის ამ უფლებით არ ისარგებლებდა, ვინაიდან კანონმდებლობითი მუშაობა ამას მოითხოვს, — ეს ჩემთვის საესებით გასაგები არის, მაგრამ მე მივიჩნის, რომ საქართველოს პარლამენტში ის სულ საწინააღმდეგო პოზიციას აღგება. და როდესაც აქ, შესაძლებელია, მოვლენ ისეთი პირნი, რომელთაც ქართული ენა იციან, შესაძლებელია, და ჩვენ ყოველ შემთხვევაში არ ვიცით, იციან მათ თუ არა, ამის ვის ჩვენ მოვითხოვთ, სახელმწიფო ენის გარეშე, კიდე მეორე ენას. სახელმწიფოებრივი ინტერესი, და არა მარტო ჩვენი სახელმწიფოსი, არა სეპარატიული ამ საკანონმდებლო დაწესებულების ინტერესი მოითხოვს, რომ აქ ყოველგვარი საქმე და კამათი სწარმოებდეს ერთ სახელმწიფოებრივ, ქართულ ენაზე. ჩვენ ეს ვადავლახებთ მაშინ, როდესაც სახელმწიფოებრივ ენის კანონით, ჩვენ უმცირესობის ენებს მივანიჭებთ უფლება. და ეს, ჩემის აზრით, სრულიად არ ჩაითვლება უმცირესობის უფლებების განხორციელებად. არამედ, ჩემის რწმენით, მომასწავებელია ამისა, რომ ჩვენი საკანონმდებლო დაწესებულება აწარმოებს ძველ, მერყევ, გაუბედავ პოლიტიკას. ამ შემთხვევაში, ამ უფლებით ვერ ისარგებლებენ იმ უმცირესობის წარმომადგენელნი, თუ მათ სურთ ეს კანონმდებლობის მუშაობა, რომლისთვის მოწვეულნი არიან. და თუ ისარგებლებენ, — უსათუოდ შეაფერხებენ საერთო საკანონმდებლო მუშაობას.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მის შემდეგ, როცა ყველა ჩვენი, არა მარტო ქართველებისა, არამედ ჩვენ ტერიტორიაზედ მცხოვრებ სომხების და სხვა უმცირესობის წარმომადგენელნი გავხდით ერთ სახელმწიფოს წევრნი, ამის შემდეგ საერთო ჩვენი დამოკიდებულება, არა მარტო ქართველებისა, არამედ სომხებისაც, უნდა გამოიცვალოს ურთიერთ შორის. მე მწამს, რომ ეს უმცირესობის წარმომადგენლები აქ მოსულნი არიან იმავე მიზნით, იმავე აზრით, როგორც ქართველი წარმომომადგენლები. მე მწამს, რომ მათ სურთ საკანონმდებლო, ორგანიზული საპარლამენტო მუშაობა, და არ მოსულან იმისთვის, რომ ეს მუშაობა შეაფერხონ, თუნდაც იმ ფიქტიურ უფლების განსახორციელებლად, რომელიც ჩვენ მივანიჭებთ მღლებულ კანონით. და თუ ეს ესეა, მე ვფიქრობ, რომ ის ცხარი კამათი დღეს, როდესაც ჩვენ ამ კანონს ვიღებთ იმის მომასწავებელია, რომ ჩვენ ვაზვიადებული წარმომადგენა გვაქვს იმ საკითხზე, რომელსაც ჩვენ ვწყვეტთ. ჩვენ ისეთივე ძველ ფსიქოლოგიურ ურთიერთობაში გვეგონა ჩვენი თავი, როდესაც საქართველოს დედა ქალაქზე ზოგიერთი ფიქრობდა, რომ ის არის საქართველოსი, ზოგი—სომხეთისა, და ზოგი—რუსეთისა. ჩვენ 26 მაისიდან ყველანი ერთ სახელმწიფოს წევრნი ვართ. ერთნაირ უფლებით აღჭურვილნი. და როდესაც ამ სახელმწიფოს აღმშენებლობითი ინტერესი მოითხოვს ერთ ენაზედ ლაპარაკს, იმისთვის რომ უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებაში მუშაობა არ შეფერხდეს, და არ შეჩერდეს, როდესაც ერთ ენის, სახელმწიფოებრივ ენის ხმარება საესებით შესაძლებელია განხორციელდეს, — მე არ ვიცი, რა მოსაზრებით შეიძლება დავიცვათ ის მუხლი, რომელიც ანიჭებს უფლებას დედა ენაზე ლაპარაკისას. მაგრამ საჭირო იყო ამის დათმობა, თუმცა არაფერი არ შევამჩნიებთ ამ ეროვნულ უმცირესობის წევრებს, ამ შემთხვევაში, ვინაიდან ჩემის აზრით, ფაქტიუ-



რად ისინი თავისუფლებით ვერ ისარგებლებენ. და, თუ აღმოჩნდა ვინ-  
მე, ვინც მოისურვებს ამ საკანონდებლო მუშაობის შეფერხებას, ჩემის  
აზრით ის წრეები, რომელთაც ისინი აქ გამოგზავნეს, მიიღებენ შესა-  
ფერ ზომებს, რომ მათ ეს საშუალება მოუსპონ.

ჩვენ ასეთი შემცდარი ნაბიჯი გადავდგით, და ამ შემთხვევაში  
არავითარი მიზანი, არავითარი აზრი არ იყო ისეთი გადადგმისთვის,  
რომელიც მოინდომა აქ, სარეგლამენტო წესით ერთმა ნაწილმა. აქ  
ნათლად იყო გამოთქმული და დამტკიცებული, რომ სარეგლამენტო  
კომისიის უმცირესობის აზრი არსებითად ვწინააღმდეგება ჩვენ მიერ  
მიტებული. ორგანიულ კანონს, როდესაც ამის შესახებ, მოხსენების  
შემდეგ ტრიბუნაზე გამოვიდა პარლამენტის წევრი არსენიძე, მე ვთქვი  
რომ ის ჩვეულებისამებრ მიუთითებს იმ სარეგლამენტო კომისიის შეც-  
დომაზე, რომელიც მან ჩაიდინა, და გადალახა ის უფლებები, რომე-  
ლიც მას მინიჭებული აქვს. ვინაიდან, პარლამენტის წევრი არსენიძე  
მიუთითებს ხოლომე სხვა და სხვა კომისიის უფლების ზღუდეების გადა-  
ლახვაზე. მე ვფიქრობდი, რომ ამ შემთხვევაში, ის აღნიშნავდა იმ უაღ-  
რეს გადალახვას სარედაქცია კომისიის უფლებისას. ამის ნაცვლად მან  
დაიწყო დაცვა იმ უმცირესობის აზრისა, რომელიც ვწინააღმდეგება  
კანონის აზრს, მე დარწმუნებული ვარ, რაც უნდა სხვა და სხვაობა  
იყოს ამ აზრის შესახებ, ამ გზით, ამ საშუალებით, ყოველ შემთხვევა-  
ში, პარლამენტის უმრავლესობა არ მოინდომებს ამ საკითხის გადაჭ-  
რას. პარლამენტის წევრს ირაკლი წერეთელს არ სურს მიიღოს მცნება,  
რომ დიდი განსხვავება არის, როდესაც სარეგლამენტო კომისია, რო-  
მელსაც მინიჭებული აქვს ერთ ფარგლებში, ერთ გარკვეულ გზით ამა  
თუ იმ საკითხის მოგვარება— იმუშავებს კანონის საწინააღმდეგო აზრს,  
და ამ შემთხვევაში, როდესაც სხვა და სხვა კომისიები იურიდიულ უწყე-  
ბისა, ფინანსური თუ სპეციალური საკანონდებლო კანონ-პროექტს  
ინილავს შეუძლებელია, რომ ეს ორგანიული კანონი ამ კომისიების  
მიერ შეცვლილი იყოს. ამაში უაღრესი განსხვავება არის, და მე ვფიქრობ,  
რომ ასეთი პრეცედენტი არ უნდა შევქმნათ. ყველა ფრაქციამ გამოსთქვა  
აზრი, გარდა მენშევიკების ფრაქციისა. ნათელი არის, რომ ყველა და-  
ნარჩენი ფრაქციები უაღრეს დანაშაულად სთვლიან, რომ აქ შეღახუ-  
ლი იყოს უბრალო, მარტივი, ნორმალური საკანონდებლო მუშაობა.  
ის ცვლილება რომელიც შეიტანა სარეგლამენტო კომისიის უმცირე-  
სობამ, არღვევს ძირითად ორგანიულ კანონს. და ყველა დანარჩენი  
ფრაქცია გარდა მენშევიკებისა, ამ შესწორების წინააღმდეგი იქნება.  
სარეგლამენტო კომისიის დავალებული ჰქონდა შეემუშავებინა მხოლოდ  
წესი იმ ფარგლებში, რომელიც კანონით შექმნილია, და ამ ფარგლე-  
ბის შეცვლა, გაფართოვება ძირითად კანონის გადალახვით კომისიას  
არ შეეძლო. ეს იმის კონპეტენციაში არ შედიოდა.

ეროვნულ დემოკრატების ფრაქციის სახელით მე გამოვსთქვამ  
აზრს და რწმენას, რომ დღევანდელ ჩვენ საკანონდებლო წევრებმა არ  
უნდა ჩავიდინოთ ასეთი უაღრესი შეცდომა, და ასეთი გზით და ასეთი  
წესით, კიდევაც რომ საჭირო იყოს, რომ უმცირესობის აზრს, გან-  
ხორციელების საშუალება ჰქონდეს-ასეთ მიუღებელ წესით და გზით,  
არ შეიძლება დავარღვიოთ საკანონდებლო დაწესებულებების ტრადი-  
ციები და ჩვენ არ უნდა დავარღვიოთ-ის ორგანიული კანონი, რომელიც  
ჩვენ მაგალით ამ ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელთა  
ენის ხმარების შესახებ.



**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის... (ირაკლი წერეთელი: ჩვენი წინადადება გახლავთ-კამათი შესწყდეს. გთხოვთ უყაროთ კენჭი) კენჭი უკვე უყარეთ. (ირ. წერეთელი—კიდევ ახლად გახლავთ შემოტანილი წინადადება, ნება მიბოძეთ ამის შესახებ) ინებეთ.}}

**ი. წერეთელი.** ჩვენ შემოვიტანეთ წინადადება კამათის შესახებ, კენჭის ყრამ შეიძლება უარყოს ეს წინადადება. აქ, როდესაც კამათის შესწავლის წინააღმდეგ ლაპარაკობდნენ ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ თუ ჩვენ ასეთ კანონს ვიღებთ, რომელიც მისი აზრით, ავსტრიის პარლამენტის წესებს ამყარებს ჩვენ პარლამენტში,—მაშინ მისი ფრაქცია მიმართავს იმ ზომებს, რომელსაც ავსტრიის პარლამენტში მიმართავენ ხოლმე ზოგიერთი პარტიები—ესე იგი ობსტრუქციას.

ბატონებო! მე მინდა განვაცხადო, რომ ჩვენი ქვეყანა ისეთ მდგომარეობაში არის, რომ საკანონმდებლო დაწესებულება, თანახმად ხალხის უმრავლესობის აზრისა, ქვეყნის გადასარჩენად მიიღებს ზოგიერთ შემთხვევაში ისეთ კანონს, რომელიც ნორმალურ წესების დროს, შეუძლებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში. და ყველა ამას, ვინც სახელმწიფო აღმშენებლობის დროს არეგ-დარეგვას იწყევს, და საკანონმდებლო მუშაობას აფერხებს, სასტიკი სასჯელი მიენიჭება—სიკვდილით დასჯამდე.

ასეთ დროს, ბატონებო, პარლამენტში ობსტრუქციას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, და თუ ზოგიერთი ვერ შეიგნებს ამას, უმრავლესობა შეაგნებინებს, რომ ობსტრუქციას ვერ აწარმოებენ. არც ერთ პარლამენტში უმცირესობის უფლება არ არის ისე დაკული, როგორც ჩვენი რეგლამენტით. და ჩვენ, მიუხედავად რაოდენობისა უმცირესობის ფრაქციებს ამ შროვი დიდ უფლებას ვანიჭებთ. იმ მოსაზრებიდან გამოვდივართ, რომ ჩვენ სახელმწიფოში არ მოინახება ისეთი გზა-აზნეული ფრაქცია, რომელიც გაბედავს ობსტრუქციას მიმართოს, ესე იგი, განზრახ ხელი შეუშალოს საკანონმდებლო პარლამენტის მუშაობას იმ დროს, როდესაც ქვეყანა იღუპება, და მოითხოვს სასწრაფო კანონს. მაგრამ როდესაც დღეს ობსტრუქციაზე ლაპარაკობენ, მე პატივი მაქვს უმრავლესობის სახელით განვაცხადო, რომ ობსტრუქციის ნებას არავის მივცემთ, და ყოველ ზომას მივიღებთ, რომ ასეთი ქვეყნის ხელის შემშლელი ელემენტები ავლავმოთ. (ეროვნულ დემოკრატების მხრიდან: „წითელ გვარდიის საშუალებით“).

**თავმჯდომარე.** წინადადება გახლავთ შესწყდეს კამათი. ილაპარაკა ამ წინადადების დამკველმა. ეხლა მე სიტყვას ვაძლევ წინადადების მოწინააღმდეგეს. პარლამენტის წევრი გაბაშვილი.

**რეკაზ გაბაშვილი.** (დამ. ნაც. დ.) ბატონებო! მე წინააღმდეგი ვარ, რომ კამათი შესწყდეს, მიუხედავად იმისა, რომ აქ მოვისმინეთ მუქარა. ასეთ მუქარით შეიძლება ქუჩაში გამოსულიყვნენ, მაგრამ როდესაც გამოდიან აქ, მე ვიტყვი, რომ ამ შემთხვევაში ისინი არიან არა პარლამენტის წევრნი, არამედ ქუჩის დემაგოგები... (ხმაურობა).

როდესაც აქ ამბობენ, რომ სახელმწიფოს აშენებენ, მე კერძოთ ვიტყვი და ათასჯერ გავიმეორებ, რომ წერეთელს, რომელიც გუშინ ჩამოვიდა, და აქამდისინ კი ლბებოდა რუსეთის ციხეებში, იმის უფლება არა აქვს, რომ გამოვიდეს... (ხმაურობა: „ზიზილი“, „სირცხვილი!“).

ბატონმა წერეთელმა გუშინ ისწავლა რა არის საქართველო. აქამ-



დის რუსეთისთვის იბრძოდა, რუსეთისთვის ღვრიდა სისხლს. ბატონებო! როდესაც წერეთელი გამოდის და ლაპარაკობს, ჩვენ ყურს უგდებთ. ბატონებო! თქვენ შესაძლებელია, თავის დღეში ვერ ისწავლოთ გზა საქართველოსკენ. ჩვენ ვიცით რა არის საქართველო. თქვენ არ იცით. თქვენ უცხოელები ხართ. როდესაც თქვენ თამამად გამოდინართ, და მუქარებს ისვრით, თქვენ ეს რასაკვირველია, შეგიძლიანთ. თქვენ ხელში არის ჯარი, გვარდია, რომელიც შეგიძლიანთ, არამც თუ ჩვენ წინააღმდეგ ამოქმედდით, არამედ ხვრიტით ხალხი. მაგრამ თქვენ არავინ ნებას და უფლებას... (ხმაურობა. ხმები: „თქვენისთანა მოლაღატებებს დავხრტებ“).

თავმჯდომარე. თქვენ კეთილ ინებეთ და ბრძანეთ, რომ აქ არიან ისეთები, რომელნიც წითელ-გვარდიის საშუალებით ხალხს ხვრეტენ. მე შენიშვნით უნდა მოგმართოთ, რომ ეს სრულიად დაუშვებელი იყო თქვენის მხრივ.

რ. გაბაშვილი. ბოდიშს მოვითხოვ, თუ ისეთი რამ ვთქვი, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. აქ თქვენ დაუშვით, რომ პარლამენტის წევრი მუქარით ამბობს, რომ ავღლაგამს აქედან. რა ზომებზე ამბობს? ან უნდა დაასახელოს ეს ზომები, ან არა და უკან წაიღოს ეს სიტყვები. და ამის გაბედულობა კი არ აქვს. მაშინ მე ვიტყვი, რომ ეს არის ის, რასაც ქუჩის დემაგოგები სჩადიან, ეს არის ტერორი, რომლითაც ვერავის ვერ შეაშინებთ. თქვენ შეგიძლიან ციხეში ჩასვით თქვენი მოწინააღმდეგენი, თქვენ შეგიძლიან უარესი უყოთ, მაგრამ სიმართლეს ვერ დამალავთ. თქვენ დღეს ბევრს სცდილობდით დაგემალიათ სიმართლეს. თქვენ რეზების შემდეგ გინდათ შეგვაწყვეტინოთ კამათი, თქვენ ობსტრუქციას ხელს უშლით მარტო იმისთვის, რომ რაც ხრიკებით ვერ გაიყვანეთ, გაიყვანათ კანონით.

თავმჯდომარე. კენქს უყრს წინადადებას. ვინ არის მომხრე, რომ კამათი შესწყდეს? ვინ არის წინააღმდეგ კამათის შეწყვეტისა? გთხოვთ დაითვალოთ. მომხრე გახლავთ ოცდა სამი, წინააღმდეგი ცხრამეტი.

გ. რცხილაძე. (ს. ფ.) ხმის მიცემის მოტივების შესახებ.

თავმჯდომარე. ეგ რის გარეშეა.

გ. რცხილაძე. კამათის შეწყვეტის შესახებ. მე მინდოდა ხმის მიცემის შესახებ. მე მინდოდა წინეთ მომეხსენებია, რათ ვიყავით მომხრენი კამათის შეწყვეტისა. მაგრამ არ მომცეს საშუალება... თავმჯდომარე. ეს თხოვნა სრულებით რიგ გარეშეა. რ. რცხილაძე — კამათის შეწყვეტის შესახებ. თავმჯდომარე. ეს რიგის გარეშე განცხადებაა, სრულიად არ შეეხება ამ მოტივს. მაგრამ, თუ გნებავთ ხმის მიცემის მოტივების შესახებ, ეს თქვენი უფლებაა. ეს განცხადება კი რიგს გარეშე გახლავთ, სულ სხვა მუხლი არის რეგლამენტისა და არ შეეფერება ამ შემთხვევას. მით უმეტეს, რომ რეგლამენტი მოითხოვს, რომ შინაარსი გააცნოთ თავმჯდომარეს. მაშასადამე ჩვენ ვაგრძელებთ კამათს. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ქარუმიძეს. რ. ანსენიძე აღგილიდან: „სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის წინადადება არის დროს შეხლუღვის შესახებ“ (ხმაურობა).

თავმჯდომარე. უკაცრავოდ არის წინადადება რომ განესაზღვროთ დრო. ვის ნებავეს სიტყვა ამ წინადადების შესახებ? გნებავთ თუ არა, დრო განესაზღვროთ ათის წუთით? რეგლამენტის ძალით ათ წუთზე ნაკ-



ლებ არ შეიძლება, და თუ გნებავთ, ათი წუთით განისაზღვროს. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს შალვა ქარუმიძეს.

**შალვა ქარუმიძე.** (დ. ნ. დ.) ბატონებო! ჩვენთვის ყველასთვის ცხადზე უცხადესია ის, რომ საკითხს, რომელსაც თქვენ მხოლოდ პრაქტიკულად მნიშვნელობას აძლევთ, უადრესი ღრმა პრინციპიალიური მნიშვნელობა აქვს. ცხადია ისიც, რომ თქვენ გადასწყვეტთ ამას, სულ რამდენიმე წუთის შემდეგ, თითების აწვეით. ცხადია ისიც, რომ, რასაც ჩვენ აქ ვამბობთ, ქვეყანას არ მოიფინება. ან და თუ მოეფინება, იმ პროპორციით, რა პროპორციითაც ჩვენ აქა ვართ. მაგრამ ჩვენ ვაცხადებთ მაინც, ბატონებო, რომ უკანასკნელად პირველ ოქტომბერს მთლიანათ ამოიწურა მთელი თქვენი დემოკრატიული მოსაზრება. და თუ თქვენი დემოკრატიული მოსაზრება არა, — თქვენი დემოკრატიული სინდისი მაინც. თქვენი დემოკრატიულ შეგნებით წარსდგეჟით ერის წინაშე და ისეთი კანონი მიეცით ხალხს, რომლის დარღვევას ეხლა აპირებთ. თქვენ ააკალატოზეთ თქვენი წევრი ბ. არსენიძე ად ერის ცხოვრებაში, იმ ნაციონალურ ცხოვრებაში, რომელსაც თქვენ აშენებთ, თქვენ შეიტანეთ ისეთი კანონი რომესაც ღიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამშობლოს ბედისთვის. და ეხლა, ერთ კვირის შემდეგ, თქვენვე არღვევთ ამ კანონს.

ვაი ერო, რომ ამისთანა აღმშენებლები გყავს!

ისეგ ის არსენიძე მოიყვანეთ, და უნდა გამოაღებინოთ ის ქვა, მთავარი ქვა, რომელიც არის საფუძველი ჩვენი ერის ცხოვრებისა. ჩვენ უნდა მოვახსენოთ, რომ გარდა იმისა თუ, არის ეს პრინციპი არისტოკრატიზმისა თუ დემოკრატიზმისა, — ამ საკითხს აქვს უზუნაესი, მაღალი მნიშვნელობა. ეს, უმთავრესად, ეროვნული საკითხი გახლავთ, და მთავარი საკითხი იმ ეროვნულ აღმშენებლობისა, რომელსაც თქვენ ეწევი. ჩვენ არ დავმალავთ, თქვენ აშკარათ ამბობთ იმას, რომ თქვენ გინდათ გააფეფება რუსულ ენისა.

მე მოგახსენებთ რომ ჩვენ მთელი არსებით ამის წინააღმდეგი ვართ.

შეიძლება ჩვენ დღეს დავმარცხდეთ, მაგრამ თუ საქართველოს უწერია ცხოვრება, და ბედნიერება, დამერწმუნეთ თქვენ, იმიტომ რომ როგორც საქართველო აშენდა, და რუსეთის ნანგრევებზე წამოდგა ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობა სწორედ ეს კულტურა რუსულ ენის ნანგრევებზე უნდა აშენდეს ცხოველ მყოფის სახელმწიფო, და კულტურა ქართულ ენისა. აი, ჩვენ ესე გვესმის საკითხი ეს გახლავთ საკითხი მისა, თუ როგორი დამოკიდებულება იქნება რუსულ ენის და ქართულ ენის შორის. აქ არის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი ტემპით ქართული ენა განდევნის რუსულ ენას ყველა ჩვენ საზოგადო პოზიციებიდან, ვინაიდან ეს დააყენებს ჩვენ ბედნიერებას ობიექტიურ პირობებში. ეს ხომ ცხადია, რომ ჩვენი ერის კულტურა, სახელმწიფო კულტურა, სულიერი და ყოველგვარი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, უნდა მოხდეს იმისდამიუხედავათ — რამდენადაც წავა, და ამოიშლება ჩვენ ცხოვრებიდან რუსული ენა. და აქ უნდა მოვახსენოთ, თქვენ და იმ მცირე ერთა წარმომადგენლებს, რომ არც ერთი ენა, და ცხადზე უცხადესია, რომ არც ქართული ენა არ დაიკერს ისეთ დამოკიდებულებას, როგორც ვკირია რუსულ ენას. იმიტომ რომ ისენი ერთ-ერთმანეთს წინააღმდეგობას გაუწევს.

ჩვენ სიხარულით, მთელი ჩვენი ეროვნულ სინდისით და ეროვნულ ტრადიციის სისპეტაკით შევხვდებით ამ საკითხს, რომ აქ უმცირესობის წარმომადგენლებმა ილაპარაკონ და უნდა ილაპარაკონ თავის დედა ენაზე. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ვერას გზით ვერ მოვიტოვებთ და ვერ შეურიგდებით იმას, რომ ამ მცირე უმცირესობის წარმომადგენლებმა მეტი საშუალებით დაივიწყონ, დასჩარგონ თავის დედა ენა, და იხმარონ ის ენა, რომელიც იქნება მიმართული ჩვენ ეროვნების წინააღმდეგ.

ბატონებო! ვინც გულწრფელათ არის მოსული, ის დაინტერესებული არის, რომ აშენდეს საქართველოს ეროვნული და საკუთარის სახის მქონე შენობა. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ვინც მობრძანდნენ აქ, ისინი გულწრფელნი არიან ჩვენ შენობაში. ჩვენ ვართ ღრმად დარწმუნებულნი, რომ მეფე გიორგი, სეფე მთავარი და სახელმწიფო მთავარის შვილი-შვილის შვილი, რომელიც მოითხოვს რუსული ენის გაბატონებას, მერე ისე შესწუხდება ქართულ ენის შერყენით, როგორც სწუხდებოდა ის სეფე მთავარი, აი ის მდივანი, რომელზედაც მე მოგახსენებთ.

ჩვენ ერთ ერთმანეთს ვერ გავიგებთ, იმიტომ რომ, ძალიან დაშორებული ვიყავით, ძალიან შორს იყო დისტანციები იმ ადგილიდან, საიდანაც თქვენ და ჩვენ წარმოვედით საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ. ჩვენთვის ეს იყო აღსარება, ურომლისოდ საქართველოს არ შეეძლო ცხოვრება; თქვენთვის კი ეს უარყოფითი მოვლენა იყო. და ამას თქვენ ებრძოდით მთელი თქვენის ნიჭით, მთელის შეგნებით ჩვენ კარგათ გვესმის რომ თქვენთვის ძალიან ძნელია უარყოთ ის, რა. მაც მოგცათ საზოგადოთ ღირებულება (ა ძალა, რამაც დაგაჭერინათ ეს ადგილები. თქვენთვის, როდესაც მოიპოვეთ თქვენი გავლენა რუსულ დემოკრატიის და რუსულ სალდათების შემწეობით, ძალიან ძნელია ყველა იმის დავიწყება, და იმიტომ ისეთ ხრიკებს მიმართავთ, როგორც მიმართა ბატონი ირაკლი წერეთელმა, რომელიც ადარებს აი ამ დაწესებულებას, რუსულ სენატს,— გინდათ ჩაადინოთ ის, რასაც აკეთებდა რუსული სენატი. თქვენ გინდათ ის კანონი, რომელიც ჩვენ მივიღეთ დაარღვიოთ სხვა წესებით, რეგლამენტის ძალით. ჩვენი თქმა იმის შესახებ, რომ თქვენ არა გაქვთ გამბედაობა, იმას კი არ შეეხება, რომ თქვენ არა გაქვთ გამბედაობა ჩვენ ლანძღვაში. არა ბატონებო აქ დიდი გამბედაობა გაქვთ. თქვენ ხშირათ სინიდისხედ ლაპარაკობთ, და ყოველთვის სინიდისს და რიგაანობას ვადააქარბებთ ხოლმე, და აი, თქვენ გნებავთ ამ გზით, რეგლამენტის გზით მოახდინოთ ის, რასაც ახდენდა ხოლმე რუსეთის სენატი, დაარღვიოთ ის კანონი, რომელიც უნდა იყოს **краеугольнымъ камнемъ**, რუსულათ რომ ითქმის, და ჩვენი ვრი თუ მას მართლაც უწერია მომავალი, ბედნიერება დამოუკიდებლობა და არსებობა,— და გამარცხებთ მალე.

ჩვენ ხშირად გვესმის, რომ ჩვენ ერთი-ერთმანეთის არ გვესმის. ბატონ წერეთელს ხშირად უყვარს ჩვენ ლალატზე და ორ ცნებაზე ლაპარაკი. რასაკვირველია, ჩვენ-ერთმანეთს არ ვიცნობთ, ერთი-ერთმანეთისა არ გვესმის, იმიტომ რომ ჩვენ მივდიოდით სხვა და სხვა გზით, მივდიოდით საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ, ჩვენ მივდიოდით ღრმა რწმენით (ხმა: „სად აკეთებდით ამ საქმეს?“, დიახ, მოგახსენებთ.


ბატონებო! იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ჩვენი მეგობრები თქვენ წარმომადგენელს საზღვარ გარედ ლოზანაში შეხვდნენ, თქვენ ბრძოლა გამოუცხადეთსაქართველოს დამოუკიდებლობის პრინციპს, ბატონმა თევზაიამ აღიარა—რომ თუ თქვენ მითხოვეთ საქართველოს დამოუკიდებლობას, ჩვენ მოვითხოვეთ სამეგრელოს დამოუკიდებლობას. როდესაც ჩვენ პრაგრაში შეგვქონდა ჩვენი საქართველოს დამოუკიდებლობა, ჩვენ გვისაყვედურებდით ავტონომისტები ხართო. აგრეთი იყო ჩვენი პირველი ნაბიჯი საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ. თქვენ მაშინ რუსეთი ვაგონდებოდათ და არა საქართველო, თქვენ მაშინ დიდი კაცი იყავით ნამეტნავად ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში. თქვენ უტყველად გახსოვთ ის დღეემა, რომლითაც მოგმართეს თქვენ, როგორც მაშინდელ ძლიერ კაცს რუსეთში თქვენმა თანა შემამულეებმა მიხაკო წერეთელმა და გიორგი მანაბელმა სტოკჰოლმიდან. ეს იყო იმ დროს, როდესაც სტოკჰოლმში იკრიბებოდა სოციალისტური კონფერენცია. აი ეს კაცები, რომელსაც თქვენ არ იცნობდით და არც გინდათ რომ იცნობდეთ, იმიტომ რომ ჩვენი გზები სულ სხვა და სხვა ვახლავთ, გეხვეწებოდნენ ამოიღეთ თქვენი—ავტორიტეტული ხმა საქართველოს დამოუკიდებლობისათვისო. თქვენდამი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მიმართული თხოვნა უყურადღებოთ დასტოვეთ, თქვენ არ შეხვედით ჩვენ მდგომარეობაში.

თქვენ როდესაც ბუბლიკოვს ეამბორებოდით, არ ფიქრობდით მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობას. თქვენ მაშინ რუსეთს ემსახურებოდით. თქვენ ხომ გვამდათ, რომ ბუბლიკოვის გამარჯვება იყო რუსეთის იმპერიალიზმის გამარჯვება, იმ იმპერიალიზმისა, რომელიც დარღვენილისკენ მიისწრაფოდა და თქვენ საკუთარ სამშობლოზე, რომელზედაც ახლა ასეთ რიხით ლაპარაკობთ,—არ ფიქრობდით მაშინ. თქვენ ისიც ვახსოვთ, რომ იქ შეხვდით ჩვენ ერთ სხვა წარმომადგენელს, მისი სახელი სულ სხვა ვახლდათ... (ხმა: „ვინ არის?“) იოსებ მაჭავარიანი... რასაკვირველია, იმის ვერს არ დაიხსომებდით. თქვენ გიკვირთ, რომ ჩვენ ვღელავთ. ჩვენ ვღელავთ, იმიტომ. რომ არ გეჯერა საქართველოს დამოუკიდებლობა. თქვენ ხშირად გიკვირთ ლალატზედ ლაპარაკი. დამისახელებთ ის პიროვნება აქედან, რომელსაც ჰქონდეს ნათქვამი—მე მძულს საქართველო, მისი წარსული და არ მწამს მისი აწმყო. (ხმაურობა) ლოდიკური დასკვნა ეს თქვენი სიტყვა არის. ბევრი რომ გინდოდეთ ვერ დასახელებთ ვერც ერთ პიროვნებას, ისე როგორც თქვენი მეგობრები შემარცხენები, რომელნიც ჯარებით შემოიჭრნენ საქართველოში. ვერ იპოვნით ისეთ პიროვნებას, როგორც ფილიპე მახარაძე, საშა გეგეკორი და სხვ. (მარცხნიდან ხმები: „თიონეთი“. „ალექსეევი“) დასახელებთ ბატონებო ერთი ვგარი, ჩვენ კი დავასახელებთ...

**თავმჯდომარე.** წინადადება არის რომ სია დაიხუროს. ვინ არის წინამდევნი, ვინ არის მომხრე? მე მგონია რომ უმრავლესობა არის იმის მომხრე, რომ დაიხუროს. სიტყვა ეკუთვნის გრაგოლ რუხილაძეს.

**გრიგ. რუხილაძე.** (ს. ფ.) ბატონებო როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნა ეროვნულ საბჭოს წევრმა ბატონმა წერეთელმა, ამ საკითხში ორი მხარე იყო, ორი მოსაზრება: ერთი ფორმალური მოსაზრება მეორე არსებით.

მე დიდხანს არ შევჯანჩებ თქვენ ყურადღებას, არც ერთს და არც მეორე მხარეზე, მაგრამ რამდენიმე მოსასრება მინდა გამოვსთქვა,



რადგანაც ჩემი ფიქრით, რაც დღეს ამ კათედრაზე გამოიჩვენა, ფრიად დამახასიათებელი, ფრიად საინტერესო არის.

თქვენ მოისმინეთ განცხადება, რომ ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს შეგვეძლო წესები ენის ხმარების შესახებ, გავვეყვანა არა მარტო როგორც რეგლამენტი, არამედ როგორც კანონი, მაგრამ ჩვენ მაინც და მაინც რეგლამენტით გავვეყავსო. მაშ ეს სწორედ შედარება ვახლავთ სენატის რაზიასენიებთან, მაგრამ საკითხის ეს მხარე, ეს ანალოგია მე არ მაინტერესებს, მე მაინტერესებს საბუთი, რატომ სურს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, რომ ეს ვატარებულ იქნეს არა კანონით, არამედ რეგლამენტით. ამ შემთხვევაში თქვენ სთქვით, თუმცა არა პირდაპირ, რომ ის კანონი, რომელიც ჩვენ გამოვეცით ეს არის დეკლარაცია და მიზანშეწონილობით კი რაც უნდა განხორციელდეს ეს არის რეგლამენტი. აქედან მე გამოძყავს ისეთი დასკვნა, რომ ჩვენი პარლამენტის უმრავლესობის ფრაქციას წარმოდგენილი აქვს კანონის თვისება ისე, რომ კანონი ყოფილა დეკლარაცია (ხმა—დეკრეტი) თქვენ იცით რას ნიშნავს დეკლარაცია. დეკლარაცია ნიშნავს იმას (ხმა: დეკლარაციას) როდესაც ამაყობენ სიტყვით, როდესაც სცდილობენ თავის თავი სხვაფრივ აჩვენონ ვიდრე არიან, ნამდვილად კი სხვანი არიან. აი რას ნიშნავს დეკლარაცია. ის ვინც დეკლარაციას უძახის კანონს, ის იმას ამბობს, რომ მე არ ვამბობ, რომ სოციალ-დემოკრატია ესე ფიქრობს, მაგრამ თავის თავად ვინც კანონს დეკლარაციას უძახის, ვინც ასეთ მნიშვნელობას აძლევს კანონს ის ამბობს, რომ კანონს ნუ დაუჯერებთ, იმიტომ, რომ კანონი აიის მხოლოდ დეკლარაცია. დაუჯერეთ პრაქტიკულ მოქმედებას და არა კანონს. მე მოგახსენებთ, რომ უსუსტესი მხარე ჩვენი რესპუბლიკის არსებობისა, არის ჩვენი უნდობლობა ამ კანონ დეკლარაციასადმი, ეს არის უსუსტესი მხარე იმ კანონისა, რომელსაც ჩვენ ვცემთ.

მიხედეთ ვარშემო და დეკლარაციეთ თუნდ მთავრობის წარმომადგენლებს; თუნდ მკოდნე პირებს, ვარეშე პირებს დეკლარაციეთ, და გაივონებთ, რომ ჩვენი უსუსტესი მხარე, ჩვენი საფრთხე, ერთად ერთი საფრთხე ის არის, რომ კანონები, რომელსაც ჩვენ ვცემთ, ჩვენვე არ გვწამს და აი სწორედ ეს მხარე, ეს აზრი ჩვენ და სამწუხაროდ დღეს მე გავივონე პარლამენტში უმრავლესობის პარტიის წარმომადგენლის პირიდან. მომხსენებელი კომისიისა პატივცემული არსენიძე შეეცადა დამტკიცებინა, რომ ეს არ არის დაპირდაპირება დეკლარაციისა, რეგლამენტის და მომქმედ კანონისა, ეს არის მხოლოდ განმარტება ამ კანონებისა, რომელიც ძალაში რჩება, მაგრამ, იმ სთვის დასჭირდა ისეთი პრინციპზე დამყარებინათ ეს განმარტება, რაც პირდაპირ არ არის მიღებული კანონში, რაც არ არის აკრძალული. — ეს დასაშვებია და შესაძლებელი. მე მგონია, რომ ეს არ არის შესაძლებელი. როცა სამოქალაქო კანონებზე გვაქვს ლაპარაკი, ეს შესაძლებელი არის. ეს დებულება მართალი არის, მაგრამ როდესაც საკონსტიტუციო კანონზე გვაქ ლაპარაკი, მაშინ ეს დებულება მართალი არ არის. დიახ, ეს ასე არის. მე ამის შესახებ საბუთების მოსაყვანად სიტყვას არ გავაგრძელებ. ეს პრინციპიალური საკითხი არის.



მაგრამ არსებითად უნდა ვსთქვა, რომ იმ კანონში, რომელიც პარლამენტმა მიიღო, ამ ძირითად საკონსტიტუციო კანონში, პირდაპირ ნათქვამია: რომ ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლები ლაპარაკობენ ან თავის დედა ენაზე, ან სახელმწიფოებრივ ენაზე. მესამე არ არსებობს. და მთელი ეს რეგლამენტი კი იმაზეა აშენებული, რომ უმცირესობის წარმომადგენლებს ააღაპარავენ ამ მესამე ენაზე.

საყურადღებო კიდევ ერთი რამ არის. საყურადღებო ის არის, რომ იმ პრაქტიკისა, რომელსაც ამ რეგლამენტის სახით აკანონებს სოციალ-დემოკრატიული ფრანკცია, — ამ პრაქტიკისა თითქმის თითონვე ეშინიან. მე მოგახსენებთ, თითონვე ეშინიანთ, და აი რატომ: მთელი შინაარსი ამ რეგლამენტისა, ამ კომისიის უმცირესობის რეგლამენტისა იქითკენ არის მიმართული, რომ დააკარგვინოს სრულიად ახრი. მართივი წინადადება არის: „ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებს შეუძლიანთ ილაპარაკონ რუსულად, შეუძლიანთ ილაპარაკონ ქართულად“. მართო ეს. შეტი არაფერი. ამისთვის დასჭირდათ მათ, ხუთი ექვსი წინადადებას აშენება. რატომ? იმიტომ, რომ მათ არ მოისურვებს პირდაპირ ეთქვათ ეს. რისთვის არის ეს დაფარვა? იმიტომ რომ მათ შეუფერებლად მიიჩნიათ, სთქვან. ჩვენ ვაშენებთ ახალ სახელმწიფოს, ჩვენ ვართ ახალ ქართულ სახელმწიფოს წევრები, და აქ არსებობს ქართული ენა, და რუსული შეუძლებელია“. სხვა საბუთი არა აქვთ და დაფარეს ეს ამ სახით, რომ წავიდნენ ამ კანონის წინააღმდეგ იმ პრინციპით, რომ დეკლარაცია აღიარეს მათ კანონათ. ეს სთქვეს არა შემთხვევით, არამედ პირდაპირ. მაგრამ მე მოგახსენებთ, რომ იმ წესებით, რომელიც კომისიის უმცირესობას წარმოუდგენია, სამშობლო ენაზე ლაპარაკი შეუძლიანთ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამშობლო ენაზე იმ ერთა უმცირესობის წარმომადგენლისა იცის პარლამენტის პრეზიდიუმის რომელიმე წევრმა. პრაქტიკულად არც ერთი წევრი არ არის პრეზიდიუმში იმ ერებისა, რომლის უმცირესობის წარმომადგენლები აქ არიან. პრეზიდიუმის არც ერთმა წევრმა ეს ენები არ იციან. გამოდის პრაქტიკულად, რეალურად გამოდის, რომ თქვენ თქვენის რეგლამენტით სამშობლო ენაზე უკრძალავთ სიტყვის წარმოსთქმას, და ახ უკრძალავთ, პრაქტიკულად უკრძალავთ, რომ მოიძილომოს სამშობლო ენაზე უმცირესობის წარმომადგენელმა, თქვენის რეგლამენტის ძალით, რადგანაც პრეზიდიუმის არცერთ წევრს არ ესმის — სულ უნდა ილაპარაკო რუსულად, სომხებს უნდა უთხრათ — სომხურად არ შეიძლება ლაპარაკო, თათრებს — თათრულად. ჩვენ დავაწესეთ ისეთი წესი, რომ გინდა თუ არ გინდა უნდა ილაპარაკოთ რუსულად.

ეს შეეხებოდა რეგლამენტის ფორმალურ მხარესო.

მე მოგახსენებთ, რომ ის პრინციპი, რომელიც მოითხოვს ჩვენი ქვეყნის სიმტკიცეს, კანონიერების განმტკიცებას, ეს პრინციპი მოითხოვს, რომ სოციალ-დემოკრატია იკონიოს გაბედულება, ის რაც სურს სთქვას, არა მართო დეკლარაციით არამედ, კანონის განხორციელებით. მან არ უნდა დაარღვიოს კანონი, და ამით შეარყიოს რესპუბლიკანური წესწყობილება, არამედ ის კანონები, რომელიც თითონ გამოსცა, უნდა იყოს ურყევი სავალდებულო ყველა დაწესებულებისათვის და ყოველ შემთხვევაში, სავალდებულო იმ დაწესებულებისათვის, რომელიც თითონ სცემს კანონს. ყველამ იცის რომ რუსეთის თვითმყოფე-

ლობის დროს, კანონის დარღვევა შეფესაც არ შეეძლო. არსებობდა უკაზ — ის, ЗАКОН — ის თეორია. იყო ორი წესი.

ჩემის ფიქრით, კანონიერება არის საფუძველი ჩვენი სიმტკიცისა. ამიტომ მე მხარს უჭერ იმას, რაც წარმოდგინა გარკვეულად პარლამენტის წევრმა საყვარელმა მე თუ მაინცა და მაინც გინდათ, დააკანონოთ ის, რაც შემოიტანეს როგორც კანონი, და არა როგორც რეგლამენტი. რადგანაც ეს ეწინააღმდეგება კანონს.

რაც შეეხება მეორე საკითხს, არსებითად უნდა მოგახსენოთ, რომ ამის შესახებ ბევრი ლაპარაკი არ დამჭირდება. ჩემთვის სრულიად ცხადია, სრულიად ნათელი, რომ არც ერთ ეროვნებას არ შეეზღუდავთ, არ შეევიწროებთ. ყველა ეროვნებას გზა გახსნილი, აქვს ფართო კულტურულ ვაგენითარებისაკენ მსვლელობისთვის.

ჩვენ დიდი სიამოვნებით, დიდ აღტაცებით მოვისმინეთ სომხის ერის წარმომადგენელის, დავიდხანიანის სიტყვა, რომლიდანაც დავინახეთ, რომ სომხის ხალხისთვის საქართველო არის ისეთივე სამშობლო, როგორც ჩვენთვის.

ჩვენ ვეწამს და გვგონია, რომ სხვა ერთა წარმომადგენლებიც ისევე უყურებენ ამ საკითხს, როგორც სომხები. ჩვენ არ გვინდა არავითარი ექვი შევიტანოთ ამ საკითხში — ჩვენ არავის შეზღუდვა არ გვინდა, ხოლო ჩვენ არ გვინდა, რომ მათ ილაპარაკონ იმ ენაზე, რომელიც მათთვის და ჩვენთვისაც უცხო ენა არის. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გვინდა შეუკრათ გზა, როცა მოვითხოვთ, რომ მათ ილაპარაკონ თავის სამშობლო ენაზე. ის მოსაზრება, რომელზედაც ილაპარაკა ბ. ი. წერეთელმა... (თავმჯდომარე, თქვენი დრო თავდება.) ის მოსაზრება, რომელიც აქ გავიგონეთ ბ. ი. წერეთლისაგან, ის მოსაზრებაა, რომ დღეს ერთმანეთის გაგება შეიძლება მარტო რუსულ ენის საშუალებით, — მე ლოდიკას მოვითხოვ: თუ გნებავთ ერთმანეთი გავიგოთ, უნდა ბრძანოთ, რომ ჩვენ ყველამ უნდა ვილაპარაკოთ რუსულად, ან ყველა ჩვენი სიტყვა უნდა რუსულ ენაზე გადავთარგმნოთ. (თავმჯდომარე, თქვენი დრო გათავდა)...

ჩემი დრო გათავდა. ბევრი საბუთი მრჩება მოსაყვანი.

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს მაჩაბელს. **მიხელ მაჩაბელი.** (დამ. ერ. დემ.) ბატონებო, პარლამენტის წევრო!

მე უპირველესად ყოველისა მივმართავ იმ ერების უმცირესობის წარმომადგენელთ, რომელნიც აქ ბრძანდებიან, და ვაღიარებ იმას, რომ საშინელ უხერხულ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელნი და აგრეთვე თვით პარლამენტი. ისე გამოდის, რომ ეს სექტორი ესარჩლება უმცირესობას, და ეს სექტორი წინააღმდეგია, კაცი-ქაპია. (ხმა მარცხნიდან — მართალია). აქ ქართული პარლამენტი გახლავთ, ქართული პარლამენტი. დიახ, ეს დაიხსომეთ და ქართველი ხალხის თვისება იყო, რომ არავის დასჩაგრავდა თავის ტერიტორიაზე. რამდენადაც ისინი ქართველები რჩებოდნენ. დიახ, დიახ. სომეთ.

აი, ბატონი ცინცაძე აქ გახლავთ. იმას უთხრეს ორი ქართველი ამოირჩიეთ, და მესამე შენ სოციალ-დემოკრატიო, დიახ იყო ასეთი დრო, და მე მაშინაც ქართველად მიმაჩნდა ბატონი ცინცაძე და დღესაც.



აქ არაფის ის უზიარატესობა არ ექნება, როგორც რუსების დროს იყო, ამას თავი დაანებეთ, მუქარასაც თავი დაანებეთ.

მოლაღატებად მოგვნათლეს. გასაკვირველი ამბავი ის არის რა პირები მოგვნათლეს მოლაღატებათ.

ბ. საყვარელიძე აქ ბრძანდება, იმან კარგად იცის ამ პ წლის განმავლობაში ჩვენ გვექონდა კრებები, სადაც მონაწილეობას ვიღებდით: ბბ. ნოე რამიშვილი, ხომერძიკი, გრ. რუხილაძე, და თქვენ მონა-მორჩილი. ჩვენ ვზრუნავდით ქართველობაზე. იღუმალი კრებები ქვექონდა. იქ არავინ ყოფილა ისეთი, რომ აღეარებინა ის აზრი, რომ ვისიმე შევიწროვება გვინდოდეს. არას დროს არ ყოფილა ამანე ლაპარაკი. იქ ლაპარაკი იყო, როგორ უნდა ავაშენოთ საქართველო. დღესაც მარტო იმაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ როგორ უნდა ავაშენოთ საქართველო.

მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ, თუ ვინიცობაა, ეროვნული უმცირესობანი, რომელნიც ჩვენ ტერიტორიაზე სცხოვრობენ, ჩვენი მტრები იქნებიან—ჩვენ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ. მაშასადამე ეროვნულ უმცირესობათ მოწინააღმდეგენი არვინ იყო. იმიტომ რომ ისინი სოციალისტებისაგან კი არ არიან დასახლებულნი, ისინი ირაკლი მეფემ დაასახლა, დიდი სიამოვნებით, გიორგი მეფემ დაასახლა, დავით აღმაშენებელმა. სწორეთ იმათ დასახლეს, საკმარისი მიწა მისცეს, და, მაშასადამე, ის ქართველები რომელთაც წმინდანად აღიარეს დავით აღმაშენებელს, ამის წინააღმდეგ, თავის დღეში არ გაილაშქრებენ. მაგრამ, ერთს კი მოვითხოვთ, ქართველ მოქალაქეებისგან: რომ ისინი პატივს სცემდნენ ქართველ ოჯახს, ქართულ სახელმწიფოს- სწორედ ისე, როგორც ჩვენ ვცემთ პატივს სომხებს, თათრებს და სხვებს, როგორც ჩვენ თანასწორებს. როდესაც ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენ პარლამენტში ქართული ენა გაბატონდეს, და ქართულ ენაზე ილაპარაკონ, ჩვენ, რასაკვირველია, მოვითხოვთ, რომ ამ ენას პატივს სცემდნენ უმცირესობის წარმომადგენლები, იმიტომ რომ ეს საქართველოა, საქართველოს პარლამენტი. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მათ გამოგზავნონ ისეთი პირნი, რომელთაც ქართული ენა იციან, რადგანაც ეს სასარგებლოა, არა მარტო ქართველებისთვის, არამედ, თვით ყველა ხალხისთვისაც, რომ აქ ბაბილონის გოდოლი არ აშენდეს. მაგრამ, ბ. წერეთელი თქვამს, რომ გამოგზავნიან ისეთებს, რომლებმაც ქართული ერა იციან. ამას იმით ასაბუთებს, რომ ეროვნულ უმცირესობამ ქართული ენა არ იცის. მაგრამ, დიდათ, შეეცდარია ბ. წერეთელი. შეიძლება აღმოჩნდეთ საქართველოში არ იყო ეს საკითხი ესე მწვაფე. მაგრამ, ავიღოთ სომხების უმრავლესობა. ისინი ჩინებულად ლაპარაკი, ქართ. მართალია ბევრნი არიან შემოხიზნულნი, და არ ვიცი თ ისინი ჩვენი ქვეშევრდომები იქნებიან, ჩვენი მოქალაქეები იქნებიან თუ არა, მაგრამ ისინი კი ვინც სოფლებში სცხოვრობენ, იმ სომხებმა ჩინებულად იციან ქართული ენა. და, გარდა ამისა, ყველა სომხმა უნდა იცოდეს თავის სამშობლო ენა, იი, მაშინ, როდესაც ძველი მთავრობა სდევნიდა ქართულ ენას, მაშინ სომხები ცდილობდნენ, რომ სომხური ენა გაეცრულებინათ სკოლებში. ავტონომიური ჰქონდათ მაგათ სკოლები, და ეკლესია. მაშინ, როდესაც საქართველოს მოესპო ეკლესია, და სკოლები, სომხები უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ. უკეთეს მდგომარეობაში იმ დრომდის, ვიდრე გოდოლი იქ არ გაჩნდა. იანოვსკი მოითხოვდა, რომ სომხური სკოლებში, რუსული ენა არც კი ესწავლებინათ და მარტო სომხური ენა,



ყოფილიყო. ქართულ სკოლები კი, ქართულ ენას, როგორც საჯანააღკ  
კი არ ასწავლიდნენ. მაშასადამე, სომხებმა, სომხური ენა მშვენივრად  
იციან. ქართული ენაც იციან და შეუძლიანთ ილაპარაკონ ამ სახელ-  
მწიფოებრივ ენაზე, ან სომხურ ენაზე. აქ არავითარი ჩივილი არ სჩანს.

მეორე შრივ, ავილოთ თათრები. უმრავლესობა თათრებისა ჩინე-  
ბულათ ლაპარაკობს ქართულ ენაზედ, და თუ გნებავთ გაიგოთ როგორ  
ლაპარაკობენ,— მიბრძანდით ალტაგლიაში და ყარაჯალაში. ისე დარბა-  
ისლურ ქართულ ენაზე გაიგონებთ ლაპარაკს, რომელიც, უკაცრავად  
თქვენთან, ამ სექტორში, ბევრს არ ეცოდინება.

მაგრამ, არიან ისეთებიც, რომელთაც არ იციან ქართული ენა.  
მაგრამ, თავისი ენა კი ჩინებულად იციან. მაშასადამე, ილაპარაკებენ  
ან ქართულ ენაზე, ან სახელმწიფოებრივ ენაზე. ანდა გამოზნეიან ისე-  
თებს, რომელნიც ილაპარაკებენ ქართულ ენაზე.

ავილოთ ოსები. იქ ბრძანდება ბ. გავლოფვი. იმან კარგად იცის,  
რომ ნახევარმა მათგანმა ჩინებულად იციან ქართული ენა. მართალია,  
ნახევარი არ ლაპარაკობს ქართულ ენაზე, მაგრამ, ჩინებულად ლაპარა-  
კობს ოსურ ენაზე. მაშასადამე, შეუძლიანთ ილაპარაკონ ქართულ ენა-  
ზე, უნდა ოსურ ენაზე.

ავილოთ ესლა ბერძნები. ბერძნები უფრო ცუდ მდგომარეობაში  
არიან. თუ გინდათ, რომ ისინი ხალხის წარმომადგენლები იყვნენ, უნდა  
ნება მისცეთ, რუსულ ენაზე ლაპარაკისა კი არა, უნდა მისცეთ ნება  
თათრულ ენაზე ილაპარაკონ, იმიტომ, რომ უკეთესად იციან თათრუ-  
ლი ენა.

ნემეცებმა, რომლებიც სცხოვრობენ ჩვენ ქვეყანაში, ჩინებულად  
იციან ქართული ენა. მაშასადამე, იქაც შეუძლიან ამოიჩიონ ისეთი  
კაცი, რომელმაც იცის ქართული ენა.

აგრეთვე რუსები: გარდა ახალ დასახლებულებისა, ეგრედ წოდებ-  
პერеселенцებისა— ყველამ ქართული ენა იციან. ისე რომ, იმათაც  
შეუძლიან გამოგზავნონ ისეთი წარმომადგენლები, რომელთაც იციან  
ქართული ენა.

საზოგადოდ არის მიღებული, რომ დასავლეთ ამიერ-კავკასიაში გა-  
მეფებული იყო ქართული ენა, მერე ჩაერია რუსული ენა. აღმოსავ-  
ლეთში კი იყო თათრული ენა, ისე რომ, იქაც ვასაგები იქნება თათ-  
რული ენა და არა რუსული. მაგრამ, არა მგონია, რომ ვინმემ თათრუ-  
ლი ენა დააყენოს იმდონებზე, რომ ის მივიღოთ ჩვენ პარლამენტში,  
როგორც ქართული ენა.

არავითარი საბუთი არ არის, რომ ახალი რეგლამენტი შემოიღოთ,  
გარდა იმისა, რომ დაგვიშალოთ პარლამენტში მუშაობა. მე დარწმუნე-  
ბული ვარ, რომ ყველა უმცირესობის წარმომადგენელი, გულწრფე-  
ლად უნდა მოეკიდოს ჩვენ საქმეს, ჩვენ პარლამენტს.

მაშასადამე, როდესაც ბ. ი. წერეთელმა აღნიშნა, რომ— როდე-  
საც რუსეთის პარლამენტში ვიყავი, რუსულად ვლაპარაკობდიო; —ლო-  
დიკურად უნდა გამოიყვანა, რომ ის პირნი, რომელიც მოვლენ ჩვენს  
პარლამენტში, ქართულად უნდა ილაპარაკონ, მაგრამ ეს დასკვნა არ გამო-  
იყვანა: რაკი ის მობრძანდა რუსეთითან, სადაც რუსულად ლაპარაკობ-  
და, — აქაც უნდა მოვიდნენ, და ილაპარაკონ რუსულად. მაგრამ, ჩვენ-  
თვის საჭიროა, რომ უმცირესობის წარმომადგენელმა ილაპარაკონ ქარ-  
თულათ, და არა რუსულად. ბევრი ლაპარაკი ენის შესახებ იყო ნათ-



ქვაში, რომ თუ უპირობო ილაპარაკებს მშობლიურ ენაზე, ეს აოგ-  
დარევეს შეიტანს პარლამენტშიო. მე კი მგონია, შეიძლება უნებო-  
ლოდა იყოს, მაგრამ, მაინც უნდა ილაპარაკონ ან ქართულ ენაზე, ან  
სამშობლო ენაზე. ვერც იტყვიან, რომ, როდესაც ჩვენ რუსულ ენაზე  
ლაპარაკის უფლებას არ ვაძლევთ, ამით ჩვენ ვჩაგრავთ ვისზე.

მე ჩემ სიტყვას გავათავებ ერთი მოგონებით: როცა ჩვენში ქორწი-  
ლი არის, დასვამენ ხოლმე პატარძალს, აქედან უყურებენ, იქიდან უყუ-  
რებენ, ერთს მოსწონს სილამაზით, მეორე ამბობს: ლამაზი არ არისო.  
პატარძალი კი გაჩუმებული ზის. ჩვენი უპირობობის წარმომადგენლე-  
ბიც ასეთ მდგომარეობაში არიან, როგორც ვასათხოვარი ქალი...  
(სიცილი). (თავმჯდომარე: თქვენი დრო თავდება). სწორედ ჩვენი უპი-  
რობობაც ამ პატარძლის როლში არის. ვთხოვთ, რომ ეს პატარძლის  
როლი მოსპონ, და თავის აზრი გამოსთქვან. მით უმეტეს, რომ ბ. ი.  
წერეთელმა სთქვა, როდესაც მოვლენ ეროვნულ უპირობობათა წარმო-  
მადგენელნი, თვით ისინიც გადასწყვეტენ ამ საკითხსო.

**თავმჯდომარე.** თქვენი დრო ვათავდა. აქ განლაგეთ წინადადება  
კამათის შეწყვეტის შესახებ. ვინ არის მომხრე რომ კამათი შესწყდეს?  
(კენჭის ყრა): (წერეთელი აღვილიდან) ალიონისტები, ობსტრუქციის  
აწარმოებენ?

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს გაბაშვილს.  
**რევაზ გაბაშვილი.** (დამ. ერ. დემ.) ბატონებო, პარლამენტის  
წევრო?

პარლამენტის წევრმა, ბატონმა გომართელმა აქ ერთი ქართული  
ანდაზა მოიყვანა. მე მინდა, მოყიყვანო მეორე ანდაზა, არა ნაკლებ  
ქართული: — მელას თავისი მხარხობელი უყვარდაო. აი სწოთედ ეს ან-  
დაზა არის გამოკრილი წერეთელისათვის, იმიტომ, რომ რუსეთმა ყვე-  
ლაზე მეტი სასჯელი წერეთელისათვის, იმიტომ, რომ რუსეთმა ყვე-  
ლაზე მეტი სასჯელი წერეთელს მიაყენა წერეთელი სცდილობდა დიდისა  
და პატარასთვის რუსული მოცხვია და როდესაც ეს ვერ შესლო, ჯამ-  
ბაზობას და ხრიკებს მიმართა. მაგრამ რადგანაც აქ ჩვენს პარლამენტში  
ჯანსაღი ელემენტი მოჰყვა, ესეც არ გაუვიდა და ეხლა ის ცდილობს  
მუქარით და ალბად თვის ფრაქციის მუშტებით დააჯეროს ის პარლა-  
მენტის წევრები, რომელნიც ამ კათედრაზე გამოდიან და სულ სხვას  
ამტკიცებენ.

აქ გვარწმუნებდა ბატონი არსენიძე, რომელმაც რამდენჯერმე მო-  
ახდინა ტრანსფორმაცია, ალბად ეს იმის წყალობითაც, რომ ქართულ  
გვარს რუსულ გაზეთში რაქდენიძეს აწერს. მაგრამ შეუძლებელია. ყოვლად  
შეუძლებელია მოიფიქროს აღამიანმა ისეთი ვადაბრუნება, ისეთი ტრან-  
სფორმაცია, რომელიც აქ დავინახეთ და რომელიც აქ რამდენიმე ორა-  
ტორმა აღნიშნა. ერთს ვიტყვი რაქდენიძე სწორედ მაშინ აღელდა და  
ხელით ბრაზუნი დაიწყო, როდესაც მოიღომა რომ გაეყვანა ის რასაც  
წინად ეწინააღმდეგებოდა. ჩვენ არ შეგვიძლიან ვიფიქროთ ბატონი  
რაქდენიძე, უკაცრავად არსენიძე. რამ აღელდა და დაიცვა ის მდგო-  
მარეობა რასაც წინად ეწინააღმდეგებოდა. ის გამათახსიერებელი გავლენ-  
ა, რომელსაც სწორედ საქართველო განიცდის დღეს იმ ძარღვებში  
და იმ თავშია მოგროვილი, რომელსაც ეწოდება ირაკლი წერეთელი.  
თავისთავად ცხადია, თუ თქვენ მიაქციეთ წურადლება, მან მოუტანა  
დიდი ვნება რუსეთის იმპერიას თავის გრძელი რეჩებით თუ მიი-  
ღებთ მხედველობაში, რომ წერეთელი დიდის წინააღმდეგობით შეეგება



ამიერკავკასიის გამოყოფის და ამიერკავკასიის კავშირი თითონვე დაანგრიდა და მე მაშინებს, რომ თვის გრძელი და ლამაზი სიტყვებით წერეთელმა საქართველოც არ დაანგრიოს. და როდესაც ირაკლი წერეთელი გამოდის და ამ კათედრიდან მუქარით და ყვირილით ელაპარაკება მემარჯვენეებს ჩვენ ვეკითხებით—რა უფლებით რა ძალით? ნუ თუ იმ უფლებით იმ ძალით, რომ თქვენ გაქვთ კარგი მოქნილი ენა. (ვეშაპელი პატრონებიც აქვთ!) ბატონებო, თქვენ იმდენად უცნაურ მდგომარეობაში ხართ და არ ვიცი ამ მდგომარეობიდან როგორ უნდა გამოვიდეთ. როდესაც მე ბელგიაში ვახლდით, ერთ წარმოდგენას დავესწარი. ერთ დამანაშავეს სჯიდნენ. მას ჰყავდა დაქირავებული ადვოკატი, რომელიც დამანაშავეს იცავდა. სწორედ ამ დროს მოვიდა მეფის ბრძანება, და ისევე ადვოკატი გამოვიდა პროკურორად და ბრალმდებლა. და ამავე დამანაშავეს ათასი დანაშაულობა გამოუძებნა. არ ვიცი რომელ მეფის ბრძანება მოუვიდა ბ. არსენიძეს, (ვეშაპელი: ОБЛАСТНОЙ КОМИТЕТ-ისა) მაგრამ იმას სწორედ ესე დამართა, და ანეგლოტიურ მდგომარეობაში ჩავარდა. მე მგონია რომ ის არ დაუზღვეს ი. ირაკლი წერეთელს; რომ სწორედ ის გამოგზავნეს დამცველად იმ კანონპროექტისა, რომლის წინააღმდეგ იყო წინათ. ჩვენ გვეუბნებიან, ირაკლი წერეთელი გვეუბნება: თქვენ მომხრენი იყავთ ერთი ქართული ენისა, და შეიღ ენის წინააღმდეგ იყავთ, ეხლა კი იცავთ შეიღ ენას. დიახ, ბატონებო, ვიცავდით ერთ ენას, და ეხლაც ვიცავთ, რომ საქართველოს პარლამენტში იყოს ერთად ერთი ენა, მაგრამ როდესაც ეს არ არის, შესაძლებელი არის წარმოვიდგინოთ ის რასაც ბ. წერეთელი გვიპარნახებს. ეროვნულ უმცირესობის დეპუტატებთან ერთად აღბად ბ. ირაკლი წერეთელიც ილაპარაკებს რუსულად. და ბატონი არსენიძე, რომელმაც ძალიან ცუდათ იცის რუსული და რომელსაც სავარჯიშოთ აქვს ქალაქის თვითმართველობა, აქაც დავვიწყებს ლაპირსკს რუსულად. მე არ მინახავს დედამიწის ზურგზე პარლამენტი, რომელშიაც ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებს ჰქონდათ მეტი უფლება, ვიდრე უმრავლესობას. წარსულ კრებაზე ჩვენ დავაკანონეთ ისეთი უსამართლობა ისეთი კანონიერების გარეშე მდგომარეობა, რომ თუნდაც მაგალითად, სომხის წარმომადგენლებს, სტატისტიკურ ცნობების მიხედვით უნდა მიჰმართებოდა რვა, რომ ყოფილიყო ათი. ჩვენ კი მიუმატეთ ათი და იქნებოდათ თორმეტი ასევე მიუმატეთ ოსებს, — გამოვიდა ექვსი. ეს ვერაფერი მდგომარეობა არის. დღეს ბატონი ირაკლი წერეთლის გავლენით ჩავიდინეთ ისეთი უსამართლობა, რომ უპირატესობა მიიღო უმცირესობამ. დღეს ბ. წერეთელი მოახერხებს იმასაც, რომ უმცირესობას მიეცემა უფლება ილაპარაკოს ქართულად და რუსულად, უმრავლესობას კი დარჩება მხოლოდ, ერთი ქართული ენა, თუმცა ბ. წერეთელს ქართული ენა არ ეხერხება. (ხმა: თქვენ მეტი გეხერხებათ?) (თმეშუდამარე. უმორჩილესად გთხოვთ ბასი არ გამართოთ ხოლმე. არც ერთ, არც მეორე მხრით). ჩვენ ასეთი ცვლილება ბ. ირაკლი წერეთელში არ გვაკვირვებს, იმიტომ, რომ ბ. ირაკლი წერეთელი დამჩვეულია. იგი იცვლის აზრს, თავის შეხედულებას, იმისდამხედვით, თუ რომელ ქალაქში, რა საქმეზე. სად, და რომელ საბჭოში ილაპარაკობს. ერთ და იგივე საგნებზე რომ ილაპარაკოს, ხან ერთს იტყვის, ხან მეორეს. ეს ჩვენ პარლამენტის წევრებს არ გვაკვირვებს, რადგანაც ამ კაცზე, მის პიროვნებაზე წარმოდგენა გვაქვს. მაგრამ დღეს არსენიძე მხარს უჭერს ირაკლი წერეთელს, და ამბობს



სომხის წარმომადგენლებზე, რომ ისინი არიან დემოკრატიის წარმომადგენლები. ისევ ის არსენიძე, რომელიც რამდენიმე კვირის წინად, ქალაქის თვით მართველობის კრებაზე ამბობდა, — ისინი არის ჩინოვნიკების წარმომადგენლებიო. აი ბატონებო, ის თუშანოვი, რომელსზედაც ამბობდით, რომ ჩინოვნიკების წარმომადგენელიაო, დღეს აქ არის, როგორც დემოკრატიის წარმომადგენელი. მაგრამ ყველაზე ლამაზი, რიგანი, სინდისიერი და კანონიერი ის არის, რაც გამოაცხადა ბ. წერეთელმა, რაჟღერდით და დადასტურა და გაიმეორა გავლოცვა. „ჩვენ დეკლარაცია გამოვაცხადეთ, რათა ყველას უთხრათ, რომ ჩვენ უმცირესობას დავიცავთ, ჩვენ შემოვიტანეთ წინადადება რეგლამენტის. (აჟღერდებოდა. თქვენი დრო თავდება) თქვენ იმით დამარცხდით, რომ მართო კანონონებს სცემთ, და არასდროს არ ასრულებთ, ხოლოდ ლაპარაკობთ და დეკლარაციებს სცემთ. თქვენი მუქარა...“

**თავმჯდომარე.** თქვენი დრო გვთავდა. წინადადება არის, რომ შეწყდეს კამათი. ვის სურს, რომ შეწყდეს კამათი? ვინ არის წინააღმდეგი? გნებავთ დაითვალოს? მაშასადამე კამათი გძელდება. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს გობეჩიას.

**იოსებ გობეჩია** (სოც. რევ.] ბატონებო! მე არ ვფიქრობდი დღეს ამელო სიტყვა, მაგრამ, როდესაც სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციის წარმომადგენელმა ილაპარაკა ერთმხრივ, იმის შესახებ, რომ თითქმის ჩვენ დემოკრატიით ვსარგებლობთ და მეორე მხრივ, რომ ვითომდა ისინი სდგანან ინტერნაციონალისტურ ნიადაგზე და აწარმოებენ ინტერნაციონალისტურ ტაქტიკას, — აი სწორედ მაშინ მე მომივიდა სურვილი, რომ მგლაპარაკა ამ ვანცხადების შესახებ.

სწორედ ვერც ერთმა ორატორმა ვერ დამაჯერა, რომ ისინი ამ საკითხს ეხებიან მართლა ინტერნაციონალურ თვალსაზრისით. მე ვფიქრობდი, რომ ინტერნაციონალიზმზე საზოგადოდ ჩვენ გვაქვს წარმოდგენა ისეთი, როგორც ერებსე საზოგადოდ. და თუ ეს ასე არის, მაშინ მე მგონია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელშია არის სოციალისტური უმრავლესობა, უნდა ეცადოს რომ აქ მცხოვრებლებმა აჩვენონ მაგალითი, რომ შეეძლოთ მათ მართლა ინტერნაციონალიზმი განახორციელონ. არ არის სახელმწიფო, არ არის ისეთი რესპუბლიკა, სადაც იყო. ისე ბევრი სხვა და სხვა ერები, როგორც ჩვენში. და დღეს როდესაც ჩვენ საქართველოს რესპუბლიკაში არიან შეკავშირებული მსოფლიო ინტერნაციონალისტები, ჩვენ, გველაპარაკებიან, რომ აქ, ჩვენს პარლამენტში, ჩვენ უნდა მივიღოთ არა ინტერნაციონალისტური ენა, არა ყველასთვის ერთი ენა, არა ქართული ენა, აღამედ ორი ენა.

მაშინ მე მგონია, ეს პრინციპი ეწინააღმდეგება ინტერნაციონალიზმს.

მე ვიცი, ერთად ერთი ინტერნაციონალისტური ენა, ეს არის ფრანგული ენა. და თუ ამ ენაზე ილაპარაკებენ მაშინ ჩვენ როგორც სოციალისტები ამას მხარს დაუჭერთ, და ვიცნობთ როგორც ოციციონალურ ენას. საქართველოში მოხქმედ სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია და მისი ორგანო ყოველგვარ ასეთ საკითხს სუყოველთვის წყვეტენ პრინციპიალურად, როგორც სოციალისტები; ჩვენ არ უჭერთ მხარს სოც. დემოკრატიის მიერ წარმოდგენილ შესწორებას, რადგანაც ბატონებო, კანონის დარღვევაში ჩვენ არ ვხედავთ რაიმე საბუთს არც




ინტერნაციონალისტობისას, არც სოციალისტობისას, ეს ჩვენ არ მიგვაჩნია უბრალო დემოკრატიულ აქტადაც კი. ჩვენ ამ საკითხზე ვფიქრობდით, და ვერაინ ვერ დავგწამებ, რომ ჩვენ, სოციალისტ რევოლუციონერები ვიყოთ შოვინისტები, ნაციონალისტები. ერთი კითხვა არ ყოფილა, სადაც ჩვენ გამოგვეჩინა შოვინისტობა, და ნუ თუ ამ კითხვაში ვართ შოვინისტები?

არა, მხოლოდ მე ვამბობ, რომ დღეს ისეთი საბუთები მოგვიყვანა სოციალ-დემოკრატიის ფრაქციამ, რომ შეიძლება ასეთი საბუთები ჩვენ მართლაც ვერ წარმოვადგინოთ, და არც წარმოვადგენთ ჩვენ ასეთ საბუთებს არასოდეს. ჩვენს ფრაქციას, აქ, შეეძლო ეფიქრა რომ არის საბუთები, რომელიც შეკავშირებული, შედუღებული არის ჩვენ პრინციპებთან, კერძოთ ჩვენს ფრაქციასთან. და რასაკვირველია, მაშინ შეიძლება სხვა რაიმე შედეგები მოჰყვებოდა ამ საბუთებს მაგრამ როდესაც ჩვენ გვეუბნებიან, რომ სოციალ-რევოლუციონური პარტია ვიწრო ბურჟუაზული პარტია არისო, — მაშინ ჩვენ არ შეგვიძლიან ამას ჯეროვანი პასუხი არ გავცეთ.

ჩვენ აქ გვეუბნებიან, ნაკაზი მშრომელ ხალხმა შეიმუშავა, და მშრომელ ხალხს გასაგებ ენაზე უნდა გადმოგვცენ ეს ნაკაზებიო. ეს საბუთები მოჰყავთ ჩვენი საბუთების საწინააღმდეგოთ. მშრომელი ხალხი შეიმუშავებს ნაკაზს თავის სამშობლო ენაზე და მერწმუნეთ. მშრომელი ხალხი ამ ნაკაზს არ გამოაჩანს ისეთ დებუტატს, რომელმაც მშობლიო ენა არ იცის. ის დებუტატი, რომელიც წავა ჩვენთან თავის ხალხს რა ენაზე ელაპარაკება? ჩემთვის, როგორც სოციალისტისთვის უფრო საინტერესო და საყურადღებო ის არის, რომ იმ დებუტატმა, რომელიც აქ მოვა ჩვენ გველაპარაკოს რუსულად ჩვენ პარლამენტში parler, ილაპარაკოს რუსულად და იქ, მშრომელ ხალხს ელაპარაკოს სამშობლო ენაზე, რომელიც ესმის დიდ უმრავლესობას. მე დიდ ყურადღებით მოვისმინე ირაკლი წერეთლის სიტყვა, ეფიქრებ, რომ როგორც ძველი სოციალისტი და გამოცდილი კაცი გვეტყუა, რომ ის არ ეწინააღმდეგება ჩვენ შეხედულებას, მაგრამ ვერაფითარი საბუთი ვერ მოვისმინეთ.

იმის დებულებას, ისე როგორც ყველა საკითხს, აქის ორი მხარე ფორმალური და არსებითი. ფორმალურ მხარის შესახებ ბევრი ილაპარაკეს, რომ ფორმალურად ეს არის შეცვლა ჩვენი კანონდებლობისა, და იმის წინააღმდეგ ირაკლი წერეთელმა არაფითარი საბუთი არ მოიყვანა. ხოლო ის სიტყვა, რომ წესის სახით შემოესტუტანეთ და არა კანონის სახითო. შეგვეძლო კანონის სახით შემოესტუტანათ, მხოლოდ წესით სკნეს უფრო მოხერხებულადო. რისთვის? იმიტომ რომ ჩვენ კანონში სწერია: წესები ენის ხმარების შესახებ შემუშავდება სარეგლამენტო კომისიის მიერ“. იმას კი უნდა, რომ ერთი მხრივ კანონი დაიცვას უკვე მოღებული, მეორე მხრივ, — ახალი კანონ-პროექტი წარმოადგინოს. რაც შეეხება სენატის განმარტების ის არგუმენტი არ ვარგა, რომ აქ იქნება ისეთი სენატი, როგორიც იყო სტოლიპინის დროს. მე ვფიქრობ, რომ ამაში ბ. წერეთელი არ არის მართალი. იმიტომ რომ, ჩვენ, მართალია კანონ-პროექტი მივიღეთ, მართალია კანონ-პროექტი გადაწყვეტილი არის, მაგრამ თუ შევხებებით ასე თუ ისე ისტორიულად ამ საკითხს, მე მგონია, რომ აქ სენატიც იყო და სტოლიპინიც იყო.

რაშია სამე? როდესაც ჩვენ მივიღეთ კანონი ჩვენ ვთქვით, რომ წესი ენის ხმარობისა ერთ კვირის განმავლობაში უნდა შემუშავდეს



თავჯდომარე, თქვენი დრო გათავდა). მასამე დღეს ჩვენ მოგვანოდეს (ყველა ფრაქციის წარმომადგენლებს თავისი აზრი იმის შესახებ რომ შემუშავებული იყოს წესები. აი ჩვენმა ფრაქციამ ისეთი წინადადება მიიღო, რომ წარმომადგენლებმა უნდა ილაპარაკონ თავის სამშობლო ენაზე, იმ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობს უმრავლესობა იმ უმცირესობის ერისა, რომლის წარმომადგენელიც დემუტატი არის. და ერთ ხმათ ჩვენმა ფრაქციამ წინააღმდეგობა განაცხადა, რომ იყოს დარღვეული კანონი. (თავჯდომარე, თქვენი დრო გათავდა). ეს იყო ორი კვირის წინ, დღეს რომ ლაპარაკობენ სენატზე, სენატში ასე კეთდებოდა საქმეო—საუბედუროდ პრინციპიალური მხარე აქ არის უყურადღებო, პრაქტიკულად რომ შეხედოთ საკითხს..

**თავჯდომარე.** თქვენი დრო გათავდა. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს დადიანს სამსონს.

**სამსონ დადიანი.** (ს. ფ.) მე დიდხანს არ შევაჩერებ თქვენ ყურადღებას, საქმე იმაშია, რომ მე თქვენს წინაშე მიძღულა გამოსვლა იმ სიტყვამ, რომელიც მოვისმინე პარლამენტის წევრის გაგლოვისაგან. სანამ ამ სიტყვას შევხებოდი ვაკერით მინდა აღნიშნო, რომ ჩვენი სურვილი, რომ გავგეგონა ამ უმცირესობის დაცვის საბუთები, საყურადღებო მოსაზრებანი-ვერ აფვისრულდა. მოუთმენლათ ველოდით წერეთლის გამოსვლას, ველოდით, რომ ის მიიწვ დაგვიმტკიცებდა, ურყვევლ საბუთებს წარმოგვიდგენდა, რომ აუცილებელი საქირებებაა, რომ არამც თუ უმცირესობას წაერთვას უფლება ილაპარაკოს თავის ენაზე და უმეტესად იძულებული გახდებით რუსულ ენაზე ვილაპარაკოთ. ჯერ-ჯერობით ვერ შესძღეს ამის დამტკიცება, მე გულწრფელათ ტაში დაუკარი ბ. წერეთელს, როდესაც ის სცემდა ეროვნულ-დემოკრატებს, იმითომ რომ იმათ გადაიტანეს ეს საკითხი, იმ სფეროში, რომელიც სრულიად არ შეეხება იმ საკითხს, რომელიც ჩვენ გვიანტერესებს.

მართლა სრულიად გულწრფელათ ტაშს უკრავდი მაგათ კრიტიკის დროს, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ გაგლოვება აღნიშნა, რომ სხვა სოციალისტები, სოციალისტ-რევოლიუციონერები და სოციალისტ-ფედერალისტები სოციალისტები კი არ არიან—ბურჟუაზიულ პარტიები არიან, და შემარჯვენე პარტიებთან ერთად იცავენ ბურჟუაზიულ წესწყობილებას და ერთად ერთი წარმომადგენელი ხალხისა ცალკე დაერჩითო.

**ბატონო გაგლოვეო!** ეს უკვე ძალიან გაცვეთილი არგუმენტია ჩვენი მოწინააღმდეგებისა, ძალიან მოძველებული არგუმენტი. თქვენ ყოველ შემთხვევაში იმათ, ვისაც დღევანდელ დღეს ისტორიამ არგუნა ეროვნული, სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის ნიადაგზე დამდგარიყავით, იმდენი კომპრომისი დაგიშვიათ, რომელიც თქვენ სოციალისტურ სახეს ძლიერ, და ძლიერ სცვლის. მე არ მეგონა, რომ დღეს იმის აღნიშვნა მომიხდებოდა, მაგრამ თვით ბ. წერეთელმა ამ რამდენიმე დღის წინათ აღიარა: კომპრომისი გვიხდებოა. ეხლა, როდესაც თქვენ გვეუბნებით, თქვენ, სხვა სოციალისტები წვრილ ბურჟუაზიის წარმომადგენლები ხართო, — ვეტყვი, ყოველ შემთხვევაში, გაგლოვეს და მის პარტიას არ შეეფერება გვითხრას: თქვენ სოციალისტ-ფედერალისტები და სოც.-რევოლიუციონერები წვრილ ბურჟუაზიის წარმომადგენლები ხართო იმის შემდეგ, როდესაც ხვალ, თუ ზეგ.გამოხვალთ აქ მიწის სიკითხით რომელშიაც თქვენ სდგხართ ნამდვილ წვრილ ბურჟუაზიულ ნიადაგზე, ამაზე რასაკვირველია მაშინაც ვილაპარაკებთ. მა-



შასაღამე, დაივიწყეთ, ბ. გაგლოვეო, იმ რეკომენდაციებისა, და იმ პატენტების, რიგება რომელსაც თქვენ ვერ გადაჩვეულხართ, და რასაც დიდი ხანია, აქ თქვენი ამხანაგები პარლამენტის წევრები გადაჩვეივნენ, თუმცა იქ, პროვინციაში კი, ჯერ ვერ გადაჩვეულან თქვენი ამხანაგები და განაგრძობენ რეკომენდაციებისას და პატენტების რიგებას.

მაგრამ მე მოვიტხოვ, რომ პარლამენტში, ამ ტრიბუნაზე ასეთ იაფ ფასიანი არგუმენტები, და დემაგოგია არ იყოს.

ყოველ შემთხვევაში, შესაძლებელია აღინიშნოს: თუ რომელიმე საკითხში ჩვენ შემოგვიერთდნენ ეროვნული დემოკრატები, რომელნიც ბურჟუაზიულ წესწყობილებას ამტკიცებენ, და გამოხატავენ ბურჟუაზიულ მიმართულებას, — ისინი ბევრ საკითხში ჩვენთან ერთად არ არიან. თუ ზოგიერთ საკითხში ბურჟუაზიის წარმომადგენელნი თქვენთან, სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასთან ერთად არიან, ნუ თუ ეს საქმარისი არის, რომ ვთქვათ, — რომ თქვენ ბურჟუაზიის წარმომადგენელნი ხართ. ამას ვერ ვიტყვი, იმიტომ რომ ამის საბუთები არ არის. თქვენ კი ლაპარაკობთ იმაზე, რისთვისაც საბუთი არა გაქვთ. შემთხვევით კი არ არის დღეს, ამ საკითხში ჩვენთან ერთად ეროვნული დემოკრატების პარტია. ბატონებო თქვენ კარგათ იცით, რომ ამ 15—20 წლის განმავლობაში, რაც ჩვენი, სოციალ-ფედერალისტების პარტია არსებობს, ის იბრძვის ამ იდეებისათვის. განსაკუთრებით, ამ იდეების განხორციელებისაკენ იყო მიმართული მთელი ჩვენ ცდა, მთელი ჩვენი გონება. თუ თქვენ დააკვირდებით, ჩვენი ორი კონფერენციას ამ საკითხის გარშემო ეროვნულ უმცირესობის უფლების საკითხის გარშემო, — პრაქტიკული ნაბიჯი გადადგმული ჰქონდა. უკვე შემუშავებული ჰქონდა ამ უმცირესობის უფლების დაცვის გარანტიები. მაშასადამე, ისინი, ვის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, შეგიძლიანთ თქვენთან ერთათ გვიგულოთ, — ისინი დღეს ჩვენთან არიან. ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ის იდეა, ის აზრი ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ დააჩოქა არამც თუ ისინი, თქვენც კი დაგაჩოქათ, თქვენ, სოციალ-დემოკრატიული პარტია. მე ბოდიშს ვიხდი პარლამენტის წინაშე, მართალია ეს არსებითად არ შეეწყება ამ საკითხს; შეიძლება გამიჯავრდეს ბ. მომხსენებელი, მაგრამ არსებით ამ პროექტის დაცვა არ გამოიგონია. ბ. არსენიძე არ ვიცი რას იტყვის, მაგრამ აქამდისინ არსებითად არაფერი გამოიგონია.

**თავმჯდომარე. ი. ბარათაშვილი.** სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

**არჩილ ჭაჭანაშვილი.** (ს. ფ.) ბატონებო, საქართველოს პარლამენტის წევრო! მე არ მინდა, თქვენი ყურადღება დავდალო გრძელი მოსაზრებით. ყველა, რაც საქირო იყო, უკვე ნათქვამია. მე მინდა მხოლოდ ორიოდ სიტყვით შევხზო, იმ გამოსვლებს, რომელსაც ადგილი ჰქონდათ აქ. ჩემ მოსაზრების შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა ვეშაპელი, და დაიწყო დაცვა იმ პოზიციისა, რომელზედაც იდგა სარეგლამენტო კომისია, მაგრამ ყველა იმის შემდეგ რაც აქ ითქვა, ყველა იმის შემდეგ, რაც მან სთვა, ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებთან შესახებ, მე მგონია რომ მე გამოვხატავ სარეგლამენტო კომისიის აზრს, თუ ვიტყვი, რომ როდესაც კომისია ამ გზას ადგა, მე თამამათ შემიძლიან ვსთქვა, რომ გრძნობა სიძულვისა, რომელიც გამოსჭეოდა — ვეშაპელის სიტყვაში, ეროვნული უმცირესობის წინააღმდეგ, — ეს გრძნობა სიძულვილით უმცირესობისადმი კომისიის გრძნობა არ არის. და ამ სიძულვილის გრძნობაში მათთან ერთად ჩვენ არასოდეს არ ვიქნებით. ჩვენ



წინააღმდეგენი ვართ ამ კანონ-პროექტისა, რომელიც წარმოადგენს კომისიის უმცირესობამ, ჩვენ ვიბრძვით ამ კანონ-პროექტის წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან ვეშაპელებთან ერთად ვიბრძოლოთ მის შემდეგ, რაც მათ გაბედეს ამ ბრძოლის იარაღით გამოეყენებინათ ტანჯვა ადამიანისა ციხეში (ტაში).

მე საჭიროთ მიმაჩნია (გაბაშვილი: „პოლიტიკა არის, არა ლოლიკა“). მე საჭიროთ მიმაჩნია, მცირე განცხადებით, გაოსვლა, მე მგონია რომ კომისიის წევრები გაიზიარებენ ჩემ აზრს. არსებითად მე მინდოდა ერთკლად გამომეთქვა ჩემი აზრი, იმ მოსაზრების შესახებ, რომელსაც ადგია სარეგლამენტო კომისია. მაგრამ სწორეთ იმ მოსაზრებით, რა მოსაზრებით ბევრი წევრი პარლამენტისა თხოულობს კამათის შეწყვეტას, მე მოკლეთ ვიტყვი, არ მინდა ჩემი სიტყვა აბსტრაქციით გამოვიდეს. მე ვიტყვი, მხოლოდ, რომ კომისიის ერთად ერთი მოსაზრება, ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლობის შეზღუდვაა არიყო. არა, მისი აზრი ის იყო, რომ უფლება არ მიენიქოს იმ ვრს, რომელიც 100 წლის განმავლობაში აღრჩობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, აღრჩობდა საქართველოს სახელმწიფოებრივ იდეას რუსული ენა იყო ენა აგრესიული, საქართველოს წინააღმდეგ მიმართული; რუსული კულტურა დამხშველი. რუსულ კულტურის შემწეობით უარყოფილი იყო ქართული ენის ხმარება, რუსული კულტურა იყო კულტურა, რომლის შემწეობით აქ ფებს ვერ იდგამდა ქართული კულტურა (ხმა: „ვანა ეგ სიძულვილი არ არის?“). ჩვენ, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, დამოუკიდებლობის აღდგენაზე დავდექით, ჩვენ ამ დროს აუცილებლათ მივგანჩია, რომ არ დაბრუნებულყო ის ენა, რომელიც წინამორბედი რუსულ აგრესიულ მიმართულების პოლიტიკისა.

მხოლოდ ამით ვიხელმძღვანელებთ, ამით და არა იმით, არა იმ მოსაზრებით, რომ ამავე დროს შევზღუდეთ ეროვნულ უმცირესობის უფლება. ეს არის პირველი მოსაზრება კომისიის მოსაზრებისა.

მეორე მოსაზრება ის არის, რომ თუ რეგლამენტის საშუალებით ამ წესებს, ის არსებით კატეგორიულად ეწინააღმდეგება კანონს, და კომისიას შეეძლოთ მიაჩნია, რომ რეგლამენტის საშუალებით კანონი დაირღვეს. აი ეს უმთავრესი მოსაზრება იყო, რომლითაც ხელმძღვანელობდა კომისია, და მე მგონია, ჩვენ მართლა სახელმწიფოებრივ ნაადაგზე ვდგევართ, და მართლა ჩვენ გვინდა, რომ ჩვენ მიერ მიღებულმა კანონმა იკანონოს ხალხში, და ხალხმა მას ანგარიში გაუწიოს. ამ შემთხვევაში ჩვენ მტკიცეთ ვაღგვართ ჩვენს აზრს და როგორც ამბობს ერთი ანდაზა: „ვიცო რა უნდა სთქვასო, წისქვილია კი ფქვასო“.

**რაჟდენ არსენიძე.** (ს. დ.) დღეს მთელი ის კამათი, რომელიც აქ იყო, არსებითად წინააღმდეგი იყო იმ კანონ-პროექტისა, რომლის მომხსენებელი მე გახლავართ. ამიტომ არ იქნება გასაკვირველი, რომ მე ცოტა მეტი დრო დამჭირდეს, ვიდრე პირველ მომხსენებელს. საქმე იმაშია, რომ თუ კი რაიმე ცოდვა, და ბრალდება შეიძლება იქნეს წამოყენებული ამ კანონის წინააღმდეგ, — ყველა ბრალდება, და ყველა ცოდვა, დაადგენს ამ კანონ-პროექტს. პირველი — თურმე მთელ სახელმწიფოს არყვეს, აზნაზაბებს კანონმდებლობას, დასაზრებს სახელმწიფოებრივ იდეას. როდესაც ასეთი უდიდესი, და უსაშინელესი ბრალდება არის წამოყენებული, ამას სჭირია დიდი დრო, მეტა საბუთები და მეტი დაკვირვებაც სჭირია. თუ თქვენ კანონს გამოსცემთ და დაარღ-

გვეთ მეორე დღესვე, შეირყევა კანონის იდეა. აქ ამტკიცებენ, რომ პარლამენტმა მიიღო კანონი სახელმწიფოებრივ ქართულ ენისა, ამიტომ ჩვენ მიერ შემოტანილი წინადადება რეგლამენტის წესით, უკანონოთ მიჩნიათ.

ჩვენის აზრით, ერთად ერთი საბუთი იყო აქ იურიდიულად წამოყენებული. გრიგოლ რცხილაძემ ჩემი საბუთების წინააღმდეგ სთქვა: სამოქალაქო კანონებში შეიძლება, რომ, რაც არ არის აკრძალული პირდაპირ კანონში, ის დასაშვებია. მაგრამ პოლიტიკურ უფლების საკითხში ეს არ შეიძლება. წარმოიდგინეთ სახელმწიფო, სადაც არ არის კანონი კრებების შესახებ. როგორ გინდათ კრება აკრძალვით? დასვით ეს საკითხი დარწმუნდებით, რომ კანონები, საზოგადოებაზე ძირითადი უფლება ისევე ტარდება, როგორც სამოქალაქო კანონში. (მემარჯვენე ფრთიდან: „ვერ წარმოგვიდგენია“). (დადიანი: „მაგალითები“) და ვერც ერთ კონსტიტუციას ვერ აიღებთ, რომ ყველა უფლება სახელმწიფოებრივი, ყველა საზოგადოებრივი პოლიტიკური უფლება იყოს აღნუსხული, ჩამოთვლილი, მიკუთვნებული. და რაც არ არის, ეს იქნება ის, რაც ნიკოლოზის კანონში ჰქვია. „пересечение преступления и т. II.“ რაც იქ არის დართული, იმას სპობს პოლიცია. მაგრამ ამ პრინციპის წინააღმდეგ, საზოგადოებრივ უფლების სფეროში, იბრძოლა გატაცებით მთელი რუსეთის იურისპრუდენცია, იბრძოდა ამ ჯადოსნურ პრინციპის წინააღმდეგ, და ცდილობდა განთავისუფლებულიყო ამ ჯადოსგან. და ჩვენ გვეუბნებიან: ეს ჯადო არის ნამდვილი პრინციპი იურიდიული მეცნიერებისა.

მე ვამბობ, რომ ესე არ არის. ჩვენ ვამბობთ რომ ეს კანონ-პროექტი რომელიც არ ეწინააღმდეგება, არ უარყოფს, არ ანგრევს იმ დებულებას, რომელიც ჩვენ აქ მივიღეთ. აქ სხვა ბრალდება წარმოაყენეს პირადის ხასიათისა, რომ არსენიძე იყო მომხსენებელი სახელმწიფოებრივი კანონისა, იგივე მომხსენებელი არის ამ კანონისა-ზოგმა რა მისაყვედურა, ზოგმა რა. კომისიაში მე ვაცხადებდი—ჩვენ ვაძლევთ უფლებას, ვის როცა ვწერთ კანონს და არა წარმომადგენელს დღეს უფლებაზე რომ იყოს ლაპარაკი ეგდავიცავდი ამ უფლებას. როცა პარლამენტში წარმოსდგენენ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი—მათ უნდა უფლება მივცეთ ილაპარაკონ, ხომ ვიცით, რომ თავმჯდომარემ არ იცის ერთ უმცირესობის ენა, მაგალითად სომხური. ვერც მოვთხოვთ რომ იცოდეს. განა შეიძლება ამის გამო უარყოთ ერთა უმცირესობის უფლება ილაპარაკონ პარლამენტში. მე ვსთქვი მაშინ—ეს არის ტენიკური საკითხი, რადგანაც ტენიკური საკითხია ამ ტენიკურ მხარეზე მოვილაპარაკებთ მაშინ, როდესაც მოვლენ ეროვნულ უმცირესობათა დებუტატები. მაშინ, როდესაც რეგლამენტის დადგენილებს შეეცხებთ როდესაც დღეს ვლაპარაკობთ ტენიკურ წესებზედ, თქვენ ამბობთ, უფლებას ართმევთო. ვის ვართმევთ უფლებას? რასაკვირველია არა ეროვნულ უმცირესობას, წაეართვით მათ ეს უფლება? ისინი იტყვიან კი არ წავართვით უფლება, არამედ მივეცით საშუალება ლაპარაკისა და კანონდებლობით მუშაობისა. თუ ისინი იტყვიან ამას—ეს შესაძლებელია, მაგრამ როდესაც პარლამენტის ჯგუფი აპირებს მათ „აბეკას“, როდესაც ისინი ამბობენ, როგორ უნდა მოიქცეს პარლამენტში ეს ჯგუფი ეს ჩვენის აზრით დაუშვებელია; მათ თვითონ უნდა სთქვან, იმიტომ რომ ისინი წარმოდგენილნი არიან უკვე პარლამენტში. შემდეგ წარმოაყენეს ის საკითხი, ის მოსაზრება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ერების



უფლება შეზღუდული იქნებაო. მე მითხრეს რომ კომისია შინაგარე  
კეთო. რომ თარგმანი მოკლე იქნებაო, მთლიანი სიტყვის თარგმანა შე-  
უძლებელი არისო. როდესაც ჩვენ გვინდოდა რეგლამენტის ამ წესით  
გატარება, ჩვენ ვხელობდვან. იმ მოსაზრებით რომ მაშინ ნაფიც თარჯი-  
მანისა ძნელია ყველა ენებისთვის. რომ ეს საკითხი არ დარჩეს დაუს-  
რულებელი, საქმე არ გაქიანურდეს, შეიძლება უთარჯიმანით მოწეს-  
რიგდეს, ნვენ შეგვიძლიან ისეთი წესი, რომელიც ორივე მხარეს დააყ-  
მაყოფილებს, პარლამენტის უმცირესობასაც და უმრავლესობასაც.

მე მიკითხინეს, თქვენ მაშინ სხვას ლაპარაკობდითო, ახლა სხვას ამ-  
ბობთო; აქ მანასებებიც კი მოიგონეს. მე ვამბობ არა მარტო მოსმენა  
უნდა სიტყვას, იმის გაგებაც არის საჭირო თუ რა ითქვა. რუსულ ენის  
წინააღმდეგი იყავით. დღესაც ვიქნები რუსულ ენის წინააღმდეგი, რომ  
იყოს რუსულ ენაზე ლაპარაკი. მე ვამბობ, მე ვლაპარაკობ სხვა უფლებ-  
ბაზე. ჩვენ რომ საყოველთაო უფლებას ვწერდეთ, საზოგადო კანონს,  
უფლებრივ კანონს, პოლიტიკურ უფლებრივ კანონს—შესაძლებელია  
სასტიკი წინააღმდეგი ვყოფილიყავი რუსული ენისა. მაგრამ ჩვენ უფლებ-  
ბის კანონს დღეს არ ვწერთ, ჩვენ ვწერთ რეგლამენტს, რომელიც არის  
მომწესრიგებელი კრებისა და არა რაიმე საზოგადოებრივ უფლებისა;  
ჩვენ ვწერთ რეგლამენტს, რომელიც შინაგან წესრიგს შეეხება. ამ ორ  
საგანს უნდა გაგება, რა არის უფლება, რა არის ტენიკა? კანონით  
ხდება დაკანონება უფლებისა, დაკანონება იმისა, ვის რა უფლება ეკუ-  
თვნის. ჩვენ შემოგვაქვს საყოველთაო უფლება, მაგრამ ის პირები, რომ-  
ელიც არ მოისურვებენ მიიღონ ის კანონი, მათ ძალით ვერ შემოვა-  
თრევთ. ვინც არ მოისურვებს კანონდებლობით ხმის მიცემას, ძალით  
ვერ მივაცემინებთ ხმას; მეორეს მხრით, როდესაც თქვენ აქ ლაპარა-  
კობდით უმცირესობის უფლებაზე, მე მახსოვს აქ სოციალ-დემოკრატიის  
ტებისაგან იყო წამოყენებული სხვა ნაირად საკითხი. ისინი ამბობდნენ,  
რომ ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ილაპა-  
რაკონ თავის ენაზე. ჩვენ ეს უარყავით, რადგანაც მათ აქვთ უკვე უფ-  
ლება, გამოადგებათ მათ ეს უფლება, ისარგებლებენ ისინი თუ არა ამ  
უფლებით, ეს მათი საქმე არის. შეიძლება აქ ერთმა სექტორმა ვერც  
ეს აზრი გაიგოს, მაგრამ გაუგებრობა და უცოდინარობა საბუთი არ  
არის. (ხმა: „იურისტი ბრძანდები“).

საერთოდ აქ დიდი იურისტობა არ არის საჭირო. მხოლოდ აქ არ  
არის სურვილი გაგებისა, არის მხოლოდ სურვილი ყველაფერი გადა-  
თარგმნონ თავის ინტერესის, თავის იდეის მიხედვით.

მე კიდევ მიუთითებ ერთ შენიშვნას, რომელიც მოვისმინეთ. აქ  
არის წესი ენის ხმარებისა. პარლამენტის მიერ დადგენილება იყო ამავე  
კომისიას მიენდოს ამ წესის შემუშავება. რა არის წესი, აქ არავის და-  
უსვამს ეს საკითხი. მე უთხარი კომისიას, ეს წესი ნიშნავს იმას, რომ  
ამას განმარტავს რეგლამენტი, რა შინაარსისა იქნება ამას გამოარკვევს  
სარეგლამენტო კომისია, იმიტომ რომ საკონსტიტუციო კომისიაში ჩვენ  
არ ვმუშაობთ. იმას, რასაც შეიცავს ამ შემთხვევაში სარეგლამენტო  
კომისია, იმ სამი სიტყვის დედა აზრი. მთავარი აზრი ეს იყო, და ო-  
ციკლი იმ აზრს, რომ მთლიანათ სიტყვის შინაარსი არ გადითარგმნე-  
ბა. ამაზე რა საჭირო იყო ერთგვარი ლექციის წაკითხვა. მაგალითად,  
ვერ ვიშოვნეთ თარჯიმანი, ვალაპარაკოთ თუ არა? არ იცის პრეზიდი-  
უმის წევრმა ენა, ამ დადგენილებით ილაპარაკებს თუ არა, ან როგორ



ილაპარაკებს? მთელი რიგი ტექნიკური საკითხებისა, უნდა გადაიჭრას რეგლამენტითა, ვინაიდან ეს არის არა უფლებრივი, არა ტექნიკური საკითხები. რატომ უყვართ აქ ლაპარაკი არა იმაზე, რაც სალაპარაკო საგანი არის? სხვა და სხვა ტექნიკურ საკითხის დროს წამოაყენებენ პრინციპიალურ საკითხებს, და იმაზე ლაპარაკობენ, და როცა პრინციპიალურ საკითხებს ვწყვეტთ მაშინ ტექნიკურ საკითხებზე ლაპარაკობენ. ეს არის უკუღმართი დაყენება ყველა საბუთებქსა (ვეშაპელი: „ლიალექტივა“) დიალექტივა კარგი საგანია, რომ იცოდეთ.

იმ საკითხის შესახებ, რომელიც წარმოსთქვა გაბაშვილმა ციხეში მჯდარის შესახებ, არ შემიძლიან არ ვსთქვა, რომ როდესაც ზოგი ციხეში იჯდა, ზოგი მუხლ დაჩოქილი ემთხვევოდა იმას, ვინც ფეხ-ქვეშ ქელავდა. (გაბაშვილი: „ციხეში ჩვენც ვისხედით, მაგრამ საქვეყნო“...) თქვენს აზრს რომ დააკვირდეთ უნდაგო ალაგას არ წარმოისგრძიდეთ იმ სიტყვებს, რომელიც უნდაგოცა და სამარცხვინოც. ჩვე არ გვეცხვენინან ციხეში ჯდომისა, ახლა ჩვენ დაგვიჩოქავენ მუხლის ჩოქით მოსიარულე პარტიები (ხმა: „ვინ დაიჩოქებს? ვის დაუჩოქებს?“) შემდეგ წარმოსთქვით ისეთი სიტყვა, რომ ასეთი კანონი უმცირესობა ისარგებლებს რუსული ერთ პარლამენტში, მე მგონია ისარგებლებენ რუსული ერთ, იმიტომ რომ გავვიადვილონ ეს მუშაობა. კიდევ წარმოსთქვეს აქ სიტყვები, ერთმა წამოიყვირა—ალექსეევისა გეშინიანთო, რუსული ენა გაგყავთო. მე მოვასხენებთ: როცა ალექსეევი და იმისი ბატონი სახელმწიფოს სათავეში იყვნენ მაშინაც არ შეგვეშინებია. (ვეშაპელი: „დღეს ალექსეევი მოკვდა“) არ შეგვეშინებია არც ალექსეევისა და არც ყველა მისი ჯგუფებისა, რომლის გავდენა რუსულ პოლიტიკისა დღემდის ვერ ჩამოიშორეს ზოგიერთ ელემენტებმა მაინც. ერთმა წევრმა, რომელიც მაგალითად ამტკიცებდა, რომ რუსული ენა არ უნდა იყოს გატარებული ნახევარ თავისი სიტყვარუსულ ენაზე ააშენა. მე მესმის აკეთოს რუსული ენის ხმარება იმან, ვინც რუსულ ენას არ ხმარობს, მაგრამ საპედეგოგოთ არ სცალიან პარლამენტს. ვისაც უნდა მასწავლებლობა უნდა მოიპოვოს დრო და მიიღოს. ის არის მთავარი აზრი კანონმდებლობისა, რომ კანონმდებლობამ მოგვეცეს უფლება, მხოლოდ რეგლამენტმა უნდა მოგვეცეს საშუალება სწორედ იოლად ავასრულოთ ჩვენი მოვალეობა.

აქ არის ორი მთავარი პრინციპი. რეგლამენტში სწერია: „პარლამენტი მისი მუშაობის გაადვილება... (კითხულობს) მე ეს საფეხით მაკმაყოფილებს და სწორედ სასურველად მიმაჩნია რეგლამენტის მიღება.

**თავმჯდომარე.** მაშასადამე, აქ არის ორი წინადადება წარმოდგენილი უმცირესობის და უმრავლესობის. ვის სურს რომ გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე ამ დებულებისა? თუ ის წინადადება უკვე იქნება გადაწყვეტილი, რომ უმცირესობის წინადადების მუხლობრივ განხილვის შესახებ უარყოფილი იქნება, მაშასადამე უარყოფილი იქნება სავრთოდ საკითხი მხოლოდ საჭიროა რომლის შესახებ პარლამენტმა გამოსთქვა თავისი, ასრი, რომ ჩვენ გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე. მაშასადამე ამის განხილვას ჩვენ შეუძლებით. თუ აქ რაიმე გაუგებრობა არის, ამ აზრში, დავსვამ ჩვეულობრივად საკითხს. ვინ არის მომხრე ან წინააღმდეგ მუხლობრივ განხილვისა. (მიმართავს ვეშაპელს) თქვენ კენკის ყრის შესახებ გნებავთ სიტყვა? ვეშაპელი: არა, მოტივებზე (მო-



ტივებზე შემდეგ, როდესაც დაევამთ, საკითხს, ეხლა კი კენჭი უნდა უყარო. (დადიანი: საკითხის დაყენებისთვის) დიახ, ინებეთ.

**დადიანი.** როგორც პ. თავმჯდომარემ განმარტა, ეხლა საკითხი ეგრე სდგას: წარმოდგენილია ორი, ესე ვთქვათ, კანონ-პროექტი, ორი პროექტი ეხლა კენჭის ყრით უნდა გადავწყვიტოთ ამ ორ პროექტში, რომელი განვიხილოთ მუხლობრივ. ჩემის აზრით, ვინაიდან არ ყოფილა პრეცედენტი, რომ ამ კაფედრაზე გამოსულიყო ორი პროექტი, იყო შემთხვევა რომ სამინისტრომ წარმოადგინა თავისი პროექტი და კომისიამ შეიმუშავა თავისი პროექტი, მაგრამ ერთი კომისიის სახელით ორი პროექტი თავის დღეში არ შემოსულა, ეს არის ტრადიცია. რაც შეეხება რეგლამენტს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ გვაქს უფლება ორი პროექტი დაუშვათ ერთი ერთმანეთის მოქიშფეთ. ჩვენ უნდა დაუშვათ და კენჭი უყაროთ ან უმრავლესობის, ან უმცირესობის მუხლობრივ განხილვის ვადასვლვლაზე. მე ვაცხადებ, ვინაიდან არც ტრადიცია გვაქს და არც რეგლამენტში გვაქს ნაჩვენია, ამიტომ კენჭის ყრა უმცირესობის პროექტისა არ შეიძლება. კენჭი უნდა უყაროთ უმრავლესობის პროექტის განხილვის შესახებ.

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ირაკლი წერეთელს,

**წერეთელი.** ბატონებო, საზოგადოთ ჩვენ უნდა ვიხილომდგანელოთ პარლამენტის საქმიანობის ინტერესით. მე მგონია, რომ არც ისინი ვინც არიან მოწინააღმდეგენი უმცირესობის პროექტისა, არ უარყოფენ იმას, რომ გავიგოთ ნება პარლამენტის, ნება ხალხის წარმომადგენლებისა. თუ ისე მოვიქცეთ, როგორც ბ. დადიანი ბრძანებს, რომ მხოლოდ ერთს წინადადებას, უყაროთ კენჭი, მხოლოდ უმრავლესობის პროექტს, — მაშასადამე ჩვენ შევასრულებთ ჩვეულებრივ წესს, შემუშავებულ იმ პირობებისთვის, რომლითაც შეგვეძლო გავგვეგო პარლამენტის საშუალება მთავარ საკითხზე გამოსთქვას თავის აზრი. აქ იყო საკითხი დასმული, პარლამენტმა უნდა ითქვას, პარლამენტმა უნდა გამოსთქვას თავის აზრი, რომ ის დაუდებს საუფუძველად თავის მსჯელობას, თავის კენჭის ყრას ერთ თუ მეორე პროექტს.

არაჩვეულებრივი წესია, რომ ორს წინადადებით და ორ პროექტით გამოდიდეს კომისია. მაგრამ ამ არაჩვეულებრივი წესით, თუ ჩვენ ისე განვიხილავთ, რომ გავიგოთ პარლამენტის აზრი ამ კითხვის შესახებ როგორი არის, მაშინ უნდა მივიღოთ ერთი ზომა, ის ზომა, რომელიც მიღებულია საზოგადოდ ყველა წარმომადგენლების კრებაში. მარტალია, აღნიშნული არ არის ეს რეგლამენტში, მაგრამ არც იმის საწინააღმდეგოა აღნიშნული, და მე ვფიქრობ, რომ საუკეთესოდ იქნებოდა კენჭის ყრით გავიგოთ რა სურს პარლამენტს, რომელი პროექტი სურს ჩასთვალოს ძირითადად. ეს საკითხი რომ გადაწყვედებ, ან პირველს მივიღებთ, ან მეორეს მუხლობრივ განსახილველად. ამიტომ თუ თავმჯდომარე წინააღმდეგი არ იქნება, მე წინადადებას ვიძღვევი, რომ კენჭის ყრით გადაიჭრას უპირველესყოფლისა, რომელი ჩაითვლება ძირითად პროექტათ და შემდეგ, სურს თუ არა პარლამენტს მუხლობრივ განხილვაზე გადავიდეთ.

**ბ. ვეშაპელი.** (ადგილიდან) რეგლამენტის დარღვევის გამო, შეიძლება სიტყვა?

**თავმჯდომარე.** ინებეთ.

გ. ვეშაპელი. ჩვენს რეგლამენტში არავითარი საშუალება არ არის, რომ ძირითად საკითხის კენჭის ყრა მოვახდინოთ.

კამათის დასრულების შემდეგ, ჩვენ გვაქვს მხედველობაში მიღებული მხოლოდ ერთი მოხსენება, ერთად ერთი კანონ პროექტი კომისიისა. ჩვენი რეგლამენტი ამბობს ერთად ერთ მუხლში, რომ ყველა წარმოდგენილ კანონ-პროექტს, რომელიც კომისიის მიერ არის შემოტანილი კენჭი უნდა უყარონ. არც ერთ მუხლში არ არის დაშვებული ის, რომ კომისიამ წარმოადგინოს ორი პროექტი, ორი მოხსენება. ამ შემთხვევაში ჩვენი რეგლამენტის აზრი გარკვეულია. ჩვენი კომისია ალბათ დემოკრატიულ ტრადიციით ხელმძღვანელობს, ესე იგი მაჟორიტალურ ტრადიციით. კომისიის უმრავლესობას ეკუთვნის უფლება პროექტის წარმოდგენისა. კომისიის უმრავლესობა ეს არის კომისია და სხვა არ უნდა იყოს. რაც შეეხება უმცირესობას, რეგლამენტის ძალით, როგორც უმცირესობას კი არ აძლევს უფლებას, არამედ, როგორც კომისიის წევრებს, როგორც კრების წევრებს, რომლებსაც ნება ეძლევა განსაკუთრებულ აზრით შემოვიდნენ.

ასე რომ ჩვენ გვაქვს საქმე კომისიის მოხსენებასთან. ეს არის მოხსენება უმრავლესობის, და მოხსენება უმცირესობისა არ არსებობს.

არსებობს მხოლოდ რეგლამენტით დაშვებული უფლება განსაკუთრებულ აზრის წარმოდგენისა, თავის თავად ცხადია, ძირითადი საკითხი არ არის გამორკვეული, გამოსარკვევია—მიიღებს თუ არა პარლამენტი კომისიის უმრავლესობის აზრს.

**თავჯდომარე.** ორატორმა სთქვა რეგლამენტის დარღვევის შესახებ (ვეშაპელი: ჯერ დარღვეული არ არის, აპრობდნენ!) თუ რას აპრობდნენ ამის შესახებ არაფერი არ ვიცით. თქვენი განცხადება ზედმეტი იყო—ეს ერთი. მეორე, რაც რეგლამენტის შესახებ სთქვა პარლამენტის წევრმა ვეშაპელმა, ეს სრული ქეშმარიტებაა. მაგრამ, ნუ და, იეიწყებთ, რომ პრაქტიკულად ისეთი მდგომარეობაში ვართ. ხოლმე რომ ვერც ერთ საკითხს, როგორც ამ შემთხვევაში ვერ გადაწყვეტამთ ღერბის შესახებ კომისიის ორი მოწინააღმდეგე პროექტი იყო. კომისიამ 3—4 სხდომა მოანდომა. პარლამენტი იმ ზომამდე მივიდა, რომ გადაწყვეტა ამ საკითხის ყოველათ შეუძლებელათ შეიქმნა.

დღეს ამ ნაირ მდგომარეობაში ვართ. აქ ერთი გარემოება უნდა მივიღოთ მხედველობაში. როგორც ვიცით ეს ორი წინადადება არის შემოტანილი შეთანხმებით კომისიის მიერ. როგორც გადმომცეს (ხმა: „არ არის“), არ ვიცი, მე ასეთ ნაირად გადმომცეს, რომ კომისიაში შეთანხმება ყოფილა. რომ ორივე აზრი, როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის, წარმოსდგეს აქ. ამიტომაც მოვახსენებთ, თქვენ შეიძლება შესაძლოდ დაინახოთ ამ გზით, ამ საკითხის დღეს გადაწყვეტა წინააღმდეგ შემთხვევაში, უმრავლესობას შეუძლიან უარყვეოს კომისიის უმცირესობის აზრი. მე გაფრთხილებთ, თუ გნებავთ, ნუ დარღვევთ ნურც ერთ იოტის ოდენად რეგლამენტს. მაგრამ, მე მეტი საშუალება არ მაქვს. თუ ნებას მომცემთ მე ჯერ კენჭს უყრი სწორეთ უმრავლესობის აზრს, ესე იგი კომისიის აზრს სსურს თუ არა სხდომას, რომ გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე (წერეთელი: „ჯერ ერთს, და



მერე მეორეს“) მოტივისთვის, კენჭის ყრის წინადად სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ჩიქოვანს.

**მოტივისათვის რადიკ. დემოკ., დამოუდკ. კავშირ. დამოუკიდ. ნაციონ. დემ. და ნაციონ. დემ. განცხადება.**

**დ. ჩიქოვანი** რადიკალ-დემოკრატების ფრაქციის და დამოუკიდებელ კავშირის სახელით ვაცხადებ, რომ დღევანდელი წინადადება ეწინააღმდეგება ჩვენ ძირითად კანონს, და იმიტომ ვერც მონაწილეობას მივიღებთ, და ნიშნად უკმაყოფილისა, და პროტესტისა დარბაზს დაეტოვებთ.

**ი. წერეთელი.** (ადგილიდან) მოტივებისთვის ნება მიბოძეთ.

**თავმჯდომარე.** უკაცრავათ. მოტივისთვის, სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ასათიანს.

**ალექ. ასათიანი.** ეროვნულ დემოკრატების ფრაქციის სახელით უნდა განვაცხადოთ, როგორც ეს ყველა ფრაქციის წარმომადგენლებმა აქ აღნიშნეს, გარდა უმრავლესობის ფრაქციისა, რომ კომისიის უმცირესობის მიერ წარმოდგენილი აზრი სავსებით ეწინააღმდეგება ჩვენი რესპუბლიკის ძირითად ორგანიზულ კანონს, რომელიც მივიღეთ უმცირესობის ენის შესახებ, თუ მოვიდა დრო და კენჭს უყრით კომისიის უმცირესობის აზრს. რომელიც აქ არის წარმოდგენილი, ჩვენ იძულებული ვიქნებით დარბაზი დაეტოვოთ.

**გ. ვეშაპელი.** (დამ. ერ. დემ-) ეხლა კენჭი უნდა უყაროთ ორ წინადადებას: ერთი არის წინადადება კომისიისა, რომელიც ასრულებს დადგენილებას პარლამენტისა, და იმუშავებს წესს თანახმად არსებული კანონისა. მეორე არის, წინადადება კომისიის უმცირესობისა; მაგრამ სამწუხაროთ, პარლამენტის უმრავლესობისა, რომელიც რეგლამენტის საშუალებით არღვევს ძირითად კანონს, ისიც იმ კანონს, რომელიც ერთი კვირის წინადად იყო დამტკიცებული.

დამოუკიდებელ ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციას შეუძლებლად მიაჩნია მონაწილეობა მიიღოს იმ წინადადების კენჭის ყრის დროს, რომელიც ეწინააღმდეგება ძირითად კანონს, დაარღვევს ამ კანონს.

აი სწორედ ეხლა სჩანს, რომ ჩვენი კონსტიტუციის ჩვენი დემოკრატიულ რესპუბლიკის, შენება დასრულებული არ არის, რომ ჩვენ კონვენტს არ მოეპოვება გარეშე ძალა, რომელიც შეუძლიან ანგარიში მოსთხოვოს, კონტროლი გაუწიოს კონვენტს, პარლამენტის შემოქმედებას არც ერთ ჩვენ პრეზიდენტს, არც მთავრობას უფლება არ აქვს ხელი არ მოაწერონ ამ კანონებს, თუნდაც ეს კანონები ეწინააღმდეგებოდნენ უმრავლესობის აზრს. და თუ აქ იმას იტყვიან, რომ ეს საჭირო არ არის, რადგანაც ჩვენ კანონს არ ვადგენთ, არამედ რეგლამენტსო მაშინ გამოდის, რომ ეს რეგლამენტი კანონი არ არის. მაგრამ რადგანაც რეგლამენტი არის კანონი პარლამენტის მუშაობისა. მაშინ რეგლამენტის ფაქტიური, იურიდიული ძალა არ უნდა ჰქონდეს, თუ ეს გამოკვეყნებული არ არის, როგორც კანონი. რადგან ეს უარყოფილი არის და რეგლამენტის სახით ირღვევა ძირითადი კანონი, რომელიც ერთი კვირის წინადად მივიღეთ, ჩვენ კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მივიღებთ და დარბაზს დაეტოვებთ

### სოც. დემოკრატიულ ფრაქციის წინადადება.



**წერეთელი-** მე მსურს, სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით განაცხადო, რომ წინააღმდეგი ვიქნებით იმ პირველ პროექტის მუხლობრივ განხილვისა, რომელიც კომისიის უმრავლესობამ წარმოადგინა, იმიტომ რომ ჩვენ გვსურს მუხლობრივ განხილული იქნეს მეორე პროექტი, რომელიც ეკუთვნის კომისიის უმცირესობას, და რომელიც აგრეთვე წარმოდგენილია საბჭოს წინაშე კომისიის მიერ.

### სოც. რევ., სოც. ფედერ. და ალიონელების განცხადება.

**თავმჯდომარე.** პარლამენტის წევრი გობეჩია.


**ივ. გობეჩია.** (ს. რ.) ბატონებო! რადგანაც ჩვენ სურვილზე არ არის დამოკიდებული აქ საქმე, მხოლოდ საქმიანობა მოითხოვს იმას რაც, ჩვენმა ფრაქციამ განმარტა, და რასაც მხარი დაუჭირა, — ჩვენი ფრაქცია ეხლაც მხარს დაუჭერს მხოლოდ იმ წინადადებას, რომელიც წარმოდგენილია უმრავლესობის მიერ. რადგანაც მეორეში, უმცირესობის წინადადებაში, ჰხედავს ძირითად კანონის დარღვევას, — ამიტომ ამ კანონპროექტის მუხლობრივ განხილვის დროს მონაწილეობას არ მიიღებს.

**თავმჯდომარე.** პარლამენტის წევრი დადიანი.

**ს. დადიანი.** (ს. ფ.) სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ იმ კანონპროექტის მუხლობრივ განხილვის დროს, რომელიც ეკუთვნის კომისიის უმცირესობას, ჩვენ წინააღმდეგ მივცემთ ხმას, ვინაიდან არის დარღვევა ძირითადი კანონისა, იმ ძირითად კანონის, რომელიც ჩვენ მივიღეთ ერთი კვირის წინად. მაგრამ, უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ აქ მოსულნი ვართ სწორედ იმისთვის, ჩვენ დანიშნულება აქ პარლამენტში იმნაირად გვესმის რომ არც ერთი შემთხვევაში არც ერთი საშუალება არ უნდა გაუშვათ ისე, რომ პარლამენტის სახელმწიფო აღმამენებლო მუშაობაში ჩვენი წვლილი არ შევიტანოთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ძალთა განწყობილება არ გვაძლევს საშუალებას, რომ გავიყვანოთ ის კანონ-პროექტი, რომელსაც ჩვენ მხარს უჭერთ, მიუხედავად იმისა, რომ კომისიის უმეტესობამ წარმოადგინა სხვა პროექტი ჩვენ კიდევ გვაქვს სხვა საშუალება, ჩვენ აზრების გამოსათქმელათ რომ მივმართოდ პარლამენტის უმრავლესობის ხმას, და გონებას, რომელიც ხალხს წარმოადგენს, და იმისთვის ჩვენ ვრჩებით პარლამენტში, და მუხლობრივი განხილვის დროს გამოაშკარავებთ იმ, ნაკულულოვანებას, რომელიც შეპარებულია კანონპროექტში.

**თავმჯდომარე.** პარლამენტის წევრი ქავთარაძე!

**ბ. ქავთარაძე** (ალიონელი). ბატონებო, არა ობსტრუქციისთვის, როგორც აქ ზოგიერთი ჭეჭკრობს, არა იმისთვის, რომ საპარლამენტო მუშაობას ხელი შეუშალოთ, არამედ იმისთვის, რომ რეგლამენტის მუხლით კანონის შეცვლა შეუქმლებელია, და მერე ისიც ძირითად კანონის შეცვლა, ჩვენ მივგაჩნია ამ კანონის დარღვევად. ამ გზით კანონის დარღვევა არის ჩვენი ერას, საქართველოს რესპუბლიკის და ჩვენ პარლამენტის ინტერესების და ღირსების შებღალვა. აქ პარლამენტში ეს კანონ-პროექტი, რეგლამენტის მუხლის შეცვლით, ქართულ სახელმწიფოებრივ ენას ათანასწორებს რუსულ ენასთან ფაქტიურად. და დღეს,



ამ ეპოქად, საქართველოს აღდგენის დროს რუსული ენის აქ ფაქტიურად გაბატონება და ქართულ სახელმწიფოებრივ ენასთან გათანასწორობა, ჩვენ მიგვაჩნდა რუსული თვითმპყრობელობის გაბატონებად—ამიტომ ჩვენ მონაწილეობას არ მივიღებთ ამ კანონ-პროექტის კენჭის ყრის დროს, რათა არ გავიზიაროთ ამ კანონ-პროექტის შემოღებაში პასუხის მგებლობა.

**თავმჯდომარე.** ვინ არის მომხრე, რომ გადავიდეთ უმრავლესობის აზრის მუხლობრივ განხილვას. გთხოვთ ასწიოთ ხელი. (ქვესტორს) გთხოვთ დაითვალოთ. ვინ არის წინააღმდეგი? უარყოფილია 46 წევრი წინააღმდეგია, თანახმაა 26. ასე, რომ ეს დებულება უარყოფილი არის. ესლა კიდევ უნდა გავატაროთ, რადგანაც უმცირესობის აზრი წარმოდგენილია კომისიისაგან, იმიტომ კენჭი უნდა უყაროთ ამ აზრსაც. ვინ არის მომხრე? (კენჭის ყრა) მომხრეა 46. მაშასადამე ეს წინადადება მიღებულია, და უნდა გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე იმ დებულების, რომელიც წარმოადგინა კომისიის უმცირესობამ. მომხრე არის 46, ვინ არის წინააღმდეგ. გთხოვთ დაითვალოთ. ვინ შეიკავა თავი? ამ რიგათ ეს წინადადება მიღებულია, და ესლა გადავიდეთ ამ დებულების მუხლობრივ განხილვაზე. (რადიკალ დემოკრატები, დამოუკიდებელთა კავშირი, დამოუკიდებელი ნაციონალ დემოკრატები და ნაციონალ დემოკრატები ნიშნად პროტესტისა კრებას სტოვებენ. მაჩაბელი: რეგლამენტი დაირღვა, კვორუმი არ იქნება, ბატონო!) რომელიც წარმოადგინა კომისიის უმცირესობამ. გთხოვთ წაიკითხოთ 1 მუხლი.

**არსენიძე.** (კითხულობს 1 მუხლს). პირველი მუხლი.

პარლამენტის წევრები სიტყვას წარმოსთქვამენ ქართულ ენაზე.

**თავმჯდომარე.** ვის ჰნებავს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს რცხილაძეს.

**გ. რცხილაძე.** (ს. ფ.) ბატონებო! მე ვფიქრობ, რომ პარლამენტის წევრის მიერ სიტყვის წარმოთქმა ქართულ ენაზე თუ არა ქართულ ენაზე, ეს არ არის არც ერთ მხრიდან წესი, ენათა ხმარებისა. ეს არის პრინციპი, ეს არის დებულება, თუ გნებავთ, და სრულიად არ არის ეს წესი ენათა ხმარებისა. იგივე აზრი, როგორც მთავარი დებულება, არის გამოთქმული თვით კანონში, ძირითად კანონში, საკონსტიტუციო კანონში.

იმიტომ ამ მუხლს აქ, არავითარი აზრი არ აქვს. მეტს არაფერს არ უმატებს იმას, რაც არის საკონსტიტუციო კანონში ენის შესახებ, და ამის განმარტებას არ აძლევს. მე მგონია, რომ ეს მუხლი უბრალო ზედმეტი ბალასატია, და, ამიტომ უნდა ამოიშალოს.

**თავმჯდომარე.** მომხსენებელი.

**რ. არსენიძე.** უნდა მოგახსენოთ, რომ ეს პირველი მუხლი ორივე კანონში ერთნაირ წესით არის აღნიშნული. (ხმა: „ორივე შეცდომით“) შეიძლება ორივე შეცდომა იყოს, მაგრამ, მთელ კომისიის აზრით, ეს მუხლი უნდა დარჩეს. კანონში ბევრი რამ სწერია, რის გამეორებაც შეიძლება რეგლამენტში. შეიძლება დამატება იმისა, რაც გამოტოვებული არის რეგლამენტში შედგენის დროს. მხოლოდ ასეთი მოსაზრება არის,—რაც ძირითად კანონში, ან სხვა რამ კანონში არის აღნიშნული—რეგლამენტში არ არის. რეგლამენტი არ არის დამატება კანონისა, არამედ არის მოყვანილი კანონი, და მისი განმარტება. აქაც არის მოყვანილი მთავარი დებულება, და განმარტება. ეს არის მოყვანილი, და ამიტომ უნდა დარჩეს ეს მუხლიც.



**თავმჯდომარე.** კენქს უყრი პირველ მუხლს. (კენქის ყრიოთ, მუხლი მიღებულა). გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

**მომხსენებელი.** (მომხსენებელი კითხულობს 2 მუხლს).

2. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც ქართული ენა არ იცის, შეუძლიან სიტყვა წარმოსთქვას უმცირესობის ენაზე, რომელიც პრეზიდენტის ერთმა წევრმა მაინც იცის.

**თავმჯდომარე.** ვის ნებავს სიტყვა? პარლამენტის წევრი დადიანი.

**ს. დადიანი.** (ს. ფ.) დიდ ხანს ამ მუხლის შესახებ არ ვილაპარაკებ, რადგანაც ყველა, რაც შეიძლებოდა გვეთქვა ამ მუხლის შესახებ, თითქმის ამოიწურა. მე-2 მუხლი ამბობს, რომ შეიძლება სიტყვა წარმოსთქვან იმ უმცირესობის ენაზე, რომელიც პრეზიდენტის ერთ-ერთმა წევრმა მაინც იცის. ჩვენ ვაქცევთ ყურადღებას, რომ ეს არის დარღვევა იმ უფლებებისა, რომელიც მივანიჭეთ ეროვნულ უმცირესობას. ამ მუხლის ძალით წავართვით იმ ერებს ის, რაც მივანიჭეთ ერთი კვირის წინად. არის დარღვევა სამართლიანობისა, ვინაიდან, ეს არის დარღვევა არა მარტო კანონისა, არამედ პრინციპისა, რისთვისაც ვიბრძვით, ვგაჯიბრებთ ერთმანეთს—ვინც უფრო გულახდილი დემოკრატია, და ვინც უფრო სოციალისტობას გამოიჩინეს. მე გარწმუნებთ, რომ დატოვება ამ მუხლისა, არის დარღვევა კანონისა, და წართმევა იმ უფლებებისა, რომელიც ჩვენ უკვე უმცირესობათ მივანიჭეთ. მე წინადადებას ვიძლევი უცვლელად შეტანილ იქნეს ასეთი მუხლი (კითხულობს).

ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლის მიერ დედა-ენაზე წარმოთქმული სიტყვის შინაარს მთარგმნელი აცნობს პარლამენტს, თუ ორატორი წინდაწინვე თითონ წარმოადგენს თარგმანს, იგი წაკითხულ იქნება სავსებით სიტყვის წარმოსთქმის შემდეგ.

მაშასადამე, წინადადებით შემოვდივარ, რომ ეს იყოს შეტანილი მე-2 მუხლის მაგივრათ.

**თავმჯდომარე.** პარლამენტის წევრი ი. წერეთელი.

**ი. წერეთელი.** მე ესე არ მესმის ეს მუხლი, ვითომ იგი ზღუდავს წინად მიღებულ კანონს, მაგრამ, რაკი აქ იყო გამოთქმული ასეთი შეხედულება, მე მგონია, აი ამისთანა შესწორება რომ შევიტანოთ მე-2 მუხლში, მაშინ, ყოველგვარი გაუგებრობა აცილებული იქნება თავიდან. ეს მუხლი შესწორებით ასე უნდა მივიღოთ: ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც ქართული ენა არ იცის, შეუძლიან სიტყვა წარმოსთქვას გარდა თავისი დედა ენისა, უმცირესობის ენაზე, რომელიც პრეზიდენტის ერთმა წევრმა მაინც იცის.

**თავმჯდომარე.** ვის ჰნებავს სიტყვა ამის შესახებ. პარლამენტის წევრი დადიანი.

**დადიანი.** ეს შესწორება ფრიალ დამახასიათებელი არის იმ მდგომარეობისა, რა მდგომარეობაშიაც სდგას ის უმრავლესობა, რომელიც იცავს ამ კანონპროექტს. ის კანონპროექტი, რომელიც ამ წუთსავე თხოულობს შესწორებას, და განმარტებას,—მიუღებელია. რას გვძლევს ეს: „გარდა თავის სამშობლო ენისა“? თუ ეს შესწორება მივიღეთ, მაშინ უნდა მივიღოთ 2 მუხლი, რომელიც უმრავლესობის კანონპროექტში არის. ამისთვის მე წინააღმდეგი ვარ, და ვიძლევი ამ წინადადებას.

**თავმჯდომარე.** გთხოვთ წაიკითხოთ.

**დადიანი.** კითხულობს.



2. ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლის მიერ დედა-ენაზე წარმოთქმული სიტყვის შინაარს მთარგმნელი აცნობს პარლამენტს, თუ ორატორი წინდაწინვე თითონ წარმოადგენს თარგმანს, იგი წაკითხულ იქნება საესეებით სიტყვის წარმოსთქმის შემდეგ.

**თავმჯდომარე.** მომხსენებელი.

**რ. არსენიძე.** ორივე შესწორების წინააღმდეგი ვახლავართ. წინააღმდეგი ვარ ამ შესწორებისა, რომელიც შემოიტანა ბ. დადიანმა. თავის თავად ცხადია უარყოფა, კანონისა, ეხლანან მიღებულ კანონისა პარლამენტისთვის შეუძლებელია. ეს გამოირკვა უკვე მთელი დღის მსჯელობიდან. ბ. დადიანის წინადადებით, რომ ამოვიღოთ მეორე მუხლი უმრავლესობის პროექტიდან ეს უარყოფა იქნება იმ პრინციპისა, რომელიც გატარებულია ამ კანონში.

მაგრამ მე წინააღმდეგი ვარ ამ შესწორებისაც, რომელიც აქ წამოაყენა აზნანგმა წერეთელმა და ამიტომ მე მგონია, რომ თუ ჩვენ ყველა ენაზე ვილაპარაკეთ, რომელიც პრეზიდენტმა იცის თუ არ იცის. მაშინ მე მგონია, შეცვლა ერთი ენისა მეორე ენით არ ღირს.

და ტენიკურად საჭირო არ არის. იმიტომ რომ თუ კი ტენიკური დაბრკოლებანი არის ჩვენ წინაშე თუ მთელი რიგი დაბრკოლების გამო ამ წუთს არ შეუძლიან პარლამენტს განახორციელოს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების უფლება, მაშინ ჩვენ უფლება გვაქვს ისეთი ტენიკური საშუალება გამოვიყენოთ, რომელიც ამ ტენიკურ დაბრკოლებას გადალახავს. მაგალითად თუ პრეზიდენტში მოხდება ისეთნი, რომელმაც იცის სომხური, მაშინ შეუძლიან სომხის წარმომადგენლებს ილაპარაკონ თავის ენაზე. თუ პრეზიდენტის ერთმა წევრმა იცის ოსური, ცხადია ოსურ ენაზედაც შეუძლიანთ წარმოსთქვან სიტყვა,

მე მგონია, რომ ამაზედ დიდი უმრავლესობა უმცირესობის წარმომადგენლებისა, შეუთანხმდება თავმჯდომარეს, რომ ეს ერთი საკითხი ერთი მეორეს დაუპირდაპირონ, რომ ორივემ ისარგებლონ სიტყვით, გააცნონ თავისი აზრი პარლამენტს, და მიიღონ პასუხად გარკვეული აზრი. მე ეგონია, რომ როგორც ერთი ისე მეორე შესწორება ზედმეტია.

**თავმჯდომარე.** მომხსენებელი ორივე შესწორებას უარყოფს. უნდა მოგახსენოთ, ამ შესწორებას, რომელიც შემოიტანა ბ. დადიანმა გაკვირვებით შეილება დაერქვას შესწორება. მაგრამ მე იძულებული ვარ კენჭი უყარო. სხვა საშუალება არა მაქვს. ვინ არის მომხრე იმ შესწორების, რომელიც შემოიტანა ბ. დადიანმა. (კენჭის ყრა) შესწორება უარყოფილია.

ეხლა მეორე შესწორება, რომელიც შემოიტანილია პარლამენტის წევრის ი. წერეთლის მიერ. ვინ არის, მომხრე? (კენჭის ყრა) მიღებული. სხვა შესწორებანი არ არის ამიტომ კენჭს უყრი-მეორე მუხლს. შემდეგი მუხლი. მომხსენებელი (კითხულობს მესამე მუხლს).

3. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი პრეზიდენტთან შეთანხმებით ირჩევენ, როგორც სალაპარაკო ენას, ერთ-ერთ ენას, რომელიც მიღებულია პარლამენტში.

**ბ. დადიანი.** ჩვენ წინადადებას ვიძლევი ამ მუხლის ნაცვლად მიღებულ იქმნას ის ენის მუხლი ეროვნულ უმცირესობის წარმომადგე-



შელის მიერ წარმოთქ. სიტყვა, სხვა უმცირეს. ენაზე არ გადითარგმნება.  
**თავმჯდომარე.** ვის ნებავს სიტყვა ამ შესწორების შესახებ? არავის.  
ეს ეკუთვნის მომხსენებელს.

**რ. არსენიძე.** ეს შესწორება ეკუთვნის მეოთხე მუხლს, ამიტომ  
ამაზე ვილაპარაკებთ, როცა გადავალთ. მეოთხე მუხლზე.

**თავმჯდომარე.** თუ ავტორი ინებებს. (მიმართავს ლლონტს) გნე-  
ბათ რომ მაშინ ვისჯელით ამ შესწორებაზე როცა გადავალთ მეოთხე  
მუხლზე, რადგანაც ის უფრო შეეხება მეოთხე მუხლს. (დადიანი დიანს!)

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი მესამე მუხლისა? (კენჭის  
ყრით მიღებულია).

მომხსენებელი (კითხულობს უმცირესობის ენაზე წარმოთქმული  
სიტყვის დედა აზრი გადათარგმნილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე თუ ამას  
დებუტატთა 15-ზე არა ნაკლები რიცხვი მოითხოვს. თარჯიმანების  
შტატის შედგენაზე არავითარ თარჯიმანს ადგილი არა აქვს. ქართული-  
დან სხვა ენაზე სიტყვა არ გადათარგმნება.

**დადიანი** (კითხულობს თავის შესწორებას) ეროვნულ უმცირე-  
სობის წარმომადგენელის მიერ წარმოთქმული სიტყვა სხვა უმცირესო-  
ბის ენაზე არ ითარგმნება.

**თავმჯდომარე.** ვის ნებას სიტყვა. არავის. სიტყვა ეკუთვნის  
მომხსენებელს.

**არსენიძე** (ს. დ.) მე წინააღმდეგი არა ვარ, რომ ერთი უმცირე-  
სობის ენიდან არ გადათარგმნოს მეორე ენაზე მე მომხრე ვარ.

**თავმჯდომარე.** ვინ არის მომხრე დადიანის მიერ შემოტანილ  
შესწორების? (კენჭის ყრით მიღებულია).

**არსენიძე** (კითხულობს მე 5-ე მუხლს).

ნ. წერილობითი წინადადების და სხვათა შეტანა შეიძლება მხო-  
ლოდ ქართულ ენაზე.

**თავმჯდომარე.** ვის ჰსურს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის პარლამენ-  
ტის წევრს გაგლოფეს.

**გაგლოფვი** (ს. დ.) მგონია, რომ, მარტო ქართულ ენაზე რომ  
ჰქონდეთ უფლება ეს უხერხული იქნება, რადგან კენჭის ყრის დროს  
შესაძლებელია არ იცოდეს რაშია საქმე და მისცეს ხმა. მე ასეთი და-  
მატება შემომავს (კითხულობს). პრეზიდიუმს უფლება აქვს მოულოდნელად  
შემოსულ წინადადების აზრი გადასცეს ერთ ერთ უმცირესობის ენაზე.

**თავმჯდომარე.** ვის ნებავს სიტყვა ამ წინადადების შესახებ.

**რ. არსენიძე.** მე ეს წინადადება ვსე მესმის, რომ თუ პრეზიდიუმ-  
ში მოულოდნელად შემოვიდა წინადადება ე. ი. თუ წინადადება შე-  
მოტანილია ქართულ ენაზე და წინასწარ არ იყო განხილული და პარ-  
ლამენტში ვერ გაეცნა ერთი უმცირესობის წარმომადგენელი, მაშინ მე  
შესაძლებელია მიმართა წინააღმდეგ გადასცეს. ამის წინააღმდეგ მე არა-  
ფერტი არ შექნება, ოღონდ შემოტანილი იყოს ქართულ ენაზე.

**თავმჯდომარე.** ვინ არის მომხრე ამ შენიშვნისა? მიღებულია.  
კენჭს უყრი მთელ კანონ-პროექტს, ვინ არის წინააღმდეგ? არავინ. მი-  
ღებულია.

ს. დადიანი. განცხადება მიღებულ კანონ-პროექტის შესახებ.

**თავმჯდომარე.** მე არ ვიცი რეგლამენტის მერამდენე მუხლის ძა-  
ლით მოგკეთ სიტყვა, თორემ სიამოვნებით.

კრებას ვხურავ. (კრება იხურება საღამოს 6 საათზე).



უმაჯდომეო კორექტორული შეცდომეობის კასწორება.

- 46 სხდომეოში შემდეგი უმაჯდომეო კორექტორული შეცდომეობეო.  
მე 9-ე გვერდზე მე 13 სტრიქონის შემდეგ გამოტოვებულიო:  
6 ოქტომბერი 1918 წ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომეო-  
რე ნ. ჩხეიძე.  
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომეო რე ნ. ყორდო-  
ნო.  
მე 34 გვერდზე სწერია: fiat justitia, უნდა იყოს fiat justitia.  
59 გვერდზე სწერია არჩილ ჳაჭანაშვილი. უნდა იყოს ჳაჭანა-  
შვილი.  
მე 60 გვერდზე ქვეიდან მე 5-ე სტრიქონში სწერია: დაადგენს  
ამ კანონპროექტს უნდა იყოს: დაატეხეს ამ კანონპროექტს.